ლებიც ავლენენ ინტენსიურ შთანთქმას სპექტრის ხილულ უბანში, მაქსიმუმით ~610 ნმ ტალღის სიგრძეზე. (აღნიშნული იონები განსაზღვრავენ ცილის შეფერილობას). სამი T1 ცენტრიდან, ცილის კატალიზურ ცენტრში მხოლოდ ერთია (T1A). მეორე ტიპი (T2) წარმოადგენილია ერთადერთი პარამაგნიტური ცენტრით, რომელსაც არ ახასიათებს გამოხატული შთანთქმითი ზოლი აბსორბციულ სპექტრში. მესამე ტიპი (T3) კი, წარმოადგენს სპილენძის იონების დამაგნიტურ წყვილს, ელექტრონების ურთიერთ-მაკომპენსირებელი სპინებით, რომელსაც აქვს შედარებით დაბალი ინტენსიური შთანთქმა 330 ნმ ტალღის სიგრძეზე (სურ. 1). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩამოთვლილი სპექტროსკოპიული პარამეტრი ვლინდება Cp-ის მოსვენებულ, დაქანულ მდგომარეობაში. ფერმენტის აღდგენის პარალელურად, ისინი მცირდება და საბოლოოდ ქრება.



სურ. 1. ნატიური Cp-ის შთანთქმის სპექტრი. $C_p = 1,14 \cdot 10^{-5} M$.

ორგანიზმში Cp-ის ფუნქციობა მრავალ ასპექტში ვლინდება. როგორც ოქსიდაზა, ის ჟანგავს რიგ, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან სუბსტრატებს: ნორადრენალინს, ადრენალინს, სეროტონინს, დოფამინს [3, 7]. არეგულირებს რა მათ დონეს სისხლის პლაზმაში, აღნიშნული ცილა მონაწილეობს ნეიროენდოკრინულ რეგულაციაში [24]. Cp აკონტროლებს ორვალენტიანი რკინის ჟანგვას, ანუ წარმოადგენს ფეროქსიდაზას [21, 22]. მას გადააქვს სპილენძი, ანაწილებს მას ორგანიზმის სხვადასხვა კომპარტმენტში და ინარჩუნებს მის პომეოსტაზს [8, 20], ფლობს გამოხატულ ანტიოქსიდანტურ და პეროქსიდაზურ თვისებებს [11, 16, 19], წარმოადგენს "შწავვე ფაზის" ცილა-რეაქტანტს და გვევლინება, როგორც ორგანიზმის არასპეციფიკური დამცველი აგენტი მრავალი სტრესული და პათოლოგიური მდგომარეობის დროს [10].

დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი Cp-ის ფიზიოლოგიური ფუნქციის შესახებ, რადგან აღნიშნული ფერმენტი მრავალ ბიოქიმიურ პროცესში მონაწილეობს და გააჩნია რთული პოლიფუნქციური ბუნება. აქედან გამომდინარე, Cp, როგორც კვლევის ობიექტი მუდამ აქტუალური რჩება. აღნიშნული ფერმენტის მიერ *in vivo* განხორციელებულ ნებისმიერ ფუნქციას, საფუძვლად უდევს Cp-ის მოლეკულაში სპილენძის იონების ფუნქციური სტატუსი, რომლის ცვლილება, თავის მხრივ, აისახება აღნიშნული იონებისათვის დამახასიათებელ სპექტროსკოპიულ მახასიათებლებზე.

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა Cp-ის სპილენძის იონების სპექტროსკოპიული პარამეტრების ცვლილების შესწავლა მადენატური-რეპელი აგენტების ზემოქმედების პირობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურის წყაროებში, Cp-ის დენატურაციის შესწავლა ხდებოდა, ძირითადად, ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდით (პრ), რომელიც იძლევა ინფორმაციას T1 და T2 ცენტრების შესახებ, მაგრამ არაფერს გვეუბნება დიამაგნიტურ T3 ცენტრების შესახებ. ჩვენს ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა დიფერენციალური სპექტროფოტომეტრიული მეთოდი [1, 2], რომელიც იძლევა T3 ცენტრის დაკვირვების საშუალებას, ისევე, როგორც T1 (ცისფერი) ცენტრის.

მასალა და მეთოდები


გამოყენებულ იქნა დონორის სისხლიდან გამოყოფილი და სამრეწველო წესით დამზადებული Cp-ის პრეპარატი (Biofarma). ოპტიკური სიდიდეების ფარდობა (Cp-ის სისუფთავის ინდექსი) $A_{610}/A_{280} = 0,041$ [12], რაც შეესაბამება პრეპარატის 90%-95%-იან ჰომოგენურობას. აბსორბციული და დიფერენციალური შთანთქმის სპექტრები ჩაწერილ იქნა სპექტროფოტომეტრზე Unicam-1800 (ინგლისი), ოთახის ტემპერატურაზე, კვარცის მინიკიუვეტებში ($l = 1$ სმ, $V = 0,4$ მლ). მადენატური-რეპელი აგენტების სახით გამოყენებულ იქნა მარილმუცავს, მწვავე ნატრისა და შარდოვანას სხვადასხვა კონცენტრაციები. ფონურ ელექტროლიტს წარმოადგენდა NaCl, რომლის კონცენტრაცია ყველა ცდაში იყო 0,15 M.

შედეგები და მათი განხილვა

სხვადასხვა მადენატური-რეპელი აგენტის ზემოქმედება Cp-ზე აისახება, ერთი მხრივ, სპილენძის ცენტრების (დამოუკიდებელი ქრომოფორების) შთანთქმაში, რაც დენატურაციის პროცესში მათი ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებებზე მიუთითებს, მეორეს მხრივ კი - თავად ცილის შთანთქმაში.

შესწავლილ იქნა Cp-ზე HCl-ის სხვადასხვა კონცენტრაციის ზემოქმედება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ აღნიშნულ ცილაზე $2,4 \cdot 10^{-4}$ M HCl ზემოქმედებისას, შთანთქმა 610 ნმ ტალღის სიგრძეზე მკვეთრად მცირდებოდა (სურ. 2), ამავდროულად, ადგილი ჰქონდა ცისფერი შეფერილობის ნაწილობრივ გაქრობას. ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული ფაქტი უნდა მიუთითებდეს კონფორმაციულ ცვლილებებზე, რომელმაც T1 ცენტრების კოორდინაციული სფეროები მოიცვა. კერძოდ, მადენატური-რეპელი აგენტის ზემოქმედებისას $TiCu^{2+}$ -იონმა შეიცვალა კოორდინაცია, დაირღვა მუხტის გადატანით შექმნილი კომპლექსი ლიგანდსა და სპილენძის იონს შორის (ცნობილია, რომ $TiCu^{2+}$ -იონის კოორდინაციული სფეროსათვის დამახასიათებელია მუხტის გადატანის ეფექტი: $Cys(S) \rightarrow Cu^{2+}$ [17, 23]), აღნიშნული კომპლექსის რღვევამ კი გამოიწვია შთანთქმის მნიშ-

ვენელოვანი შემცირება 610 ნმ ტალღის სიგრძეზე. გარდა აღნიშნულისა, შთანთქმის შემცირება გამოწვეული უნდა ყოფილიყო უპირატესად T1A ცენტრების გარკვეული ნაწილის მიერ შთანთქმის დაკარგვით, რადგან ცნობილია, რომ Cp-ის მოლეკულაში წარმოდგენილი ხუთი დისულფიდური ხიდი განაწილებულია სათითაოდ, პირველიდან მეხუთე დომენის ჩათვლით. მეექვსე დომენი დისულფიდურ ხიდს მოკლებულია [25]. შედეგად, მეექვსე დომენი და მისი T1A სპილენძის კოორდინაციული გარემო უნდა ამჟღავნებდეს მეტ მგრძობელობას მჟავას ზემოქმედების მიმართ, ვიდრე სპილენძის სხვა ცენტრები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპექტრში საკმაოდ დაბალი ინტენსივობით იყო წარმოდგენილი ΔA_{330} (სურ. 2), რომელიც T3 ცენტრის შთანთქმას შეესაბამება. ეს უკანასკნელი უნდა მიუთითებდეს, რომ მოცემულ პირობებში დენატურაცია მოცემულ ქრომოფორს ნაკლებად შეეხო. აღნიშნული ფაქტი განამტკიცებს მოსაზრებას, რომ ცილის შემადგენლობაში მესამე ტიპის სპილენძის იონები უფრო სტაბილურია, ვიდრე პირველი და მეორე ტიპისა [4].




სურ. 2. ნატიურ Cp-ზე მარილმჟავის ზემოქმედებით მიღებული დიფერენციალური სპექტრი. $C_{Cp} = 1,14 \cdot 10^{-5}$ M, $C_{HCl} = 2,4 \cdot 10^{-4}$ M.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ იქნა HCl-ის შედარებით მაღალი კონცენტრაციის ზემოქმედება Cp-ზე, ცილის ძირითადი სპექტროსკოპიული პარამეტრების (ΔA_{610} და ΔA_{330}) შესწავლის მიზნით. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ $4,8 \cdot 10^{-4}$ M HCl დამატების პირობებში, ადგილი ჰქონდა ცილის ხსნარის მყისიერ გაუფერულებას, მოგვიანებით კი – გამჭვირვალობის დაკარგვას. შესაბამისად, სპექტრის ჩაწერა შეუძლებელი გახდა. ვვარაუდობთ, რომ მჟავას მაღალმა კონცენტრაციამ გამოიწვია ცილის აგრეგაცია. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შედეგი აღინიშნა სხვა გამოკვლევებშიც [18].

კვლევის შემდგომ ეტაპზე, შესწავლილ იქნა Cp-ზე შარდოვანას ზემოქმედება. შედარებულ იქნა ნატიური და შარდოვანას ზემოქმედებით დენატურირებული Cp-ის შთანთქმა (სურ. 3). გამოკვლევებმა უჩვენა, რომ შარდოვანას ზემოქმედება შეეხო არამარტო ძირითად სპექტროსკოპიულ მახასიათებლებს (ΔA_{610} და ΔA_{330}), არამედ სპექტრის ხილული უბნის მთელ დიაპაზონს (კერძოდ, ადგილი ჰქონდა შთანთქმის ზრდას ~400-500 ნმ ტალღის სიგრძემდე). ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული ფაქტი გამოწვეული


უნდა იყოს შარდოვანას სპეციფიკური მადენატურირებელი ეფექტი; ცნობილია, რომ შარდოვანა ცილაში წყალბადური ბმებისა და ჰიდროფობური ურთიერთქმედებების რღვევას იწვევს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს ცილის უმაღლესი სტრუქტურის სტაბილიზაციას [5]. გარდა ზემოთაღნიშნულისა, დიფერენციალურ სპექტრში დადგინდა შთანთქმის საკმაოდ ინტენსიური ცვლილება 330 ნმ ტალღის სიგრძეზე (სურ. 3), რაც უნდა მიუთითებდეს, რომ შარდოვანას ზემოქმედებით განვითარებულმა დენატურაციის პროცესებმა მოიცვა T3 ცენტრებიც და გავლენა მოახდინა მათ აბსორბციაზე. როგორც ცნობილია, შთანთქმა 330 ნმ ტალღის სიგრძეზე განპირობებულია ე.წ. ენდოგენური ხილით, - ჰიდროქსიდის ჯგუფით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ T3 სპილენძის იონს [14]. როგორც ჩანს, შარდოვანას გამოყენებულმა კონცენტრაციამ გავლენა მოახდინა T3 ცენტრების, ან მთლიანად კლასტერის [13], კოორდინაციულ გარემოზე, რაც, შესაბამისად, T3 ცენტრების შთანთქმაში აისახა.



სურ. 3. ნატიურ Cp-ზე შარდოვანას ზემოქმედებით მიღებული დიფერენციალური სპექტრი. $C_p = 1,14 \cdot 10^{-5} M$, $C_{შარდ} = 5 M$.

საინტერესო აღმოჩნდა ტუტის ზემოქმედება Cp-ზე. სურ. 4-ზე მოცემულია NaOH-ის სხვადასხვა კონცენტრაციის ზემოქმედებით მიღებული დიფერენციალური სპექტრები ხილულ უბანში. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ NaOH-ის $2,4 \cdot 10^{-4} M$ და $4,8 \cdot 10^{-4} M$ კონცენტრაციის პირობებში, ადგილი ქონდა შთანთქმის ინტენსივობის შემცირებას (სურ. 4.1, სურ. 4.2) ნატიურ ცილასთან შედარებით (სურ. 1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტუტის ორივე კონცენტრაციის შემთხვევაში შთანთქმის სპექტრები ერთმანეთს ემთხვეოდა (სურ. 4.1, სურ. 4.2). ტუტის მზარდი კონცენტრაციებით ზემოქმედების პირობებში ადგილი ჰქონდა შთანთქმის ინტენსივობის ზრდას (სურ. 4.3). როგორც ცნობილია, ტუტის ზეგავლენა ცილაზე საკმაოდ სპეციფიკურია, ვინაიდან მისი მადენატურირებელი ეფექტი ნაკლებად ეხება ცილის ჰიდროფობულ ბირთვს, გარდა pH-ის ექსტრემალურად მაღალი მნიშვნელობებისა [5]. ცნობილია, აგრეთვე, რომ ტუტის ზემოქმედებით თიროზინის ნაშთების ფენოლური ჯგუფის ჰიდროქსილი განიცდის იონიზაციას:






სურ. 4. ნატიურ Cp-ზე ტუტის ზემოქმედებით მიღებული დიფერენციალური სპექტრები ხილულ უბანში.
 $C_{Cp} = 1,14 \cdot 10^{-5} M$,
 $C_{NaOH} = 2,4 \cdot 10^{-4} M$,
 $C_{NaOH} = 4,8 \cdot 10^{-4} M$,
 $C_{NaOH} = 9,6 \cdot 10^{-4} M$.

შედგებად, ადგილი აქვს თიროზინ-კარბოქსილატური ბმების გახლეჩას და თიროზინების ექსპონირებას გამხსნელში. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს კარგად გამოხატულ ბატოქრომულ ძვრას (შთანთქმითი ზოლის გადაადგილება სპექტრის გრძელტალღოვანი უბნისაკენ, იგივე წითელი ძვრა) და თიროზინის შთანთქმის მაქსიმუმის გადაადგილებას 295 ნმ-ზე, რომელიც ფენოლატური პიკის სახელწოდებითაა ცნობილი [1, 6]. შთანთქმის ინტენსივობის მატება სპექტრის ხილულ უბანში (სურ. 4), სავარაუდოდ, სწორედ თიროზიდების იონიზაციის შედეგად დაწყებული პროცესების ანარეკლია.

სურ. 5-ზე მოცემულია Cp-ზე NaOH-ის სხვადასხვა კონცენტრაციის ზემოქმედების დროს ჩაწერილი დიფერენციალური სპექტრები ულტრა-იისფერ უბანში. აღმოჩნდა, რომ ცილის შთანთქმა მნიშვნელოვნად იზრდება ტუტის კონცენტრაციის მატების პარალელურად, 245 ნმ და 295 ნმ ტალღის სიგრძეზე, ყველა შემთხვევაში. აღნიშნული ფაქტი განპირობებული უნდა ყოფილიყო თიროზინის ნაშთების იონიზაციით, რაზეც მიუთითებდა ფენოლატური პიკი 295 ნმ ტალღის სიგრძეზე.

ცნობილია, რომ ჩვენს მიერ გამოყენებულ pH-ის პირობებში (pH=10,5-12,0), Cp, როგორც ფერმენტი-ოქსიდაზა არააქტიურია. მიუხედავად ამისა, pH = 10,5-11,5 ფარგლებში, Cp-ის სტრუქტურის გარკვეული დონეები სავარაუდოდ კვლავ შენარჩუნებული უნდა იყოს, ვინაიდან თიროზიდების სრული ექსპონირება გამხსნელში, ჩვენს შემთხვევაში, მიიღწევა მხოლოდ pH=11,5 მნიშვნელობის ზევით.

ლიტერატურის მონაცემის თანახმად, Cp, რომელიც დამუშავებულია ფუძით, ნეიტრალური pH-ის პირობებში ნაწილობრივ ადიდგენს სპექტროსკოპიულ პარამეტრებს [18]. აღნიშნული ფაქტი აგრეთვე მიუთითებს, რომ კონფორმაციული ცვლილებები, რომელსაც pH-ის მოცემულ ინტერვალში აქვს ადგილი, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ცილის სრული დენატურაციის პირობას და შექცევადია, თუმცა მხოლოდ გარკვეული ხარისხით.



სურ. 5. Cp-ზე ტუტის ზემოქმედებით მიღებული დიფერენციალური სპექტრები ულტრაიისფერ უბანში.

CCp=0,15.10⁻⁵ M,
 CNaOH=2,4.10⁻⁴ M,
 CNaOH=4,8.10⁻⁴ M,
 CNaOH=7,2.10⁻⁴ M,
 CNaOH=9,6.10⁻⁴ M,
 CNaOH=12.10⁻⁴ M.

ამგვარად, ჩვენს მიერ გამოყენებული ყველა მადენატურირებული აგენტი იწვევდა Cp-ის T1 და T3 სპილენძის იონების შთანთქმის შემცირებას, რაც განპირობებული უნდა იყოს ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი ურთიერთქმედებების (ლიგანდსა და სპილენძის იონს შორის ბმა, T3 იონების მაკაფშირებული ხიდი) რღვევით აღნიშნული იონების კოორდინაციულ გარემოში.

ლიტერატურა

1. *Брегадзе В.Г.* Диссертация на соискание учёной степени кандидата физико-математических наук. АН СССР. Инст.биологической физики, 1969.
2. *Брегадзе В.Г., Мchedlishvili E.З., Хуцишвили И.Т., Чхаберидзе Дж.Г.* Georgian Engineering News, 1999, 4, 5-8.
3. *Василец И.М.* Успехи биол. химии, 1973, 14, 172-201.
4. *Васильев В.Б., Качурин А.М., Рокко Дж.П., Бельтрамини М., Сальвато Б., Гаццоки В.С.* Биохимия, 1996, 61, 296-307.
5. *Жоли М.* Физическая химия денатурации белков. Москва, Мир, 1968.
6. *Кантор Ч., Шиммел П.* Биофизическая химия, т. 1. Москва, Мир, 1984.
7. *Налбандян Р.М.* Нейрохимия, 1986, 5, 74-84.
8. *Нейфах С.А., Васильев В.Б., Шавловский М.М.* Успехи биол. химии, 1988, 28, 102-124.
9. *Нейфах С.А., Шавловский М.М.* Прогресс в медицинской генетике. Под. ред. Н.П. Бочкова. АМН СССР. Москва, Медицина, 1978.
10. *Санина О.Л., Бердинский Н.К.* Вопросы мед. хим., 1986, 31, 7-14.
11. *Сергеев А.Г., Павлов А.Р. и др.* Биополимеры и клетка, 1988, 4, 245-250.
12. *Blumberg W.E., Eisinger J.* J.Biol. Chem., 1963, 238, 1675-1682.
13. *Calabrese L., Carbonaro M., Musci G.* J.Biol.Chem., 1989, 264, 6183-6187.
14. *Cole J.L., Clark P.A., Solomon E.I.* J.Am. Chem. Soc., 1990, 112, 9534-9548.
15. *Ferrer O., Bendahl L., Skov L.K., Pecht I.* J.Biol.Chem., 1999, 274, 26135-26140.
16. *Goldstein I.M., Kaplan H.B. et al.* J.Biol.Chem., 1979, 254, 10, 4045-4050.
17. *Herve M., Garnier A., Tosi L., Steinbuch M.* Biochim. Biophys. Acta, 1976, 439, 432-441.

18. Kasper C.B., Deutsch H.F., Beinert H. J.Biol.Chem., 1963, 238, 2338-2342.
19. Kim I.G., Park S.Y., et al. FEBS Lett., 1998, 431, 473-475.
20. Linder M.C., Wooten L. et al. Am. J. Clin. Nutr., 1998, 67, 965S-971S.
21. Lindley P.F., Card G., Zaitseva I., Zaitsev V., Reinhammer B., Lindgren E.S., Yoshida K. JBIC, 1997, 2, 454-463.
22. Osaki S., Johnson D.A., Frieden E. JBIC, 1996, 2, 2746-2751.
23. Quintanar L., Gethard M., Wang T.P. et al. J.Am. Chem.Soc., 2004, 126, 6579-6589.
24. Sreiber V. Вопросы биохимии мозга. т.13, Moscow, Mir. 1978.
25. Zaitseva I., Zaitsev V., Card G., Moshkov K., Bax B., Ralph A. JBIC, 1996, 1, 15-23.

ИЗМЕНЕНИЯ СПЕКТРОСКОПИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ ЦЕРУЛО- ПЛАЗМИНА В УСЛОВИЯХ ВОЗДЕЙСТВИЯ РАЗЛИЧНЫХ ДЕНАТУРИРУЮЩИХ АГЕНТОВ

М. Зибзибадзе, Л. Рамишвили, К. Арцивадзе, В. Брегадзе, Н. Котрикадзе

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Исследованы изменения спектроскопических параметров ионов меди в церулоплазмине, в условиях воздействия различных денатурирующих агентов. Обнаружено, что специфичность денатурирующего агента (H^+ , OH^- , мочевины) и степень денатурации по-разному отражаются на ионах гетерогенной меди церулоплазмине: в составе фермента, Т3 центр проявлял большую стабильность, нежели Т1 центр, хотя в условиях глубокой денатурации, оба подвергались существенным конформационным сдвигам. Кроме того, денатурирующие агенты вызывали уменьшение поглощения, характерного для ионов меди Т1 и Т3, что должно указывать на значение специфической координационной среды в сохранении нативных свойств указанных ионов.

INVESTIGATION OF ALTERATIONS IN SPECTROSCOPIC PARAMETERS OF CERULOPLASMIN, IN CONDITIONS OF IMPACT OF DIFFERENT DENATURING AGENTS

M. Zibzibadze, L. Ramishvili, K. Artsivadze, V. Bregadze, N. Kotrikadze

I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Alteration of spectroscopic parameters of the copper ions within ceruloplasmin were studied in conditions of an impact of different denaturing agents. It was found that specificity of denaturing agent (H^+ , OH^- , and urea) and level of denaturing reflect differentially on the heterogeneous ions of copper in ceruloplasmin – T3-center displayed higher stability within the enzyme than T1-center. However, in conditions of deep denaturing, both were subjected to significant conformational changes. Besides, the denaturing agents induced decrease of absorption capacity characteristic of T1 and T3 copper ions, which must point at importance of specific coordinating environment on retention of native properties of ions.

ცერულოპლაზმინის ოქსიდაზური აქტივობის უმსჯავლა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლში

*მ. ზიბზიბაძე, ლ. რამიშვილი, კ. არცივაძე, ვ. ბრევაძე,
თ. ჩიგოვანი, ლ. მანავაძე ნ. კოტრიკაძე*

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 17.05.2005

შესწავლილ იქნა ცერულოპლაზმინის (Cp) ოქსიდაზური აქტივობა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატში. გამოვლენილ იქნა T3 ცენტრების განსხვავებული რეჟანგვის ინტენსივობა სხვადასხვა სისხლის შრატის Cp-თვის, რომელიც არ იყო დამოკიდებული სისხლში Cp-ის შემცველობასა და მის ოქსიდაზურ აქტივობაზე. ნაჩვენებია იქნა, რომ T3 ცენტრების რეჟანგვის ინტენსივობა უფრო დაბალია პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატში, ვიდრე საკონტროლო ჯგუფსა და პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიით დაავადებულთა სისხლის შრატში. განხილულია T3 ცენტრების განსხვავებული რეჟანგვის განმარტობები შესაძლო მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: სისხლი, პროსტატის ადენოკარცინომა, ცერულოპლაზმინი, ოქსიდაზური აქტივობა

ცერულოპლაზმინი (Cp, ფკ 1.16.3.1) წარმოადგენს ხერხემლიანთა სისხლის პლაზმის სპილენძმემცველ გლიკოპროტეინს, ცისფერი ოქსიდაზების ოჯახიდან. იგი პოლიფუნქციური ბუნების ფერმენტია და ორგანიზმში რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს. მათ შორის აღსანიშნავია სპილენძის ტრანსპორტი [7, 20], ოქსიდაზური [2, 8], ფეროქსიდაზური [21, 23], განსაკუთრებით კი ანტიოქსიდანტური [9, 17, 18] ფუნქციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე Cp სისხლის პლაზმის ძირითად ანტიოქსიდანტად არის აღიარებული.

ცნობილია, რომ Cp-ის მოლეკულაში სპილენძის ექვსი ინტეგრალური იონი თანაობს, რომელთაგან ოთხი განლაგებულია უშუალო სიახლოვეს და ქმნის ფერმენტის კატალიზურ ცენტრს. სპექტროსკოპიული თვისებებით Cp-ის სპილენძის იონები სამ ტიპად იყოფა. მოლეკულაში წარმოდგენილია სპილენძის სამი პირველი ტიპის (T1A, T1B, T1C), ერთი მეორე ტიპის (T2),

და ორი მესამე ტიპის (T3) იონი. აქედან პირველი ტიპის, ცისფერ იონებს, ახასიათებთ მადალინტენსიური შთანთქმა 610 ნმ ტალღის სიგრძეზე (რომელიც განპირობებულია $Cys(S) \rightarrow Cu^{2+}$ მუხტის გადატანის ეფექტით), მეორე ტიპის (ე.წ. “ნორმალურ”) იონს გამოხატული შთანთქმა აბსორბციულ სპექტრში არ გააჩნია. მესამე ტიპი კი, წარმოდგენილია დიამაგნიტური სპილენძის წყვილით, რომელიც შთანთქავს 330 ნმ ტალღის სიგრძეზე, რაც ნატიური ფერმენტის შთანთქმის სპექტრში მხარის სახით ვლინდება [16, 25].

Cp-ის ფიზიკურ-ქიმიური და სპექტროსკოპიული თვისებების შესწავლა *in vitro* ცდებში, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ აღნიშნული თვისებები განსაზღვრავს Cp-ის როლში, მრავალფუნქციური ბუნების რეალიზაციას სისხლის სისტემაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ ვლინდება სისხლში Cp-ის სპეციფიკური სპექტროსკოპიული პარამეტრები, იცვლება თუ არა ისინი ამა თუ იმ ფიზიოლოგიური ან პათოფიზიოლოგიური მდგომარეობის დროს, და წარმოადგენენ თუ არა აღნიშნული ცვლილებები ცილის სტრუქტურის, ან ფერმენტული აქტივობის ცვლილებების შედეგს. მიუხედავად Cp-სადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვლევების დიდი რაოდენობისა, ინფორმაცია, ამა თუ იმ დაავადების ფონზე Cp-ის სტრუქტურული შენებისა და ფერმენტული აქტივობის შესახებ, საკმაოდ მწირია. ნაკლებადაა იგი შესწავლილი უშუალოდ სისხლის სისტემაში, კერძოდ სიმსივნემატარებელი ადამიანების სისხლში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა Cp-ის ოქსიდაზური აქტივობის შესწავლა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატში.

მასალა და მეთოდები

გამოყენებულია დონორის სისხლიდან გამოყოფილი და სამრეწველო წესით დამზადებული Cp-ის პრეპარატი (Biofarma). $A_{610}/A_{280} = 0.041$ [12], რაც შეესაბამებოდა ცილის 90-95%-იან სისუფთავის ხარისხს. აბსორბციული და დიფერენციალური შთანთქმის სპექტრები ჩაწერილ იქნა სპექტროფოტომეტრ CF 26-ზე.

Cp-ის ოქსიდაზური აქტივობა შეისწავლებოდა პარაფენილდიამინის დიჰიდროქლორიდის (p-PDA, Lancaster) თანაობისას, 530 ნმ ტალღის სიგრძეზე (აღნიშნულ ტალღის სიგრძეზე შთანთქავს p-PDA-ის ფერმენტული ქანგვის საბოლოო პროდუქტი – ბანდროესკის ფუძე [5, 10]). p-PDA წარმოადგენს სინთეზურ და, ამავე დროს, სპეციფიკურ სუბსტრატს Cp-თვის. ცნობილია, რომ სისხლის შრატის ოქსიდაზური აქტივობა p-PDA-ის მიმართ, პრაქტიკულად მთლიანად Cp-ით არის განპირობებული [8].

სისხლში Cp-ის რაოდენობრივი შემცველობა ისაზღვრებოდა რავინის მოდიფიცირებული მეთოდით [1]. ფერმენტის ან სისხლის შრატის p-PDA-თან ურთიერთქმედების შესწავლისათვის ხორციელდებოდა მათი ინკუბაცია ერთი საათის განმავლობაში, 37°C-ზე, წყლის აბაზანაზე. p-PDA-ის

ხსნარი მზადდებოდა უშუალოდ ექსპერიმენტის წინ და გამოიყენებოდა დამზადებიდან ორი საათის განმავლობაში. ჰომოგენური პრეპარატისა და სისხლის შრატის Cp-ის T1 და T3 ცენტრების ფუნქციურ აქტივობაზე ვმსჯელობდით ΔA_{330} და ΔA_{610} პარამეტრებით. ექსპერიმენტის პირველ ნაწილში დიფერენციალური სპექტროფოტომეტრიის საშუალებით ხდებოდა საკონტროლო და სასინჯი არეების შედარება, რომელთაგანაც სუბსტრატი (p-PDA) თანაობდა მხოლოდ სასინჯ არეში. ექსპერიმენტის მეორე ნაწილში გამოიყენებოდა ინკუბაციის ანალოგიური პირობები, იმ განსხვავებით, რომ ხორციელდებოდა შრატის განზავება შრატის თითოეულ სინჯში Cp-ის ფიქსირებული რაოდენობის (25 მგ%) მისაღებად. ფერმენტული რეაქცია წყდებოდა ერთი საათის შემდეგ, 0,13 M NaF-ის დამატებით. კვლევისათვის გამოიყენებოდა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლი. გამოკვლევები უტარდებოდა პაციენტებს, რომელთა საშუალო ასაკი სიმსივნის პირველადი გამოვლინებისას 60-75 წელი იყო. დაავადების კლინიკური სტადიის დადგენა ხორციელდებოდა წინამდებარე ჯირკვლის რექტალური, ჰისტოლოგიური და ექოგრაფიული გამოკვლევებით.


შედეგები და მათი განხილვა

სისხლის სისტემაში Cp-ის ოქსიდაზური აქტივობის შესწავლის მიზნით გამოკვლეულ იქნა Cp-ის ჰომოგენური პრეპარატის, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიითა და პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატის Cp-ის აქტივობა p-PDA-ის, როგორც სუბსტრატის გამოყენების შემთხვევაში.

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ Cp-ის ჰომოგენური პრეპარატისათვის მიღებულ დიფერენციალურ სპექტრში (სურ. 1.1), აღინიშნებოდა ინტენსიური პიკი 530 ნმ ტალღის სიგრძეზე, რომელიც, როგორც ცნობილია, შეესაბამება ცილის ოქსიდაზურ აქტივობას, და რეაქციის საბოლოო პროდუქტის (ბანდროვსკის ფუძის) წარმოქმნის ინტენსივობას ასახავს [5, 10]. გარდა აღნიშნული პიკისა, სპექტრში ვლინდებოდა მცირე მხარი 610 ნმ და მაქსიმუმი 330 ნმ ტალღის სიგრძეებზე (სურ. 1.1).

ცნობილია, რომ შთანთქმა 610 ნმ ტალღის სიგრძეზე განპირობებული უნდა იყოს სპილენძის პირველი ტიპის იონებით (T1) (სურ. 1.1), რომლებიც Cp-ის მოლეკულაში სამი დამოუკიდებელი ცენტრის სახით არის წარმოდგენილი – T1A, T1B, T1C [16] (T1 ცენტრები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ლოკალიზაციით, ასევე რედოქს-პოტენციალების მნიშვნელობებითა და ადგენა-რეჟანგვის სიჩქარეებით). ცნობილია ისიც, რომ სუბსტრატთან აერობულ პირობებში ურთიერთქმედების დროს, Cp-ის T1 ცენტრების სრული რეჟანგვა არ ხორციელდება, ანუ 50%-60% მოცემული ცენტრებისა, სუბსტრატიდან ელექტრონის მიღების შემდეგ, ინარჩუნებს ადგენილ მდგომარეობას [14, 19], რაც გამოწვეულია T1 ცენტრებს შორის სპექტროსკოპიული და კინეტიკური პარამეტრების სხვაობით. შედეგად, პირველი ტიპის ცენტრების ნაწილი (T1A), სუბსტრატის ელექ-

ტრონით აღდგენის შემდეგ, განიცდის სწრაფ რეჟანგვას, ხოლო მეორე ნაწილი (T1B) – აღდგება სწრაფად, მაგრამ რეჟანგვას არ განიცდის (ან რეჟანგვა დამოკიდებულია დროზე და გაცილებით ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე T1A ცენტრების შემთხვევაში) [13, 15, 16]. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მესამე ცისფერი იონი (T1C), დაჟანგულ ცილაში მუდმივად აღდგენილ ფორმაში იმყოფება და შთანთქმაში წველილი (მოცემულ ტალღის სიგრძეზე) არ შეაქვს [11, 16]. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხარი 610 ნმ ტალღის სიგრძეზე შეესაბამება რედაჟანგული T1A ცენტრების რაოდენობას და, პრაქტიკულად, კატალიზური ცენტრის ცისფერი იონების შთანთქმას წარმოადგენს.



სურ. 1. Cp-ის ოქსიდაზური აქტივობის ცვლილება სისხლის შრატში p-PDA-ის თანაობისას. p-PDA = $2,49 \cdot 10^{-3}$ M; ნატრიაცეტატის ბუფერი = 0,4 M; pH=5,5.

1. Cp-ის ჰომოგენური პრეპარატი, Cp = $2,73 \cdot 10^{-8}$ M;
2. საკონტროლო ჯგუფი, Cp = $1,81 \cdot 10^{-8}$ M, (Cp = 26,625 მგ% სისხლში);
3. პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, Cp = $2,09 \cdot 10^{-8}$ M, (Cp = 30,625 მგ% სისხლში);
4. პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, Cp = $1,31 \cdot 10^{-8}$ M, (Cp = 19,25 მგ% სისხლში);
5. პროსტატის აღენოკარცინომა, Cp = $5,02 \cdot 10^{-8}$ M, (Cp = 73,5 მგ% სისხლში).


რაც შეეხება სპილენძის დიამაგნიტურ ცენტრს (T3), ამ უკანასკნელის რეჟანგვა წარიმართება თითქმის მთლიანად (~90%-ით) [13], რაც აისახება დიფერენციალურ სპექტრში მაქსიმუმით 330 ნმ ტალღის სიგრძეზე (სურ. 1.1). ამგვარად, აღნიშნული მაქსიმუმის ინტენსივობა პირდაპირ კავშირშია რედაქანგული T3 ცენტრების რაოდენობასთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ოპტიკური სიმკვრივის სიდიდეების ცვლილება 330 ნმ და 610 ნმ ტალღის სიგრძეებზე (ΔA_{330} და ΔA_{610}), უნდა შეესაბამებოდეს Cp-ის T1 და T3 ცენტრების რედაქანგულ ფორმებს და ასახავდეს აღნიშნული ცენტრების ფუნქციურ აქტივობას ფერმენტული კატალიზის პროცესში, როგორც Cp-ის ჰომოგენური პრეპარატისათვის (სურ. 1.1), ასევე Cp-ისათვის უშუალოდ სისხლის შრატში. ΔA_{610} და ΔA_{330} ფიგურირებს იმ დიფერენციალურ სპექტრებშიც, რომლებიც მიღებულია საკონტროლო ჯგუფის (სურ. 1.2), პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიითა (სურ. 1.3, სურ. 1.4) და პროსტატის ადენოკარცინომით (სურ. 1.5) დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატებისათვის. ვინაიდან აღნიშნული პათოლოგიების შემთხვევაში სისხლის შრატი განსხვავდება Cp-ის რაოდენობით, შესაბამისად, განსხვავდება p-PDA-ის ფერმენტული ჟანგვის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტის რაოდენობაც, რაც აისახება 530 ნმ ტალღის სიგრძეზე პიკის ინტენსივობის ცვლილებაში. ამავ დროს, დიფერენციალური სპექტრების შედარების შედეგად ჩანს, რომ შთანთქმის ცვლილება 330 ნმ ტალღის სიგრძეზე (რომელიც T3 ცენტრების რეჟანგვისათანაა დაკავშირებული), სხვადასხვა საკვლევ ობიექტში სხვადასხვა ხასიათს ავლენს (სურ. 1.3, სურ. 1.5).

კვლევის შემდგომ ეტაპზე, T3 ცენტრების რეჟანგვის შესასწავლად გამოყენებულ იქნა საკონტროლო ჯგუფის, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიითა და პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატი Cp-ის ერთი და იგივე კონცენტრაციის (25 მკგ) პირობებში. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ რეაქციის პროდუქტის (ბანდროვისის ფუძე) წარმოქმნის ინტენსივობა 530 ნმ ტალღის სიგრძეზე ემთხვევა ერთმანეთს ყველა საკვლევ ობიექტში $\pm 0,003$ ფ.ე-ის ცდომილებით (სურ. 2). ე.ი., ყველა შემთხვევაში, Cp-ის ერთი და იგივე რაოდენობის პირობებში, ცილის ოქსიდაზური აქტივობა (p-PDA-ის მიმართ) ერთნაირ მანქნებელს აღწევს. რაც შეეხება შთანთქმას 330 ნმ ტალღის სიგრძეზე, ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან ვარიაციებს განიცდის, ანუ საკონტროლო ჯგუფის (სურ. 2.1), კეთილთვისებიანი (სურ. 2.2) და ავთვისებიანი სიმსივნეებით (სურ. 2.3) დაავადებულთა სისხლის შრატში T3 ცენტრების რეჟანგვის ხარისხი განსხვავებულია. კერძოდ, T3 ცენტრების რეჟანგვის ხარისხი მეტია საკონტროლო ჯგუფის მამაკაცების შრატში, მცირდება კეთილთვისებიანი სიმსივნის დროს და უფრო დაბალია პროსტატის ადენოკარცინომის შემთხვევაში.

T3 ცენტრების განსხვავებული რეჟანგვა შესაძლებელია განპირობებული იყოს სხვადასხვა სისხლის შრატში ცირკულირებადი ცერულოპლაზმინის შემადგენლობაში T3 ცენტრების ჟანგვითი ხარისხის განსხვა-

ვეებული ბუნებით, რაც უნდა განაპირობებდეს T3 ცენტრების სხვადასხვა ფუნქციურ აქტიუობასაც. თავის მხრივ, აღნიშნული განსხვავება შესაძლოა წარმოადგენდეს ან გენეტიკურად განსაზღვრულ სპეციფიკურ ფაქტორს, ან ფერმენტის კონფორმაციული ცვლილებების შედეგს კონკრეტულ ფიზიოლოგიურ თუ პათოფიზიოლოგიურ პირობებში.



სურ. 2. Cp-ის T3 ცენტრების რეჟანგვის ინტენსივობის ცვლილება სისხლის შრატში. $C_p = 1,710^{-8}$ M ($C_p = 25$ მგ%, სისხლში). $p\text{-PDA} = 2,49 \cdot 10^{-3}$ M. 1. საკონტროლო ჯგუფი; 2. პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია; 3. პროსტატის ადენოკარცინომა.

T3 ცენტრების რეჟანგვის კლების ტენდენცია და დაბალი ინტენსივობით რეჟანგვა პროსტატის ადენოკარცინომის შემთხვევაში (სურ. 2.3), შესაძლებელია, დაკავშირებულია Cp-ის ანტიოქსიდანტურ ფუნქციასთან, კერძოდ კი, ანტიოქსიდანტური აქტიუობის გაძლიერებასთან. ლიტერატურაში არსებობს მონაცემები, რომლის თანახმად ცერულოპლაზმინის კატალიზური ცენტრი ფუნქციობს არა მარტო სრული სახით, არამედ რედუცირებული ფორმითაც, რაც გამოიხატება სპილენძის ცალკეული ცენტრების ავტონომიური მოქმედების უნარით [3, 4] და Cp-ის მოლეკულაში ელექტრონის გადატანის ერთზე მეტი შესაძლებლობით [21, 24]. სპილენძის ცალკეული იონების დამოუკიდებელი ფუნქციობის უნარი განიხილება, როგორც “დამხმარე” მექანიზმი Cp-ის ფერმენტული აქტიუობისათვის, რო-

მელიც, საჭიროების შემთხვევაში, ერთეუბა და გამოიყენება რამოდენიმე ფუნქციის ეფექტური შეუღლებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ “გაძლიერებული რეჟიმის” პირობებში Cp-ის ფუნქციობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სპილენძის ცალკეული ცენტრების რედოქს-მდგომარეობაზე, მათ შორის T3 ცენტრების ჟანგვით ხარისხზეც და გაზარდოს აღდგენილი T3 ცენტრების წილი ფერმენტის შემადგენლობაში, რაც თავისთავად უნდა იწვევდეს T3 ცენტრების რეჟანგვის კლებას. ლოგიკურია ვივარაუდოთ ისიც, რომ აღნიშნული “დამხმარე” მექანიზმი ერთეუბა მაშინ, როდესაც იზრდება მოთხოვნილება Cp-ზე, როგორც ანტიოქსიდანტზე (პროსტატის ადენოკარცინომის დროს სისხლში Cp-ის რაოდენობა მატულობს საკონტროლო ჯგუფსა და კეთილთვისებიან სიმსივნესთან შედარებით და აღემატება 60 მგ%, სურ. 15). ე.ი. პროსტატის ადენოკარცინომის პირობებში ანტიოქსიდანტური აქტივობის გაძლიერებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს Cp-ის T3 ცენტრების ჟანგვით ხარისხზე, რაც მიუთითებს, რომ ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების პირობებში Cp შესაძლოა განიცდიდეს არამარტო რაოდენობრივ, არამედ კონფორმაციულ ცვლილებებსაც.

ცნობილია, რომ ორგანიზმის დაბერებასთან ერთად (65 წ. და ზემოთ) Cp ექვემდებარება ჟანგვით მოდიფიკაციებს, რაც სპილენძის იონების კოორდინაციულ გარემოში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს. შედეგად ადგილი აქვს შიდამოლეკულური ელექტრონული ტრანსპორტის განხორციელებას T1 ცენტრიდან სამბირთვიან კლასტერზე, შესაბამისად, – T1 ცენტრის რეჟანგვასა და სამბირთვიანი კლასტერის ნაწილობრივ აღდგენას [22]. არაა გამორიცხული, რომ სწორედ აღნიშნული მოვლენა განაპირობებს T3 ცენტრების ჟანგვითი ხარისხის შემცირებას პროსტატის ადენოკარცინომის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც პათოლოგიით გამოწვეული და არა ასაკით განპირობებული. ჩვენს მიერ მოწოდებული მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ყველა შესწავლილი მამაკაცი მიეკუთვნებოდა ერთი და იგივე ასაკობრივ ჯგუფს (60-75 წ.), თუმცა ნანახი იყო სხვაობა საკონტროლო ჯგუფის, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიითა და პროსტატის ადენოკარცინომით დაავადებულთა სისხლის შრატებს შორის (სურ. 2).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ T2 და T3 ცენტრებს შორის არსებობს მჭიდრო და ურთიერთდამოკიდებული კავშირები, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული ორი ცენტრი ერთ სტრუქტურულ-ფუნქციურ ერთეულს – სამბირთვიან კლასტერს – ქმნის [14, 15]. აქედან გამომდინარე, T3 ცენტრების რეჟანგვის ინტენსივობის შემცირება პროსტატის ადენოკარცინომის შემთხვევაში შესაძლებელია ასახავდეს ნაწილობრივ აღდგენილი კლასტერის მდგომარეობას, რაც, თავის მხრივ, განპირობებული უნდა იყოს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების ფონზე ჟანგვითი პროცესის გაძლიერებით და შესაბამისად, Cp-ში მიმდინარე ჟანგვითი ცვლილებებით. ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების ფონზე Cp-ში განხორციელებულ კონფორმაციულ ცვლილებებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ T3 ცენტრების რეჟანგვის ინტენსივობა არაა დამოკიდებული სისხლში Cp-ის რაოდენობასა და ოქსიდაზურ აქტივობაზე. T3 ცენტრების რეჟანგვის ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა სისხლის შრატის Cp-ში. ეს უკანასკნელი კლებულობს პათოლოგიის დამძიმების პარალელურად, რაც გამოწვეული უნდა იყოს Cp-ის ანტიოქსიდანტური ფუნქციის გაძლიერებითა და ამ უკანასკნელში განხორციელებული კონფორმაციული ცვლილებებით, რომლებიც ორგანიზმში სიმსივნის განვითარების ფონზე მიმდინარეობს.

ლიტერატურა

1. *Бестужева С.В., Колб В.Т.* Клиническая биохимия. Минск, 1976.
2. *Василец И.М.* Успехи биол. химии, 1973, 14, 172-201.
3. *Васильев В.Б., Качурин А.М., Сорока Н.В.* Биохимия, 1988, 53, 2051-2058.
4. *Васильев В.Б., Нейфах С.А., Русаков Д.В. и др.* Биохимия, 1988, 53, 620-625.
5. *Мошков К.А., Усатенко М.С., Бурмистров С.О., Яковлев А.С.* Лаб. дело, 1985, №7, 390-394.
6. *Налбандян Р.М.* Неирохимия, 1986, 5, 74-84.
7. *Нейфах С.А., Васильев В.Б., Шавловский М.М.* Успехи биол. химии, 1988, 28, 102-124.
8. *Нейфах С.А., Шавловский, М.М.* Прогресс в медицинской генетике. Под ред. Н.П. Бочкова. АМН СССР., Москва, Медицина, 1978.
9. *Сергеев А.Г., Павлов А.Р., и др.* Биополимеры и клетка, 1988, 4, 245-250.
10. *Тинтерис Л.В., Шапошников А.М.* Биохимия, 1978, 43, 979-987.
11. *Bielli P. et al.* J.Biol.Chem., 2001, 276, 2678-2685.
12. *Blumberg W.E., Eisinger J.* J.Biol. Chem., 1963, 238, 1675-1682.
13. *Calabrese L., Carbonaro M.* Biochem. J., 1986, 238, 291-295.
14. *Calabrese L., Carbonaro M., Musci G.* J.Biol.Chem., 1988, 263, 6480-6483.
15. *Calabrese L., Carbonaro M., Musci G.* J.Biol.Chem., 1989, 264, 6183-6187.
16. *Farrer O., Bendahl L., Skov L.K., Pecht I.* J.Biol.Chem., 1999, 274, 26135-26140.
17. *Goldstein I.M., Kaplan H.B. et al.* J.Biol.Chem., 1979, 254, 4045-4050.
18. *Kim I.G., Park S.Y. et al.* FEBS Lett., 1998, 431, 473-475.
19. *Ley D.M., Osaki S.* Biochem. J., 1975, 151, 561-566.
20. *Linder M.C., Wooten L. et al.* Am. J. Clin. Nutr., 1998, 67, 965S-971S.
21. *Lindley P.F., Card G., Zaitseva I., Zaitsev V. et al.* JBIC, 1997, 2, 454-463.
22. *Musci G., Maria C., Bonaccorsi G. et al.* J.Biol.Chem., 1993, 268, 13388-13395.
23. *Osaki S., Johnson D.A., Frieden E.* JBIC, 1996, 241, 2746-2751.
24. *Quintanar L., Gethard M., Wang T.P.* J.Am. Chem.Soc., 2004, 126, 6579-6589.
25. *Zaitseva I., Zaitsev V., Card G., Moshkov K., Bax B., Ralph A.* JBIC, 1996, 1, 15-23.

ИССЛЕДОВАНИЕ ОКСИДАЗНОЙ АКТИВНОСТИ ЦЕРУЛОПЛАЗМИНА В КРОВИ МУЖЧИН БОЛЬНЫХ ОПУХОЛЯМИ ПРОСТАТЫ

*М. Зибзибадзе, Л. Рамишвили, К. Арцивадзе, В. Брегадзе, Т. Чигогидзе,
Л. Манაгадзе, Н. Котрикадзе*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

В работе исследована оксидазная активность церулоплазмينا (Ср) в сыворотке крови мужчин с опухолями простаты. Выявлена различная интенсивность реоксидации Т3-центров для Ср различных сывороток крови, которая не зависела от содержания Ср в крови и его оксиданой активности. Показано, что интенсивность реоксидации Т3-центров меньше в сыворотке крови больных аденокарциномой простаты, по сравнению с контрольной группой и сывороткой крови больных с доброкачественной гиперплазией простаты. Рассмотрены возможные причины, обуславливающие различную реоксидацию Т3-центров.

INVESTIGATION OF CERULOPLASMIN OXIDATIVE ACTIVITY IN THE BLOOD OF THE MEN WITH PROSTATE TUMORS

*M. Zibzivadze, L. Ramishvili, K. Artsivadze, V. Bregadze, T. Chigogidze,
L. Managadze, N. Kotrikadze*

I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The oxidative activity of ceruloplasmin (Cp) has been studied in the blood serum of the men with prostate tumors. Differential reoxidation intensity of the T3-centers has been revealed for Cps in different blood sera, which is not dependent on content of Cp in the blood and on its oxidative activity. It was shown that reoxidation intensity of the T3-centers in the blood of the men with prostate adenocarcinoma is lower than in control group and in the blood serum of the patients with benign prostate hyperplasia. Possible causes of differential reoxidation of the T3-centers is discussed.

სოიოთი მდიდარი დიეტის როლი ქოლესტერინის მეტაბოლიზმის რეგულაციაში

ნ. თხილავა, ე. ეკალაძე, გ. ბურჯანაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 17.05.2005

ფიტოესტროგენების კვლევა ძალზე ინტენსიური გახდა ბოლო წლებში, ჯან-მრთელობისათვის მათი შესაძლო სასარგებლო გავლენის გამო. ეპიდემიოლოგიური კვლევებით ნაჩვენებია, რომ საკვებ პროდუქტებში, განსაკუთრებით, სოიოში, დიდი რაოდენობით არსებულმა ფიტოესტროგენებმა შეიძლება მრავალი ჰორმონდამოკიდებული დაავადების, მაგალითად, ზოგიერთი სიმსივნის (მკერდის, ნაწლავის, პროსტატის), გულ-სისხლძარღვთა და სხვ., განვითარების რისკი შეამციროს. ჩვენი კვლევის მიზანი იყო სოიოთი მდიდარი დიეტის გავლენის შეფასება საქსპერიმენტო მდელი ვირთაგეების ($n = 27$) სისხლში საერთო ქოლესტერინის, ესტროგენებისა და ერთროციტების დეფორმაციის უნარზე. ჩვენი მონაცემებით, აღნიშნული დიეტის 3-თვიანი კურსის შედეგად ესტროგენების კონცენტრაცია სისხლში გაიზარდა 11%-ით ($p < 0,001$), ქოლესტერინის დონე შემცირდა 19,2%-ით ($p < 0,001$), ხოლო ერთროციტების დეფორმაციის უნარი 1,41-ჯერ ($p < 0,01$) გაიზარდა. როგორც ჩანს, სოიოს დამატებამ საკვებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ლიპიდური ცვლა, რაც დადებითად აისახა ერთროციტების მეტაბოლიზმზე ცეფიქრობით, ჩვენი მონაცემები მიუთითებს სოიოს პროდუქტების სარგებლობაზე ლიპიდური ცვლის დარღვევით მიმდინარე დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

საკვანძო სიტყვები: ფიტოესტროგენები, იზოფლავონები, ქოლესტერინი, ერთროციტების დეფორმაციის უნარი

ბოლო წლებში სამეცნიერო წრეებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი სოიოს და მისი პროდუქტების მიმართ, მათი შესაძლო ჰორმონული (ან მსგავსი) ეფექტების გამო, განსაკუთრებით მდელირობითი სქესის წარმომადგენლებში [4].

სოიო ფიტოესტროგენების მდიდარ წყაროს წარმოადგენს [6]. ფიტოესტროგენები მცენარეული ნაერთებია, რომლებიც, სტრუქტურულად და ფუნქციურად, 17 β -ესტრადიოლის მსგავსნი არიან და, შესაბამისად, ესტროგენული ეფექტებით ხასიათდებიან [4, 6]. კვლევის აქტუალობის თვალსაზრისით, ფიტოესტროგენების კვლევისთვის ყველაზე საინტერესო ქვე-

ჯგუფს, იზოფლაგონები წარმოადგენს, რომელთა კონცენტრაცია სოიოში ძალიან დიდია. ამასთან, სოიოს გავლენა მეტაბოლიზმზე, სწორედ ამ ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებითაა განპირობებული [5, 6]. სოიოს იზოფლაგონებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენისტიინი და დაიზეინი. საერთოდ, იზოფლაგონები, ჭეშმარიტ ჰორმონებთან შედარებით, სუსტი ესტროგენებია, თუმცა მათი მაღალი კონცენტრაციები გამოხატული ეფექტით ხასიათდება [6].

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალროცხოვანი მასალა დაგროვდა მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე ფიტოესტროგენების ეფექტურობის შესახებ, მრავალ დაავადებასთან კავშირში, როგორებიცაა სიმსივნე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ათეროსკლეროზი და სხვა. ეპიდემიოლოგიური გამოკვლევით ნაჩვენებია, რომ ამ დაავადებების, აგრეთვე, ოსტეოპოროზული მოტეხილობების და კლიმაქსის თანმხლები სიმპტომების სიხშირე გაცილებით ნაკლებია იმ პოპულაციებში, რომელთა დიეტა მდიდარია მცენარეული პროდუქტებით, განსაკუთრებით კი - სოიოთი [7].

სოიო, არის რა ფიტოესტროგენებით მდიდარი პროდუქტი, შესაძლოა, ხასიათდებოდეს მეტაბოლიზმის და, განსაკუთრებით, ჰორმონდამოკიდებული პროცესების მოდულირების უნარით. გარდა იმისა, რომ ესტროგენები მონაწილეებენ გამრავლების, ლაქტაციის და სხვა პროცესებში, ისინი გავლენას ახდენენ, ასევე, მიწერალთა ცვლასა და ცილების, ნახშირწყლების და, განსაკუთრებით, ლიპიდების მეტაბოლიზმზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სოიოს გავლენის შეფასება სისხლში ესტროგენების და საერთო ქოლესტერინის კონცენტრაციაზე. ამასთან, ვიკვლევდით ერთროციტების დეფორმაციის უნარის ცვლილებას.

მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ვისტარის ჯიშის ზრდასრული მდედრი ვირთაგვები (200-250 გ, $n = 27$), რომელთა ძირითად საკვებს 3 თვის განმავლობაში წარმოადგენდა სოიოს ფაფა (დედში, საშუალოდ, 80 გ). საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებს ($n = 21$) ეძლეოდათ შერეული, ამ ჯიშისთვის შესაფერისი საკვები. ვირთაგვებს ვკლავდით დეკაპიტაციით.

საკვლევი მასალა იყო სისხლი, რომლის მიღება ხდებოდა ვირთაგვის მოკვდინებისთანავე. ესტროგენების კვლევას ვაწარმოებდით ფორმა GST-ტიპის რეფლექტომეტრით RVSI, ქოლესტერინის კონცენტრაციას ვსაზღვრავდით Accutrend-GCT ტიპის რეფლექტომეტრით, ხოლო ერთროციტების დეფორმაციის უნარის ცვლილებას - ფილტრაციულ-კოლორიმეტრიული მეთოდით [2], ერთროციტების გაწოვის დროის მიხედვით - რაც მეტია ერთროციტის გაწოვის დრო, მით ნაკლებია დეფორმაციის უნარი და პირიქით.

შედეგები და მათი განხილვა

როგორც სურ. 1-დან ჩანს, ექსპერიმენტული ცხოველების სისხლში ესტროგენების კონცენტრაცია გაიზარდა 11%-ით ($p < 0.001$), ხოლო ქოლე-

სტერინის რაოდენობა შემცირდა 19,2%-ით ($p < 0,001$). ერთორციტების დეფორმაციის უნარი გაიზარდა 1,41-ჯერ ($p < 0,01$).

ცნობილია, რომ ესტროგენები ქოლესტერინის ნაწარმებია და სტრუქტურულადაც მისი მსგავსნი არიან [3]. სტრუქტურულმა მსგავსებამ კი 17 β -ესტრადიოლსა და სოიოს ფიტოესტროგენებს შორის, შესაძლოა, გამოიწვიოს იდენტური მოქმედება სამიზნე ბიოლოგიურ სისტემებზე [4]. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქოლესტერინის კონცენტრაციის შემცირების მიზეზი ქოლესტერინის მეტაბოლიზმზე სოიოს ფიტოესტროგენების შესაძლო გავლენაში უნდა ვეძებოთ.


ცნობილია, რომ ესტროგენები ჰორმონულ ეფექტს ასორციელებენ არა უჯრედის მემბრანის რეცეპტორთან, არამედ უჯრედშიგა რეცეპტორთან დაკავშირების გზით. წარმოქმნილი ჰორმონ-რეცეპტორული კომპლექსი უკავშირდება ღნმ-ის რეგულაციურ ერთეულებს (HRE-Hormone Responsive Elements), რაც იწვევს საინფორმაციო რნმ-ის სინთეზის სტიმულაციას, ან ინჰიბირებას. შესაბამისად, ვითარდება ცილების სინთეზის ინდუქცია, ან რეპრესია [3].

ვფიქრობთ, რომ ჩვენს ექსპერიმენტში ესტროგენების გავრდილმა კონცენტრაციამ გამოიწვია გენურ დონეზე საინფორმაციო რნმ-ის სინთეზის ინჰიბირება, რამაც ტრანსკრიპციისა და ტრანსლაციის დონეზე ქოლესტერინის ბიოსინთეზის მთავარი მარეგულირებელი ფერმენტის, HMG-CoA რედუქტაზას, სინთეზის რეპრესია გამოიწვია. შედეგად, ქოლესტერინის ბიოსინთეზი დაითრგუნა და მისი კონცენტრაცია სისხლში დაქვეითდა.

აღნიშნული ინტერპრეტაციის საფუძველს გვაძლევს შემდეგი: ცნობილია, რომ ქოლესტერინის მეტაბოლიზმში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციფიკურ LDL-რეცეპტორებს, რომლებიც უჯრედის მემბრანის ზედაპირზეა მოთავსებული [1]. LDL-რეცეპტორებს მაღალი მგრძობელობა და სპეციფიკურობა გააჩნია აპოპროტეინ B-100E-ს მიმართ, რომელსაც LDL შეიცავს. LDL კი, ქოლესტერინის ძირითადი მატარებელია. სპეციფიკურ რეცეპტორთან LDL-ის დაკავშირების შედეგად წარმოქმნილი LDL-ApoB-100E კომპლექსი ენდოციტოზის გზით მოხვდება უჯრედში; ლიზოსომური ფერმენტების ზეგავლენით ენდოსომას ჩამოშორდება ApoB-100E რეცეპტორი და ბრუნდება უჯრედის ზედაპირზე, ხოლო ქოლესტერინის ეთერები ქოლესტერინ-ესთერაზას მოქმედებით განიცდის ჰიდროლიზს. მიღებული თავისუფალი ქოლესტერინი ლიზოსომიდან ციტოპლაზმაში დიფუნდირებს და, რეტროინჰიბირების გზით, იწვევს HMG-CoA რედუქტაზას ინჰიბირებას. გარდა ამისა, იგი იწვევს აღნიშნული ფერმენტის სინთეზის რეპრესიას. ამავე დროს, გამოთავისუფლებული ქოლესტერინი იწვევს ApoB-100E გენის სინთეზის შემცირებას (down-regulation) LDL-ის გენის ტრანსკრიპციის დაქვეითების გამო [1, 3].

ჩვენს ექსპერიმენტში სოიოთი დატვირთული ცხოველების ერთორციტების გაწოვის დრო შემცირდა, რაც მემბრანის დეფორმაციის უნარის გაზრდაზე მიუთითებს. ეს შედეგი საესებო ეთანხმება ლიტერატურის

მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ქოლესტერინი უჯრედის მემბრანის უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი კონცენტრაცია მემბრანაში პირდაპირპროპორციულია სისხლის პლაზმაში მისი რაოდენობისა [1, 3]. ერითროციტის (ისევე, როგორც ნებისმიერი უჯრედის) მემბრანაში ქოლესტერინის კონცენტრაციის მომატება მემბრანის სისხისტის გაზრდას იწვევს, რაც დეფორმაციის უნარს ამცირებს და, პირიქით, როცა მისი ნაკლებობაა, ერითროციტი ნორმაზე მეტად სწრაფად მოძრაობს, რაც ჩვენი მონაცემებითაც დასტურდება.



I - საკონტროლო ჯგუფი, II - ექსპერიმენტული ჯგუფი

როგორც ჩანს, საექსპერიმენტო ცხოველების საკვებ რაციონში სოიოს დამატებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სისხლში ესტროგენების კონცენტრაცია, გააუმჯობესა სისხლის ლიპიდური და ლიპოპროტეინული ცვლა. ეს კი, თავის მხრივ, ერითროციტის მეტაბოლიზმზე დადებითად აისახა. ჩვენი მონაცემები მიუთითებს სოიოს პროდუქტების ეფექტურობაზე. ამგვარად, სოიოს პროდუქტები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ლიპიდური ცვლის დარღვევით მიმდინარე დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

ლიტერატურა

1. *კოქინაშვილი მ.ს.* სამედიცინო ბიოქიმია. თბილისი, 1996.
2. *ხელუზაური თ. და თან.* Georgian Medical News, 1997, 6, 7-9.
3. *Devlin T.M.* Biochemistry with clinical correlations. USA, 1997.
4. *Kim H. et al.* Biochem. Soc Trans., 2001, 29, 216-22.
5. *Knight D.C., Eden J.A.* Obstet. Gynecol., 1996, 87, 897-904.
6. *Messina M., Messina V. J.* Ren. Nutr., 2000, 10(2):63-8.
7. *Tham D.M., Gardner C.D., Haskell W.L.* J. Clin. Endocrinol. Metab., 1998, 83, 2223-2235.

РОЛЬ ДИЕТЫ, ОБОГАЩЁННОЙ СОЕЙ, В РЕГУЛЯЦИИ МЕТАБОЛИЗМА

Н. Тхилава, Э. Экаладзе, Г. Бурджанадзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

В последние годы исследования фитоэстрогенов стали очень интенсивными, в связи с их благоприятным влиянием на здоровье человека.

Эпидемиологические исследования показали, что содержащиеся в сое, в большом количестве эстрогены, могут снизить риск развития многих гормон-зависимых заболеваний (напр.: опухоли молочной железы, тонкой кишки, простаты и т.д.).

Целью наших исследований была оценка влияния диеты, обогащенной соей, на содержание в крови общего холестерина, эстрогенов, и на способность эритроцитов к деформации. По нашим данным, на фоне вышеуказанной 3-месячной диеты, концентрация эстрогенов в крови повысилась на 11% ($p < 0,001$), уровень холестерина снизился на 19,2% ($p < 0,001$), а деформабельность эритроцитов увеличилась 1,41 раз ($p < 0,01$). Как видно, добавление сои в пищу значительно улучшило липидный обмен, что положительно повлияло и на метаболизм эритроцитов.

Предполагаем, что наши данные указывают на пользу сое-содержащих продуктов в профилактике таких заболеваний, которые сопровождаются нарушением липидного обмена.

ROLE OF SOYBEAN-RICH DIET IN REGULATION OF CHOLESTEROL METABOLISM

N. Tkhilava, E. Ekaladze, G. Burdjanadze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Phytoestrogen (plant estrogen-like molecules) research has grown rapidly in recent years due to their potential health benefits. Epidemiological studies revealed that soy foods containing isoflavonoid phytoestrogens may reduce the risk of some hormone-dependent diseases, such as postmenopausal symptoms, also certain (breast, prostate and colon) tumors and cardiovascular diseases. Our aim was to determine the effect of soy protein on circulating cholesterol level, estrogen concentration, and changes of erythrocyte deformability in experimental female rats ($n = 27$).

According to our data, following 3-months feeding with soybean (daily ~80g), concentration of estrogens increased by 11% ($p < 0.001$), total cholesterol level decreased by 19.2% ($p < 0.001$), and erythrocyte deformability increased 1.41-fold ($p < 0.001$). These findings identify the biological action of phytoestrogens found in soybean-containing diets, on circulating lipids, estrogens, and erythrocyte deformability and implicate importance of phytoestrogens in the lipid metabolism, especially in women.

მდედრი ვირთაგვების მანგანუმის ქლორიდით ინტოქსიკაციის გავლენა უთამოავლოების თავის ტვინის ზოგიერთ უბანში ნეირონების და გლიოციტების რაოდენობაზე

*ნ. კოსტენკო, ნ. ჩხარტიშვილი, ე. ძამოევა, თ. ბიკაშვილი,
თ. ცინცაძე, ვ. კვიციანი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 10.06.2005

ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების ადრეულ სტადიებზე, ცენტრალური ნერვული სისტემის სტრუქტურულ და ფუნქციურ ორგანიზაციაზე მანგანუმის იონების სიჭარბის გავლენის მექანიზმების გარკვევა მანგანუმით ინტოქსირებული ნეიროტოქსიკოზის პრობლემის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მდედრი ვირთაგვები მაკობამდე, მაკობის პერიოდში და ნაყარის 30-დღიან ასაკამდე ყოველდღიურად, საკვებთან ერთად იღებდნენ მანგანუმის ქლორიდს ($MnCl_2 \cdot 4H_2O$) დოზებით 10 და 20 მგ/კგ. 30-დღიანი ნაყარის თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის ფორნტო-პარიეტული უბნის, კუდიანი ბირთვის, სეპტუმის მიმდებარე, დორსალური და ვენტრალური ბირთვების დონეზე აღებულ და ნისლის მეთოდით კრეზილფოლტითა და ეოზინით შეღებილ ანათლებზე შესწავლილია ნეირონებისა და გლიოციტების რაოდენობრივი განაწილება. დადგენილია, რომ საკონტროლო (ინტაქტური) და მანგანუმის ქლორიდით მოწამლული ღლაპების ტვინის აღნიშნულ უბნებში ნეირონების რაოდენობა არ განსხვავდება. რაც შეეხება გლიოციტების რაოდენობას, მანგანუმის ქლორიდით მოწამლული ცხოველების ტვინის ყველა შესწავლილ უბანში ადგილი აქვს მკაფიოდ გამოხატულ გლიოზს. ამასთან, დოზადაპოკიდებული ეფექტი აღინიშნება მხოლოდ ახალ ქერქსა და მიმდებარე ბირთვში.

საკვანძო სიტყვები: ვირთაგვა, შთამომავლობა, მანგანუმის ქლორიდი, თავის ტვინი, ნეირონი, გლია

ონტოგენეზის პრე- და პერინატალურ პერიოდებში მანგანუმის იონების სიჭარბის გავლენის მექანიზმების გარკვევა, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მანგანუმით ინტოქსირებული ნეიროტოქსიკოზის პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხისადმი მიძღვნილი შრომები საკმაოდ იშვიათად გვხვდება, თუმცა ცალკეული შრომების [2, 3, 5, 6, 8]

შედევები უდავოდ მიუთითებს ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობაზე. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ მანგანუმის ჭარბი რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდასა და განვითარებაზე [2, 3, 9, 10]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ავტორთა მონაცემები ხშირად განსხვავებულია. ასე მაგალითად, კონტური და ფეხტერი [5, 6] მიუთითებენ, რომ განვითარებად ნერვულ სისტემას მანგანუმის სიჭარბით ინდუცირებული ნეიროქიმიური ძვრების კომპენსაციის უნარი აქვს. სხვა მკვლევარების აზრით კი პოსტნატალური ონტოგენეზის ადრეულ ეტაპებზე მანგანუმის ნაერთებით ინტოქსიკაცია ცხოველთა ნერვული სისტემის ჩამოყალიბების დეფიციტს და მნიშვნელოვან ქცევით დარღვევებს განაპირობებს [2, 8, 9, 10].

ჩვენს ლაბორატორიაში მრავალგანშტოებიან ლაბორინტში შესწავლილია იმ ვირთაგვების 30-დღიანი ღლაპების დასწავლის პროცესი, რომლებსაც მაკობამდე 15 დღით ადრე, მაკობის პერიოდში და ნაყარის 30-დღიან ასაკამდე ყოველდღე ეძლეოდა მანგანუმის ქლორიდის სხვადასხვა დოზა (10 და 20 მგ/კგ) [1]. დადგენილია, რომ 30-დღიანი ღლაპების დასწავლის პროცესი მნიშვნელოვნადაა გაძნელებული – ისინი, როგორც დაშვებული შეცდომების რაოდენობით, ასევე ლაბორინტის გავლის დროის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საკონტროლო ჯგუფის ცხოველებს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ასეთი ცხოველების თავის ტვინის ზოგიერთ უბანში ნეირონებისა და გლიოციტების განაწილების რაოდენობრივი ანალიზის შედეგები.

მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტად გამოყენებულია უჯიშო თეთრი ვირთაგვა. მდებარე ვირთაგვებს, მაკობამდე 15 დღით ადრე, მაკობის პერიოდში და ნაყარის 30-დღიან ასაკამდე, საკვების პირველ ულუფასთან ერთად, ყოველდღიურად ეძლეოდათ მანგანუმის ქლორიდი – $MnCl_2 \cdot 4H_2O$. მდებარების ერთი ჯგუფი მანგანუმის ქლორიდს 10 მგ/კგ დოზით იღებდა, ხოლო მეორე – 20 მგ/კგ დოზით.

ექსპერიმენტები ჩატარებულია 30-დღიანი ღლაპების სამ ჯგუფზე (6-6 ვირთაგვა ყოველ ჯგუფში). პირველ ჯგუფს შეადგენდა იმ მდებარების ნაყარი, რომლებსაც მანგანუმის ქლორიდი ეძლეოდა 10 მგ/კგ დოზით, მეორე ჯგუფის ღლაპების დედებს კი – 20 მგ/კგ დოზით. მესამე, საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა იმ ვირთაგვების ნაყარი, რომლებიც მხოლოდ სტანდარტულ საკვებს იღებდნენ.

შესწავლილია ზემოთ აღნიშნული ცხოველების თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის ფრონტო-პარიეტული უბნის, კუდიანი ბირთვის (n. caudatus), სეპტუმის დორსალური (n. septalis dorsalis) და ვენტრალური (n. septalis ventralis) ბირთვების და მიმდებარე ბირთვის (n. accumbens septi) ნეირონებისა და ნეიროგლიის რაოდენობრივი განაწილება.

მორფოლოგიური კვლევისათვის ქლორალჰიდრატით დანარკოზებული საკონტროლო და საქსპერიმენტო ცხოველების დეკაპიტაციის შემდეგ, თავის ტვინს ვაფიქსირებდით 2,5%-იანი გლუტარალდეჰიდისა და 10%-იანი

ფორმალინის ნარევი. რამდენიმე დღის შემდეგ თავის ტვინის ბლოკებს ვაყალიბებდით პარაფინში. 15 მკმ სისქის ანათლებს ვლებავდით კრუზილვიოლექტითა და ეოზინით.

რაოდენობრივი ანალიზისათვის გამოყენებული იყო 0,13 × 0,13 მმ ზომის მორფომეტრიული ბადე, მიკროსკოპის გადიდება – 40 × 20. ყოველი ცხოველის თითოეულ ჩვენს მიერ შესწავლილ ქერქქვეშა წარმონაქმნში რაოდენობრივი ანალიზი ჩატარებულია 15-20 მხედველობის არეში, ხოლო ნეოკორტექსის შემთხვევაში – რუხი ნივთიერების 10-12 სვეტში; თითოეული სვეტი მოიცავდა 12-13 მხედველობის არეს.

მიღებული შედეგების სტატისტიკური სარწმუნობის შეფასება ხდებოდა ვარიაციული სტატისტიკის პარამეტრული მეთოდებით. მონაცემები დამუშავებულია კომპიუტერული პროგრამული პაკეტების გამოყენებით. სხვაობა შეწონილ საშუალო სიდიდეთა შორის ფასდებოდა სტიუდენტის t-ტესტით.

შედეგები და მათი განხილვა

Были использованы эмбрионы кур, которые на 17-й день эмбриогенеза подвергались воздействию ЭМП сетевой частоты. Эмбрионы кур породы белый леггорн поставляла птицефабрика “Поултри Джорджия”. Инкубация контрольных и подопытных яиц проводилась в термостате при температуре 36-37°C и постоянной влажности. Куриные яйца сбора одного дня и приблизительно одного веса разделялась, методом случайных выборок, на две группы. Всего в контрольной группе было 25 яиц, а в подопытной – 100. Подопытная группа яиц подвергалась общему воздействию ЭМП сетевой частоты (индуктивность 3,6 мТл), с 17-го дня эмбриогенеза, в течение 3-х дней по 1 часу. Генерование ЭМП сетевой частоты производили с помощью разработанной в нашем центре катушки, как это описано в предыдущей работе [5]. Импринтирование цыплят производилось в сенситивном периоде (14-17 часов после вылупления). Импринт-объектом служил красный шар диаметром 18 см, который вращался по манежу радиусом 60 см. В качестве тест-объекта применялся синий куб соответствующего размера. Показателем запечатлевания служила реакция следования. Реакция следования, как мера импринтинга, определяется пройденным за импринт-объектом расстоянием и временем следования по закону усиления Гесса [11], где сила импринтинга равняется логарифму усилия, прилагаемого животным для того, чтобы достичь импринт-объекта в течение импринт-периода. По этому критерию, с увеличением расстояния, проходимого цыплятами, сила импринтинга возрастает. После прохождения 15 метров вслед за импринт-объектом, дальнейшие изменения эффекта незначительны. После прохождения 15 метров, цыпленку предъявляли импринт- и тест-объекты. Запечатлевание констатировали в тех случаях, когда цыплята отдавали предпочтение импринт-объекту. Проводились и морфометрические измерения массы, длины крыла, клюва, среднего пальца контрольных и опытных цыплят. Полученные в сериях опытов результаты обрабатывались с использованием методов параметрической статистики.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

В результате проведенных исследований установлено, что воздействие ЭМП сетевой частоты на куриные зародыши, с 17-го дня эмбриогенеза, у 12% цыплят вызывает расхождение лапок, в результате чего они не способны передвигаться, хотя по другим морфометрическим показателям они не отличаются от контрольных. У части цыплят (62%) антенатальное воздействие ЭМП сетевой частоты не вызывало врожденных уродств и нарушения локомоции. Что касается реакции

следования, то она отсутствовала, т.е. запечатление не происходило. У остальной части цыплят как морфометрические показатели, так и время запечатления не отличались от контрольных.

Расхождение лапок у части цыплят, неспособность передвигаться или отсутствие запечатления, объяснимы с точки зрения высокой чувствительности организма в антенатальном периоде развития, так как в это время он представляет собой конгломерат из делящихся и дифференцирующихся клеток. Эмбрион, находясь в постоянном развитии, ни в один последующий промежуток времени не остается одинаковым. Поэтому, в зависимости от времени закладки, формирования и дифференцировки тех или иных тканей, органов или систем, любая из них может оказаться крайне чувствительной, независимо от того, какова ее чувствительность во взрослом состоянии [10].

Итак, согласно нашим исследованиям, воздействие ЭМП сетевой частоты на эмбрионы кур, с 17 дня инкубации, у части цыплят после вылупления оказывает тормозящее влияние на запечатление. Аналогичные исследования с целью выявления влияния ЭМП на формирование памяти у эмбрионов, на модели импринтинга, была предпринята Григорьевым. [1]. В результате проведенных экспериментов были получены данные, позволяющие сделать вывод, что облучение эмбрионов цыплят на 5-й день инкубации ППЭ 10 и 8 мВт/см² полностью тормозит процесс импринтинга а при ППЭ мВт/см² – процесс запечатления формируется только у 57,1% птиц. Эти и многие другие [3, 9] экспериментальные данные указывают на реальную возможность отдаленных последствий пренатального действия ЭМП сетевой частоты на нервную систему и поведенческие реакции потомства.

ЛИТЕРАТУРА

1. Григорьев Ю.Г. Электромагнитная безопасность человека. Российский национальный комитет по защите от неионизирующего излучения. Москва, Справоч. информ. издат. 1999.
2. Джоджуа М.В. Автореф. дисс. канд. биол. наук. Тбилиси, 2004.
3. Какабадзе М.П. Автореф. дисс. канд. биол. наук. Тбилиси, 2003.
4. Марсагивили Г.А., Сандодзе В.Я. Сообщ. АН ГССР, 1997, 159, 161-171.
5. Марсагивили Г.А., Иорданшвили Г.С., Джохадзе Л.Д., Чабашвили М.Г. Изв. АН Грузии, Сер. биол. – А, 2005, 31, 77-80.
6. Онтогенез млекопитающих в невесомости. Москва, Наука, 1988.
7. Пионтковский И.А. Функция и структура мозга животного, облученного ионизирующей радиацией в антенатальном периоде. Москва, Наука, 1964.
8. Рижинашвили Р.С., Марсагивили Г.А. Сообщ. АН ГССР, 1978, 91, 133-136.
9. Холодов Ю.А., Лебедева Н.Л. Реакции нервной системы человека на электромагнитные поля. Москва, Наука, 1992.
10. Ярмоненко С.П. Радиобиология человека и животных. Москва, Высшая школа, 1986.
11. Hess E.H. Science, 1959, 130, 133-141.

EMF-ს ბიოლოგიური ეფექტი იმპრინტირებაზე

*გ. მარსაგიშვილი**, *მ. ჭაბაშვილი**, *გ. იორდანიშვილი***, *ლ. ვასაძე*,
*მ. ნიკოლაიშვილი***, *ნ. მელითაური***, *ლ. ჯოხაძე**

* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; ** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიაციული ბიოლოგიის და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი, თბილისი

რეზიუმე

ქათმის ემბრიონები ემბრიოგენეზის მე-17 დღეს განიცდიდნენ ქსელის სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის (EMF) ერთსაათიან ზემოქმედებას, სამი დღის განმავლობაში (ინდუქციურობით 3,6 მილიტესლა).

ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქათმის ემბრიონებზე ქსელის სიხშირის EMF-ს მოქმედების შედეგად გამოჩეკილ წიწილათა 12%-ს აღენიშნა კიდურთა სიმახინჯეები, რის გამოც მათ ლოკომოციის უნარი დაკარგული ჰქონდათ, თუმცა სხვა მორფომეტრიული მაჩვენებლებით ისინი არ განსხვავდებოდნენ საკონტროლო ცხოველებისაგან. წიწილათა უდიდეს ნაწილში (62%), ქსელის სიხშირის EMF-ის გავლენით მართალია, ლოკომოციის უნარი არ ირღვეოდა და არც სიმახინჯეები აღინიშნებოდა, მაგრამ ადვენების რეაქციის უნარს ეს ფრინველები მოკლებულნი იყვნენ, ე.ი. შთაბეჭდვა არ ხდებოდა. წიწილათა 26%-ში კი, EMF-ის ნეგატიური გავლენა არ შეიმჩნეოდა.

BIOLOGICAL EFFECTS OF EMF ON IMPRINTING

*G. Marsagishvili**, *M. Chabashvili**, *G. Iordanishvili***, *L. Vasadze*,
*M. Nikolaishvili***, *N. Melitauri***, *L. Jokhadze**

* I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; ** Scientific Center of Radiobiology and Radiation Ecology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The chick embryos, since 17th day of embryogenesis, for three days, one hour daily, were exposed to electromagnetic field (EMF) of low frequency (50 Hz, inductance 3.6 mTesla). It was found that impact of EMF in 12% of the chick embryos, irradiated since 17th day of embryogenesis, resulted in malformation of the legs and they were unable to move around; other morphometric indices in these chicks were close to the control ones. In the larger portion of the chicks (62%) antenatal irradiation with EMF did not induce abnormalities and deterioration of locomotion; however, in these animals imprinting was affected – chicks were unable to follow the imprint-object. In remainder of the irradiated chicks neither locomotion nor imprinting were affected and they did not differ from the control chicks.

ნებივალობის და მებტოპროლოლის გავლენა პარდიოლინამიკაზე და ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებზე ჰიპერტონიით დაავადებულებზე

ა. მეგრელიძე, მ. სადუნიშვილი, ზ. ფაღავა, ვ. მამალაძე

შ.პ.ს. “კარდიოლოგიური კლინიკა”, თბილისი

მიღებულია 3.06.2005

ბ-ბლოკატორების დანიშვნა რეკომენდებულია გულ-სისხლძარღვთა მთელი რიგი დაავადებების შემთხვევაში. დღეისთვის შესწავლილია ბ-ბლოკატორების და, უკანასკნელ ხანს სინთეზირებული, ნებივალობის ეფექტურობა არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობაში, თუმცა, აღნიშნული პრეპარატის გავლენა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე და ფსიქო-ემოციურ სტატუსზე, ნაკლებადაა გაშუქებული.

გამოკვლეულია 60 ავადმყოფი, I და II საექსპერიმენტო ჯგუფებში (ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, 1999), ჰიპერტონიული დაავადებით (48 მამაკაცი და 12 ქალი). პაციენტის საშუალო ასაკი შეადგენდა $51 \pm 2,1$ წელს. დაავადების ხანგრძლივობა შეადგენდა $12 \pm 3,1$ წელს. რანდომიზაციის შედეგად ავადმყოფები დაიყო 2 ჯგუფად: 32 ავადმყოფი დებულობდა მეტოპროლოლს და 28 – ნებივალობს. პრეპარატების მიღება ხდებოდა ტიტრაციით. დაკვირვების ხანგრძლივობა შეადგენდა 3 თვეს. ანალიზი უკეთდებოდა შემდეგ პარამეტრებს: საბოლოო სისტოლური და დიასტოლური მოცულობა, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია, მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის და პარკუჭთაშუა ძგიდის სისქე დიასტოლაში, პარკუჭის დარტყმითი ინდექსი (მლ/მ²), გულის ინდექსი (ლ/წთ, მ²), ზოგადი პერიფერიული წინააღმდეგობა, მიოკარდიუმის მასა. ცხოვრების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენებოდა ზოგადი ჯანმრთელობის შეფასების კითხვარი (SF-36 Health Status Survey). დეპრესიის დონის შესწავლა წარმოებდა დეპრესიული კითხვარის მეშვეობით. გამოკვლევა ტარდებოდა ყოველი თვის ბოლოს.

გამოკვლევების შედეგად მეტოპროლოლით მკურნალობისას პულსის სიხშირე სარწმუნოდ შემცირდა, დაქვეითდა სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევა, განდევნის ფრაქცია, გულის ინდექსი.

ნებივალობის გავლენით დაქვეითდა პულსის სიხშირე, სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევა, საბოლოო სისტოლური მოცულობა, ზოგადი პერიფერიული წინააღმდეგობა, შემცირდა მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის სისქე და მიოკარდიუმის მასა. მეტოპროლოლით მკურნალობის შედეგად გაუმჯობესდა პაციენტის ფიზიკური მდგომარეობის გავლენა ყოველდღიურ აქტივობაზე, შემცირდა ტკივილის გავლენა ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ნებივალობით მკურნალობის შედეგად გაუმჯობესდა პაციენტების ფიზიკური მდგომარეობის გავლენა ყოველდღიურ აქტივობაზე, შემცირდა ტკივილის შე-

გრძნების გაგენა, გაუმჯობესდა ავადმყოფის მიერ თავისი ჯანმრთელობის და მკურნალობის პერსპექტივების შეფასება, გაუმჯობესდა პაციენტის სიცოცხლისუნარიანობა.

საკვანძო სიტყვები: არტერიული ჰიპერტენზია, β-ბლოკატორები, გულის ქრონიკული უკმარისობა, მეტოპროლოლი, ნებივალოლი

β-ბლოკატორების დანიშვნა რეკომენდებულია გულ-სისხლძარღვთა მთელი რიგი დაავადებების შემთხვევაში, როგორცაა არტერიული ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, გულის ქრონიკული უკმარისობა და სხვ. ამ ჯგუფის პრეპარატების ეფექტურობა და დადებითი პროგნოსტიკული მნიშვნელობა შესწავლილია რიგ მულტიცენტრულ, რანდომიზებულ, ორმაგ-ბრმა კვლევებით [5, 6, 11]. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფის პრეპარატების დანიშვნის სისწორე კარდიოვასკულური პათოლოგიის დროს არ არის საკმარისად მაღალი, რაც, დაკავშირებულია ამ პრეპარატების გვერდით მოვლენებთან (ნატრიუმის რეტენცია, პერიფერიული არტერიების ტონუსის მატება და სხვ.). β-ბლოკატორების გვერდითი მოვლენები მნიშვნელოვანწილად პირობადებულია მათი მოქმედებით β₂ ადრენორეცეპტორებზე [8]. კარდიოსელექციური β-ბლოკატორების თავისებურება, არასელექციურებთან შედარებით, პირველების უფრო გამოხატული თვისობაა β₁ რეცეპტორებისადმი, ვიდრე β₂ რეცეპტორების მიმართ. ამიტომ, კარდიოსელექციური ბლოკატორები ნაკლებად გამოხატულ გავლენას ახდენენ პერიფერიულ არტერიებზე და ბრონქების გლუკუნთოვან სისტემაზე [7]. ცნობილია, რომ არტერიული ჰიპერტონიით დაავადებულებში დაქვეითებულია ბაზალური და სტიმულირებული აზოტის ოქსიდის რაოდენობა, რაც ვაზოდილატაციასა და ვაზოკონსტრიქციას შორის ნორმალური ბალანსის დარღვევას იწვევს. ამიტომაც, ასეთ პაციენტებში სისტემური არტერიოლების რეზისტენტობა გაზრდილია, არტერიოლების დიამეტრის ცვლილების შედეგად. გარდა ამისა, ენდოთელიუმში წარმოშობილი აზოტის ოქსიდი ახდენს დაცვით გავლენას, ხელს უშლის რა მონოციტების ადჰეზიას, ფირფიტების აგრეგაციას, სისხლძარღვებში გლუკუნთოვანი უჯრედების პროლიფერაციას. ამრიგად, არტერიების ენდოთელიური დისფუნქცია განიხილება, როგორც არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობის სამიზნე [4].

უკანასკნელ წლებში სინთეზირებულია ახალი პრეპარატი ნებივალოლი, რომელიც აერთიანებს მაღალ თვისობას β₁ რეცეპტორებისადმი და ნიტრიტის ოქსიდით პირობადებული ვაზოდილატაციურ თვისებებს. შესწავლილია β-ბლოკატორების და ნებივალოლის ეფექტურობა არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობაში [1]. თუმცა, ამ პრეპარატების შედარებითი გაგენა პაციენტების ცხოვრების ხარისხზე და ფსიქო-სოციალურ პროფილზე ნაკლებადაა გაშუქებული. ცნობილია, რომ ამ მხრივ β-ბლოკატორები ზოგჯერ უარყოფითად მოქმედებენ [9].

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა სელექციური β-ბლოკატორების მეტოპროლოლის (“კორვიტოლი”) და ნებივალოლის (“ნებილეტი”) მოქმედების

შესწავლა კარდიოინამიკაზე და პაციენტების ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებზე ჰიპერტონიით დაავადებულებში.

მასალა და მეთოდები

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 60 ავადმყოფი, I და II საექსპერიმენტო ჯგუფებში (ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, 1999 წ.), ჰიპერტონიული დაავადებით (48 მამაკაცი და 12 ქალი). პაციენტების საშუალო ასაკი შეადგენდა $51,0 \pm 2,1$ წელს, დაავადების ხანგრძლივობა – $12,0 \pm 3,1$ წელს. დაკვირვებისათვის შერჩეულ პაციენტებს არ აღენიშნებოდათ მიოკარდიუმის ინფარქტი, ენდოკრინული პათოლოგია, სიმპტომური ჰიპერტონია, გულის მანკი. რანდომიზაციის შედეგად ავადმყოფები დაიყო 2 ჯგუფად – 32 ავადმყოფი ღებულობდა მეტოპროლოლს და 28 – ნებივალოლს. მეტოპროლოლის ტიტრაცია იწყებოდა 25 მგ-დან და აღწევდა 100 მგ-ს, ნებივალოლის კი – 2,5 მგ-დან და აღწევდა 5 მგ-ს. დაკვირვების ხანგრძლივობა შეადგენდა 3 თვეს.

ექოკარდიოსკოპია ტარდებოდა აპარატზე ATL interspec (აშშ).

ანალიზი უტარდებოდა შემდეგ პარამეტრებს: საბოლოო დიასტოლური და საბოლოო სისტოლური მოცულობა, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია, მარცხენა პარკუჭის უკანა კედლისა და პარკუჭთაშუა ძგიდის სისქე დიასტოლაში, პარკუჭის დარტყმითი ინდექსი (მლ/მ²), გულის ინდექსი (ლ/წთ, მ²), ზოგადი პერიფერიული წინააღმდეგობა, მიოკარდიუმის მასა (გ).

ცხოვრების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენებოდა ზოგადი ჯანმრთელობის შესაფასებელი კითხვარი (SF-36 Health Status Survey), რომელიც შედგება 11 კითხვისაგან. კითხვარი წარმოდგენას იძლევა პაციენტის ფსიქოლოგიურ და სოციალურ მდგომარეობაზე. დეპრესიულობის შესწავლა წარმოებდა დეპრესიულობის კითხვარის მეშვეობით. გამოკვლევა ხდებოდა ყოველი თვის ბოლოს.

შედეგები და მათი განხილვა

ცხრილ 1-ში ნაჩვენებია მეტოპროლოლის გავლენა არტერიულ წნევაზე და კარდიოინამიკაზე. მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მეტოპროლოლით მკურნალობის შედეგად პულსის სიხშირე სარწმუნოდ შემცირდა, დაქვეითდა სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევა, განდევნის ფრაქცია, გულის ინდექსი. დანარჩენი მაჩვენებლები უცვლელი დარჩა.

ნებივალოლის გავლენა კარდიოინამიკაზე ნაჩვენებია ცხრილ 2-ში.

ნებივალოლის გავლენით დაქვეითდა პულსის სიხშირე, სისტოლური და დიასტოლური წნევა, საბოლოო დიასტოლური წნევა, საბოლოო სისტოლური მოცულობა, ზოგადი პერიფერიული წინააღმდეგობა, შემცირდა მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის სისქე და მიოკარდიუმის მასა.

მკურნალობის გავლენა პაციენტების ფსიქო-სოციალურ სფეროზე მოყვანილია ცხრილებში 3 და 4.

ცხრილი 1

მეტოპროლოლის გავლენა კარდიოლინამიკაზე

მაჩვენებლები	მკურნალობის დაწყებამდე	მკურნალობის შემდეგ
პულსი, დარტყ/წთ	85,0 ± 1,8	62,0 ± 1,1*
საწ, მმ ვ. წყ. სვ.	156,0 ± 1,5	145,0 ± 1,9*
დაწ, მმ ვ. წყ. სვ.	102,0 ± 1,4	96,0 ± 1,8
ბზ, %	58,0 ± 1,1	48,0 ± 2,2*
სღმ, მლ	152,0 ± 1,2	145,0 ± 2,2
სსმ, მლ	83,0 ± 1,2	88,0 ± 1,6
მპს, მმ	1,0 ± 0,05	0,92 ± 0,07
პძს, მმ	0,95 ± 0,03	0,90 ± 0,04
დო, მლ/მ ²	42,90 ± 2,39	39,7 ± 2,47
ბი, ლ/წთ, მ ²	3,51 ± 0,26	2,67 ± 0,20*
ზპწ დინ., ს/სმ-5	1445,0 ± 82,0	1337,0 ± 52,0
მმ, გ	188,0 ± 3,3	179,0 ± 4,3

* - განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა.

ცხრილი 2

ნებივალლის გავლენა კარდიოლინამიკაზე

მაჩვენებლები	მკურნალობის დაწყებამდე	მკურნალობის შემდეგ
პულსი, დარტყ/წთ	82,0 ± 1,65	74,0 ± 1,9*
საწ, მმ ვ. წყ. სვ.	162,0 ± 2,1	130,0 ± 2,7*
დაწ, მმ ვ. წყ. სვ.	105,0 ± 2,0	82,0 ± 1,58
ბზ, %	52,0 ± 1,7	67,0 ± 1,32*
სღმ, მლ	164,0 ± 2,3	150,0 ± 2,0
სსმ, მლ	94,0 ± 1,5	81,0 ± 1,4*
მპს, მმ	1,1 ± 0,08	0,82 ± 0,05*
პძს, მმ	0,9 ± 0,06	0,81 ± 0,04
დო, მლ/მ ²	52,4 ± 2,6	58,0 ± 2,4
ბი, ლ/წთ, მ ²	3,85 ± 0,64	2,92 ± 0,88
ზპწ დინ., ს/სმ-5	1535,0 ± 67,0	1224,0 ± 52,0*
მმ, გ	179,0 ± 3,8	142,0 ± 2,2

* - განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა

ზოგადი ჯანმრთელობის კითხვარის მონაცემები მეტოროლოგიით მკურნალობისას (ქულები)

კრიტერიუმი	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ
ფიზიკური ფუნქციონირების მაჩვენებელი	80,2 ± 10,0	76,0 ± 12,3
ფიზიკური შესაძლებლობები, სამუშაოზე გავლენის შეფასების მაჩვენებელი	45,5 ± 5,3	56,3 ± 3,8*
ფიზიკური ტკივილის მაჩვენებელი	56,0 ± 7,1	78,0 ± 5,1*
ზოგადი ჯანმრთელობის მაჩვენებელი	58,0 ± 8,1	63,7 ± 6,4
სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი	68,4 ± 8,3	74,3 ± 5,9
სოციალური ფუნქციონირების სკალა	72,0 ± 12,0	81,0 ± 11,2
ემოციური სფეროს სამუშაოზე გავლენის შეფასების მაჩვენებელი	78,2 ± 13,1	74,0 ± 12,3
მენტალური ჯანმრთელობა	72,0 ± 12,5	85,0 ± 10,2
ფიზიკური კომპონენტის ჯამური მაჩვენებელი	76,4 ± 10,2	82,3 ± 9,4
მენტალური კომპონენტის ჯამური მაჩვენებელი	69,5 ± 12,4	73,2 ± 11,7

* p<0,05.

ზოგადი ჯანმრთელობის კითხვარის მონაცემები ნებივალლოით მკურნალობისას (ქულები)

კრიტერიუმი	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ
ფიზიკური ფუნქციონირების მაჩვენებელი	75,2 ± 9,6	88,3 ± 12,6
ფიზიკური შესაძლებლობები, სამუშაოზე გავლენის შეფასების მაჩვენებელი	52,1 ± 6,2	74,3 ± 4,1*
ფიზიკური ტკივილის მაჩვენებელი	44,5 ± 5,2	61,8 ± 3,6*
ზოგადი ჯანმრთელობის მაჩვენებელი	50,1 ± 6,7	68,6 ± 6,3*
სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი	53,4 ± 7,1	75 ± 5,5*
სოციალური ფუნქციონირების სკალა	81 ± 10	77,5 ± 14,1
ემოციური სფეროს სამუშაოზე გავლენის შეფასების მაჩვენებელი	66 ± 9,1	78,5 ± 7,7
მენტალური ჯანმრთელობა	75 ± 6,6	78,4 ± 4,9
ფიზიკური კომპონენტის ჯამური მაჩვენებელი	69,3 ± 8,7	74,2 ± 9,3
მენტალური კომპონენტის ჯამური მაჩვენებელი	75 ± 11,2	69,3 ± 10,4

* p<0,05.

მეტოპროლოლით მკურნალობის შედეგად გაუმჯობესდა პაციენტების ფიზიკური მდგომარეობის გავლენა ყოველდღიურ აქტივობაზე, შემცირდა ტკივილის შეგრძნების გავლენა ყოველდღიურ საქმიანობაზე. დანარჩენი პარამეტრები პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

ნებივალლით მკურნალობის შედეგად სარწმუნოდ გაუმჯობესდა პაციენტების ფიზიკური მდგომარეობის გავლენა ყოველდღიურ აქტივობაზე, შემცირდა ტკივილის შეგრძნების გავლენა ყოველდღიურ საქმიანობაზე, გაუმჯობესდა ავადმყოფის მიერ საკუთარი ჯანმრთელობისა და მკურნალობის პერსპექტივების შეფასება, გაუმჯობესდა პაციენტის სიცოცხლისუნარიანობა.

ამრიგად, ორივე პრეპარატით მკურნალობის შემდეგ პაციენტების ფიზიკური შესაძლებლობები გაუმჯობესდა, რაც აისახა მათ ფსიქო-სოციალურ სფეროში.

მეტოპროლოლით და ნებივალლით მკურნალობის გავლენა პაციენტების დეპრესიულობის დონეზე მოყვანილია ცხრილ 5-ში.

ცხრილი 5

**დეპრესიულობის დონე
მეტოპროლოლით და ნებივალლით მკურნალობისას**

მანვენებელი	მეტოპროლოლი		ნებივალლი	
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ
დეპრესიულობის დონე	15 ± 1,7	18,3 ± 2,3	19,4 ± 1,3	10,1 ± 2,2*

* p<0,05.

მეტოპროლოლისაგან განსხვავებით, ნებივალლით მკურნალობის შემდეგ აღინიშნა დეპრესიის დონის შემცირება.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ როგორც მეტოპროლოლი, ისე ნებივალლი, სარწმუნოდ აქვეითებენ სისტოლურ და დიასტოლურ არტერიულ წნევას. მაგრამ, მეტოპროლოლის პოტენციური ეფექტი ასოცირდება გულის ინდექსის დაქვეითებასთან, რაც მიუთითებს ამ მექანიზმის მნიშვნელობაზე ჰიპოტენზიური ეფექტის რეალიზაციაში [3]. მთელი რიგი ავტორებისა მიუთითებს იმაზეც, რომ მეტოპროლოლით მკურნალობისას, მიუხედავად არტერიული წნევის შემცირებისა, მარცხენა პარკუჭის სისქის შემცირება არ ხდება. აღნიშნული, შესაძლოა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დაკავშირებულია პერიფერიული წინააღმდეგობის უცვლელობასთან. ალბათ, ამიტომ მკვლევართა უმეტესობა გვირჩევს β-ბლოკატორები გამოვიყენოთ დიურეტიკებთან ერთად [2]. მეორე მხრივ, JNC-VI რეკომენდაციებში β-ბლოკატორები განიხილება, როგორც პირველი რიგის პრეპარატები გაურთულებელი არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობისათვის [10].

უკანასკნელ დროს ჩამოყალიბდა შეხედულება ენდოთელიურ დისფუნქციაზე, როგორც რიგი კარდიოვასკულური დაავადებების თერაპიულ “სამიზნეზე”. დამტკიცებულია ენდოთელიური დისფუნქციის კავშირი აზოტის ოქსიდის ეფექტების დაქვეითებასთან. ამიტომ, ანტიჰიპერტონიული

მკურნალობის მიზანი უნდა იყოს არა მარტო არტერიული წნევის დაქვეითება, არამედ ენდოთელური დისფუნქციის კორექციაც. ნებივალლოლიმ პრეპარატების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ენდოთელიურ ფაქტორზე. ჩვენი მონაცემებით, ნებივალლოლს გააჩნია დადებითი ჰემოდინამიკური პროფილი, ამცირებს რა ზოგად პერიფერიულ წინააღმდეგობას და მიოკარდიუმის მასას. ამიტომ, ალბათ, მეტოპროლოლის გამოყენება უმჯობესია არტერიული ჰიპერტონიის ადრეულ სტადიაში, სანამ მოხდება მიოკარდიუმის რემოდელირება.

ყოველდღიური თერაპიის ამოცანაა არა მარტო პათოლოგიური პროცესის უკუგანვითარება, არამედ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაც. როგორც ნაჩვენებია იყო, მეტოპროლოლიც და ნებივალლოლიც აუმჯობესებდნენ საკვლევი პირების ფსიქო-სოციალური სფეროს ზოგიერთ პარამეტრს. დაკვირვების განმავლობაში მეტოპროლოლი არ იწვევდა დეპრესიულობის დონის გაუარესებას, ხოლო ნებივალლოლი აუმჯობესებდა კიდევაც მას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეულ პირებში, არც დასაწყისში აღინიშნებოდა დეპრესიის მაღალი დონე.

ლიტერატურა

1. *Ахмедова О.О., Гаврилова Ю.В., Петрий В.В. и др.* Российский кардиологический журнал, 2003, 2, 1-4.
2. *Демин А.А.* Клин. медицина, 2003, 5, 4-9.
3. *Подзалков В.И., Исайткина О.Ю., Самойленко В.В. и др.* Российский кардиологический журнал, 2000, 4, 12-16.
4. *Bowman A.J., Chen C., Ford G.A.* Brit. J. Clin. Pharmacol., 1994, 38, 199-204.
5. *Hedblad B., Wikstrand J., Japson L. et al.* Circulation, 2001, 103, 1721-1726.
6. *Luomanmaki K., Inkovaarg J.* Cardiovasc. Pharmacol., 1992, 20, 296-303.
7. *Pauwewls P.J., Complex P.V., Leysen J.F.* Biochem. Pharmacol., 1991, 42, 1683-1689.
8. *Prichard B., Graham B., Cruikshank J. J. Clin. Basic Cardiol.*, 2001, 4, 3-9.
9. *Rehennquist N., Hjemedahl P., Billing E. et al.* Cardiologia, 1995, 40 (Suppl. 1), 301.
10. *The Joint National Committee on Prevention, Detection, Evaluation and Treatment of High Blood Pressure.* JNC VI, 1999.
11. *Waagstein F., Bristow M.R., Swedberg K.* Lancet, 1993, 342, 1441-1446.

ВЛИЯНИЕ НЕБИВАЛОЛА И МЕТОПРОЛОЛА НА КАРДИОДИНАМИКУ И ПОКАЗАТЕЛИ КАЧЕСТВА ЖИЗНИ БОЛЬНЫХ, СТРАДАЮЩИХ ГИПЕРТОНИЧЕСКОЙ БОЛЕЗНЬЮ

И. Мегреладзе, М. Садუნიшвили, З. Пагава, Г. Мамаладзе

О.О.О. Кардиологическая клиника, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Назначение бета-блокаторов рекомендовано в случаях целого ряда сердечно-сосудистых заболеваний, таких как: артериальная гипертензия, ишемическая болезнь сердца, хрони-

ческая недостаточность сердца. В последние годы синтезирован новый препарат – небивалол. Эффективность бета-блокаторов и небивалола в лечении артериальной гипертонии изучена многими исследованиями, однако, влияние этого препарата на качество жизни пациентов и их психо-эмоциональный статус, известно меньше.

Обследовано 60 больных гипертонической болезнью, в I и II экспериментальных группах (ВОЗ, 1999) (48 мужчин и 12 женщин). Средний возраст пациентов составил $51,0 \pm 2,1$. Продолжительность заболевания составила $12,0 \pm 3,1$. В результате рандомизации, больные были разделены на 2 группы: 32 больных получали метопролол и 28 – небивалол. Прием препаратов происходил по титрационному методу. Продолжительность наблюдений была 3 месяца. Были проанализированы следующие параметры: конечный систолический и диастолический объем, фракция изгнания левого желудочка, толщина задней стенки левого желудочка и межжелудочковой перегородки в диастоле, ударный индекс желудочка ($\text{мл}/\text{м}^2$), индекс сердца ($\text{л}/\text{мин. м}^2$), общее периферическое сопротивление, масса миокарда (г). С целью оценки качества жизни, применялся вопросник оценки общего состояния здоровья (SF-36 Health Status Survey). Изучение уровня депрессии происходило с помощью вопросника депрессивности. Исследование проводилось в конце каждого месяца.

При применении метапролола, достоверно понизились: частота пульса, систолическое и диастолическое артериальное давление, фракция изгнания, индекс сердца.

Под воздействием небивалола понизились: частота пульса, систолическое и диастолическое артериальное давление, конечный систолический объем, общее периферическое сопротивление, уменьшилась толщина задней стенки левого желудочка и масса миокарда. В результате лечением метапрололом, улучшилось влияние физического состояния пациента на каждодневную активность, уменьшилось влияние боли на каждодневную активность.

В результате лечения небивалолом, улучшилось влияние на физическое состояние пациентов, уменьшилось влияние ощущения боли, улучшилась оценка пациентами собственного здоровья и перспективы лечения, а также их жизнеспособность.

EFFECT OF NEBIVALOL AND METOLOL ON CARDIODYNAMICS AND QUALITY OF LIFE IN PATIENTS WITH HYPERTONIC DISEASE

I. Megreladze, M. Sadunishvili, Z. Paghava, G. Mamaladze

Cardiological Clinic, Ltd., Tbilisi

SUMMARY

Prescription of β -blockers is recommended in cases of a number of cardiovascular diseases, such as: arterial hypertension, cardiac ischemic disease, chronic heart failure, *etc.* In recent years a new preparation – nebivalol has been synthesized. Effectiveness of β -blockers and nebivalol has been studied during treatment of arterial hypertension, however, effect of this preparation on quality of patient's life and psycho-emotional status was less elucidated.

Total of 60 patients (48 males and 12 females) with hypertonic disease in experimental groups I and II (WHO, 1999) were observed (an average age of the patients was 51 ± 2.1). The duration of disease was 12 ± 3.1 . Following randomization, the patients were divided into 2 groups: 32 patients were given metolol and 28 – nebivalol. Administration of the preparations was carried on by means of titration. The observations lasted 3 months. The following parameters have been

analysed: final systolic and diastolic volume, ejection fraction of left ventricle, thickness of posterior wall of left ventricle and interventricular septum in diastole, beat index of the ventricle (ml/m^2), general peripheral resistance (c/cm), weight of the myocardium (gr). In order to evaluate quality of life, a questionnaire for estimation of common health (SF-36 Health Status Survey) has been used. Depression level was assessed using the questionnaire of depression. The investigations were carried out at the end of each month.

As shown in the study of metolol effects, pulse rate reliably reduced, systolic and diastolic arterial pressure decreased, as well as ejection fraction and cardiac index.

Nebivalole administration reduced pulse rate, systolic and diastolic arterial pressure, final systolic volume, general peripheral resistance, thickness of posterior wall of left ventricle, and weight of the myocardium.

In result of the treatment with metolol, the effect of physical state of the patients on everyday activities improved, while the effect of pain in daily activities decreased.

In result of treatment with nebivalol, the effect of patients' physical state improved, while the effect of pain reduced. The evaluation of own health and treatment perspectives by the patients improved, as well as their viability.

ფერმენტული ანტიოქსიდანტური სისტემა, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვა და მჟავა ფოსფატაზას აქტივობის ცვლილება სავილონოს ტანის სიმსივნეებით დაავადებულთა სისხლში

*თ. ტუფინაშვილი, ც. ხარაიშვილი, გ. ქეკელიძე,
თ. ჯიშკარიანი, ნ. კოტრიკაძე*

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 17.05.2005

შესწავლილ იქნა საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ფერმენტების – სუპეროქსიდისმუტაზას (ს¹დ), კატალაზას, მემბრანული – ფერმენტის მჟავე ფოსფატაზასა და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივობის ცვლილება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ადგილი აქვს ფერმენტების – ს¹დ-ის და კატალაზას, აქტივობის მკვეთრ დაქვეითებას, მჟავე ფოსფატაზას აქტივობის მატებას და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესების გააქტივებას, დაავადების დამძიმების პარალელურად, რაც მიუთითებს ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ორგანიზმის ფერმენტული ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის დაქვეითებაზე, ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებასა და დაავადების პროგრესირებაზე.

საკვანძო სიტყვები: სისხლი, საშვილოსნოს ტანის სიმსივნე, ანტიოქსიდანტური სისტემა, ფერმენტები

ცნობილია, რომ პრაქტიკულად ყველა დაავადება დაკავშირებულია ჟანგვით სტრესთან და, შესაბამისად, ანტიოქსიდანტური აქტივობის დაქვეითებასთან [10].

ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესები მეტაბოლიზმის ნებისმიერი რგოლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესები ორგანიზმში სხვადასხვა სისტემით რეგულირდება. ეს უკანასკნელნი აუცილებელია როგორც ენერგეტიკული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ასევე ქსოვილებში ჟანგბადის უტილიზაციისთვის. ცნობილია, რომ ნორმალურად ფუნქციონირებად უჯრედებში, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის სუბსტრატის (ფოსფოლიპიდების) სიჭარბის მიუხედავად, თავისუფალ-რადიკალური ჟანგვის პროდუქტები მცირე რაოდენობით წარმოიქმნება. სტაციონარული წონასწორობის დარღვევისას კი, ჟანგბადის აქტი-

ური ფორმები, ურთიერთქმედებენ რა ბიომოლეკულებთან, არღვევენ მათ სტრუქტურას და ფუნქციას, შესაბამისად განაპირობებენ ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესების გააქტივებას. უკანასკნელნი იწვევენ მრავალკომპონენტიანი ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციური აქტივობის შემცირებას [2, 8, 15], მემბრანული ფოსფოლიპიდების, როგორც შემადგენლობის, ასევე რაოდენობრივ ცვლილებებს, მემბრანასთან დაკავშირებული ცილების (ფერმენტების, რეცეპტორული ცილების) კონფორმაციულ ცვლილებებს [5], ღმმ-ს დაზიანებას [11], შემაერთებელი ქსოვილის დეზორგანიზაციას [16], პროსტაგლანდინების სინთეზის რედუქციას [18]. გარდა ამისა, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტები (ჰიდროჟენპეროქსიდი) წარმოადგენენ ინტერმედიატებს, რომლებიც ორგანიზმის მიერ გამოიყენება სტეროიდული ჰორმონების სინთეზისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შევესწავლა საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ფერმენტების, ს(ო)ლ-ისა და კატალაზას, ფერმენტული აქტივობა, აგრეთვე მემბრანული ფერმენტის – მჟავე ფოსფატაზას აქტივობის ცვლილება, რამდენადაც, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტები, ხასიათდებიან რა მძალდი რეაქციის უნარიანობით, უჯრედებზე სისტემურ დამაზიანებელ ზემოქმედებას ახდენენ [9], რაც გამოსატყულებას პოულობს ჟანგვითი ფოსფორილების ფონზე მიმდინარე უჯრედული მეტაბოლიზმის დეზორგანიზაციასა და ლიზოსომური ფერმენტების აქტივაციაში [4].

მასალა და მეთოდები

კვლევისათვის გამოიყენებოდა საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი (მიომა) და საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნით (ენდომეტრიუმის კიბო) დაავადებული 15-15 ქალის სისხლი. საკონტროლო ჯგუფი წარმოადგენილი იყო შესაბამისი ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალებით.

ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივობას ვსაზღვრავდით მისი ერთი საბოლოო პროდუქტის – მალონის დიადეჰიდრის (მდა) წარმოქმნით [12], ფერმენტ ს(ო)ლ-ის აქტივობას ვსაზღვრავდით მეთოდით, რომელშიც რადიკალების გენერაცია ხორციელდებოდა რიბოფლავინის ხსნარის დასხივებით [1], ფერმენტ კატალაზას აქტივობას ვსაზღვრავდით მეთოდით, რომლის პრინციპი ემყარება კატალაზას უნარს მოლიბდენის მარილებთან წარმოქმნას მდგრადი შეფერილი კომპლექსი [7], ფერმენტ მჟავე ფოსფატაზას აქტივობას ვსაზღვრავდით არაორგანული ფოსფატის დაგროვების მიხედვით [1].

ექსპერიმენტულ მონაცემებს ვამუშავებდით სტატისტიკურად [14].

შედეგები და მათი განხილვა

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ადგილი აქვს ფერმენტ ს(ო)ლ-ის აქტივობის შემცირებას, დაავადების დამძიმების პარალელურად. კერძოდ, კეთილთვის-

სებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების სისხლში ფერმენტის აქტივობა შემცირებულია ~1,6-ჯერ, საკონტროლო ჯგუფის მონაცემთან შედარებით და მკვეთრად არის შემცირებული, ~5,9-ჯერ, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების სისხლში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საშილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის ცვლილება, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, რომლის ოდენობა, პირობითად 1-ს ტოლია

ფერმენტი	კეთილთვისებიანი სიმსივნე (მომა)	ავთვისებიანი სიმსივნე (ენდომეტრიუმის კიბო)
ს(ო)დ, ფარდ. ერთ.	0,61	0,17
კატალაზა, ფარდ. ერთ.	0,72	0,21
მჟავე ფოსფატაზა, ფარდ. ერთ.	1,1	1,8

პაციენტთა რაოდენობა $n = 15$, კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების ასაკი 40-50, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების ასაკი 50-60.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ იქნა საშილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსივობა. აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი მკვეთრად მატულობს დაავადების დამძიმების პარალელურად. კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების სისხლში ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივობა, საკონტროლო ჯგუფის მონაცემთან შედარებით, გაზრდილია ~1,7-ჯერ. ამგვარი ზრდის ტენდენცია უფრო მკვეთრად არის გამოხატული საშილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნის დროს – ~2,2-ჯერ. ე.ი. ს(ო)დ-ს და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივობის ცვლილებას შორის არსებობს უარყოფითი კორელაცია ($r = -0,92 \pm 0,02$) (ცხრილი 2).

ამგვარად, სავარაუდოა, რომ ს(ო)დ-ის აქტივობის შემცირება განპირობებული უნდა იყოს პათოლოგიის ფონზე განვითარებული ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსივობის, შესაბამისად სუპეროქსიდ-ანიონ რადიკალების რაოდენობის მატებითა და ორგანიზმის ანტიოქსიდანტური თვისებების დაქვეითებით.

რაც შეეხება ანტიოქსიდანტური სისტემის მეორე მნიშვნელოვან ფერმენტ კატალაზას, გამოკვლევებმა უჩვენა, რომ საშილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ადგილი აქვს კატალაზას აქტივობის დაქვეითებას, დაავადების დამძიმების პარალელურად. ფერმენტის აქტივობის კლების ტენდენცია (~1,4-ჯერ) შედარებით ნაკლებადაა გამოხატული საშილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ქალების სისხლში, საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით. ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში კი, აღინიშნება ფერმენტის აქტივობის მკვეთრი დაქვეითება (~5,8-ჯერ) (ცხრილი 1).

ლიპიდების რაოდენობის და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივობის ცვლილება საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებულთა სისხლში

ლიპიდების რაოდენობა სისხლში	საკონტროლო ჯგუფი	კეთილთვისებიანი სიმსივნე (მიომა)	ავთვისებიანი სიმსივნე (ენდომეტრიუმის კიბო)
ლიპიდების საერთო რაოდენობა, მგ/მლ	3,3 ± 0,05	4,8 ± 0,14	8,7 ± 0,22
ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობა, მგ/მლ	2,5 ± 0,2	2,1 ± 0,15	1,9 ± 0,05
ამინოშემცველი ფოსფოლიპიდები, %	31 ± 2,32	27 ± 1,9	21,7 ± 1,7
ქოლინშემცველი ფოსფოლიპიდები, %	34 ± 1,85	44 ± 2,35	63,2 ± 2,9
ქოლესტერინი, მმოლი /ლ	1,8 ± 0,09	3,5 ± 0,15	6,3 ± 0,29
ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვა, ნმ	6 ± 0,13	10 ± 0,32	13 ± 0,41

პაციენტთა რაოდენობა n = 15, კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ასაკი 40-50, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ასაკი 50-60.

ამგვარად, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის მკვეთრად გამოხატული ინტენსიფიკაციის ფონზე, დაავადების დამძიმების პარალელურად, ფერმენტ კატალაზას აქტივობის მკვეთრი შემცირება და, შესაბამისად, წყალბადის ზეჟანგის რაოდენობის მატება, კიდევ ერთხელ მიუთითებს ორგანიზმის ანტიოქსიდანტური თვისებების დაქვეითებაზე, ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებასა და დაავადების პროგრესირებაზე, რაც უფრო მკვეთრად აისახება საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შესწავლილ იქნა ლიზოსომების მარკერული ფერმენტის, მჟავე ფოსფატაზას აქტივობის ცვლილება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ადგილი აქვს მჟავე ფოსფატაზას აქტივობის ზრდას, დაავადების დამძიმების პარალელურად. ფერმენტის აქტივობის მატება ნაკლებადაა გამოხატული საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით. მჟავე ფოსფატაზას აქტივობა მკვეთრადაა გაზრდილი (~1,8-ჯერ) საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში (ცხრილი 1).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მჟავე ფოსფატაზას აქტივობის მკვეთრი მატება (~1,8-ჯერ) ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, გამოწვეული უნდა იყოს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესების გააქტივებით, რადგან ცნობილია, რომ ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტები იწვევენ ლიზოსომური მემბრანების დაზიანებას და ფერმენტების გამოთავისუფლებას [17]. გამოთავისუფლებული ლიზოსომური ფერმენტები კი ხელს

უწყობენ პათოლოგიის დროს წარმოქმნილი რადიკალებით უჯრედული დაზიანებების ინდუცირებას [1]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიზოსომური ფერმენტების ზემოქმედებისას ადგილი აქვს ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ფერმენტ კატალაზას აქტივობის დაქვეითებასაც [6], რასაც ჩვენი მონაცემებიც ადასტურებს (ცხრილი 1). გარდა ამისა, მჭავე ფოსფატაზას აქტივობის მატება შესაძლებელია გამოწვეული იყოს ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის დაქვეითებით [11]. ჩვენ შემთხვევაში, ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის დაქვეითებაზე მეტყველებს ფერმენტების ს(ო)ლ-სა და კატალაზას აქტივობის შემცირება (ცხრილი 1).

აღნიშნულის გარდა, მჭავე ფოსფატაზას აქტივობის მატება, შესაძლებელია გამოწვეული იყოს ორგანიზმში განვითარებული ჰორმონული დისბალანსითაც. ცნობილია, რომ საშვილოსნოს ტანის სიმსივნეების განვითარებაში წამყვან როლს სტეროიდული ჰორმონები (ესტროგენები) ასრულებენ [3]. ეს უკანასკნელნი კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ლიზოსომების მემბრანაზე, შესაბამისად, გავლენას უნდა ახდენდნენ ლიზოსომური ფერმენტების ბიოსინთეზზე და მათი აქტივობის ცვლილებაზეც [13].

ცნობილია, რომ მჭავე ფოსფატაზა მემბრანასთან დაკავშირებულ ფერმენტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მჭავე ფოსფატაზას აქტივობა გარკვეულწილად დამოკიდებული უნდა იყოს ლიპიდური გარემოცვის ცვლილებაზეც. აქედან გამომდინარე, კვლევის შემდეგ ეტაპზე შესწავლილ იქნა საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლის ლიპიდური სპექტრის ცვლილება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ დაავადების დამძიმების პარალელურად, ადგილი აქვს სისხლის ლიპიდების ცვლის რეგულაციის მკვეთრად გამოხატულ ცვლილებას, რისი მაჩვენებელიცაა სისხლის ლიპიდების საერთო რაოდენობის მატება, ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობის კლება, ადვილად ჟანგვადი (ამინოშემცველი) და ძნელად ჟანგვადი (ქოლინშემცველი) ფოსფოლიპიდების პროცენტული რაოდენობის ცვლილება და ქოლესტერინის რაოდენობის მატება, საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით (ცხრილი 2).

ამრიგად, აღნიშნული გამოკვლევები კიდევ ერთხელ მიუთითებს საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ორგანიზმის ფერმენტული ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის დაქვეითებაზე, ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებასა და დაავადების პროგრესირებაზე.

ლიტერატურა

1. *კვლიძე მ.* საკანდიდატო დისერტაცია, 1999, თბილისი.
2. *Баскович Г.А., Тхоржевская З.С. и др.* Гематология и трансфузиология, 1993, 3, 13-16.
3. *Берштейн Л.М.* Гормональный канцерогенез. Москва, Наука, 2000.
4. *Владимиров Ю.А., Арчаков А.И.* Перпексисное окисление липидов в биологических мембранах. Москва, 1972
5. *Каргезян К.Г., Секоян Э.С. и др.* Биохимия, 1998, 63, 1439-1446.
6. *Комов В.П., Стрелкова М.А. Фирсова В.И.* Биохимия, 1984, 49, 149-154.
7. *Королюк М. А., Иванова Л. И. и др.* Лаб. дело, 1988, №1, 16-19.
8. *Корочкин И.М., Башкатова В.Г., Пославский М.В.* Тер. арх., 1984, 12, 88-90.

9. Литвин Ю.П., Дворецкий А.И., Шаинская А.М., Мороз Н.И. *Вопр. мед. химии*, 1989, 5, 121-127.
10. Магин Д.В., Измаилов Д.Ю., Попов И.Н., Владимиров Ю.А. *Вопр. мед. химии*, 2000, 4, 97-101.
11. Пасечников В.Д. *Вопр. мед. химии*, 1989, №3, 51-54.
12. Паченко Л.Ф., Герасимов Л.М. и др. *Вопр. мед. химии*, 1974, вып. XX, 321.
13. Сергеев П.В. *Стероидные гормоны*. Москва, 1984.
14. Удольская Н.Д. *Введение в биометрию*. Алма-Ата, Наука, 1976.
15. Франциянц Е.М., Орловская Л.А. и др. *Вопр. онкол.*, 1999, 31, 77-79.
16. Brown K., Fridovich I. *Acta physiol. Scand.*, 1980, Suppl. 492 P, 9-18.
17. Bulkley G.B. *Surgery*, 1984, 94, 407-411.
18. Kuehl F.A., Egan R.W. *Science*, 1980, 210, 978-984.

АНТИОКСИДАНТНАЯ СИСТЕМА ФЕРМЕНТОВ, ПЕРЕКИСНОЕ ОКИСЛЕНИЕ ЛИПИДОВ И ИЗМЕНЕНИЯ АКТИВНОСТИ КИСЛОЙ ФОСФАТАЗЫ В КРОВИ БОЛЬНЫХ С ОПУХОЛЯМИ ТЕЛА МАТКИ

Т. Туфинашвили, Ц. Хараишвили, Г. Чкуасели, О. Джшикарвани, Н. Котрикадзе

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

В крови женщин больных опухолями тела матки исследованы изменения активности ферментов с антиоксидантными свойствами: супероксиддисмутазы (СОД), каталазы, мембранного фермента – кислой фосфатазы и перекисного окисления липидов. Исследованиями показано, что параллельно с утяжелением заболевания, происходит резкое снижение активности СОД и каталазы, увеличение активности кислой фосфатазы и активация процессов перекисного окисления липидов, что свидетельствует о снижении активности антиоксидантной ферментной системы в организме больных злокачественной опухолью, об ослаблении защитной функции организма и прогрессировании болезни.

ANTIOXIDANT ENZYME SYSTEM, LIPIDS PEROXIDATION AND ALTERATIONS OF ACIDIC PHOSPHATASE ACTIVITY IN THE BLOOD OF THE PATIENTS WITH UTERINE CORPUS TUMORS

T. Tufinashvili, Ts. Kharaiashvili, G. Chkuaseli, O. Jishkariani, N. Kotrikadze

I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Alterations of the activity of the enzymes with antioxidant properties – superoxidizedismutase (SOD), catalase, as well as activity of membrane enzyme acidic phosphatase and lipids peroxidation, were investigated in the blood of the women with the uterine corpus tumors. Investigation revealed that activity of SOD and catalase decrease sharply, while activity of acidic phosphatase and peroxidation of lipids increase along with aggravation of the disease, which shows that the antioxidant enzyme system and defense functions of an organism are significantly attenuated during malignant tumors; above alterations are reliable indicators of the disease progression.

ანტიოქსიდანტური დაცვის სისტემის რეგულაცია რემედიული ცხელების დროს ბავშვებში

ე. შანიძე, მ. ჟვანია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 7.06.2005

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს სისხლში რემედიული ცხელების (რც) დროს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის (ლზშ) პროცესების აქტივობის და ანტიოქსიდანტური (აოლ) ფერმენტების – ცერულოპლაზმინის (ცპ), კატალაზას (კატ), ტრანსფერინის (ტფ) – მდგომარეობის შეფასება, მათ შორის შესაძლო კორელაციური კავშირის დადგენა.

გამოკვლეულია 3-დან 15 წლამდე 38 ბავშვი რც-ის სხვადასხვა ვარიანტით. ყველა შემთხვევაში აოლ სისტემის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სისხლში ლზშ პროცესების აქტივობის პარალელურად (მალონის დიალდეჰიდი – მდა), განისაზღვრა ანტიოქსიდანტური ფერმენტები (აოფ) ცპ, კატ და ტფ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რც-ის დროს ძლიერდება აოლ სისტემის ფერმენტების აქტივობა, ლზშ პროცესების ინტენსიფიკაციის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ანტიოქსიდანტური ფერმენტები, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვა, ჟანგბადის აქტიური ფორმები, კარდიოპათია, ბავშვები

რემედიული ცხელება (რც) და გულის რემედიული მანკები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული განვითარებად ქვეყნებში, შენარჩუნებულია საშუალო ზონის განვითარებულ ქვეყნებში და ჯერ კიდევ წარმოადგენს ახალგაზრდა პირებში სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს. აქტუალობას რც-ის პრობლემები არ კარგავს საქართველოშიც, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში [4, 5, 6, 7, 12].

რც ტოქსიკურ-იმუნოლოგიური ანთებაა, რომლის დროსაც იმუნური პასუხის ყველა ეფექტორული მექანიზმი პროტეოლიზისა და ზეჟანგური ჟანგვის ამა თუ იმ ფორმით ხორციელდება. შესაბამისად, ლზშ-ს გააქტივება იწვევს ჟანგბადის აქტიური ფორმების (ჟაფ) გენერაციის გაზრდას, რომლის წინააღმდეგაც ორგანიზმში მოქმედებს ბიოლოგიური მექანიზმი – აოლ სისტემა [1-4, 8].

თანამედროვე შეხედულებების ჭრილში, პროოქსიდანტურ-ანტიოქსიდანტური სისტემის მდგომარეობა რც-ის დროს, ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული სრულყოფილად.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა აოდ სისტემის აქტივობის განსაზღვრა რც-ის დროს ბავშვთა ასაკში და ამ სისტემის მაკომპენსირებელი უნარის შეფასება ლზუ პროცესების ინტენსივიკაციისას.

მასალა და მეთოდები

დაკვირვება ტარდებოდა 3-15 წლის 38 პაციენტზე რც-ის სხვადასხვა ვარიანტებით. დიაგნოზი ეფუძნებოდა ანამნეზის მონაცემებს, დაავადების კლინიკურ სურათს, ასევე კვლევის ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ მეთოდებს. დიაგნოზის ვერიფიცირება ხდებოდა სათანადო კრიტერიუმებით [5].

საკონტროლო ჯგუფში იყო 3-დან 15 წლამდე ასაკის 11 ბავშვი, რომელთაც ანამნეზის, კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე დაესვათ დიაგნოზი: ადენტონზილიტის ფონზე განვითარებული ქრონიკული დეკომპენსირებული კარდიოპათია.

ა(ო)დ სისტემის კვლევის მიზნით ყველა ავადმყოფის სისხლში გამოკვლეულ იქნა ანტიოქსიდანტური ფერმენტები (ა(ო)შ) – ცერულოპლაზმინი (ცპ) – რავინის მეთოდით, ტრანსფერინი (ტშ) – ფირმა “ლახემას” მზა ნაკრებით, კატალაზა (კატ) – კოროლიუკის მეთოდით [4]. გამოკვლევები ტარდებოდა სისხლში ლზუ პროცესების აქტივობის შესწავლის პარალელურად (მალონის დიალდეჰიდი – მღა). გაკვლევები ჩატარდა პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.

მიღებული მონაცემები დაჯგუფდნენ რც-ის მიმდინარეობის ვარიანტების, აქტივობის და დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით. დაავადების ხანდაზმულობის მიხედვით კი ავადმყოფები გავანაწილეთ შემდეგ ჯგუფებად: I ჯგუფში გაერთიანდა 11 ბავშვი რც-ის 1 წლამდე ხანდაზმულობით; II ჯგუფში – 7 ბავშვი დაავადების 1-დან 2 წლამდე ხანდაზმულობით, ხოლო III ჯგუფში – 20 ბავშვი რც-ის 2 წელზე მეტი ხანდაზმულობით.

მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება მოიცავდა თითოეული მაჩვენებლის საშუალოს (M) და საშუალო არითმეტიკულის საშუალო შეცდომის (m) გამოთვლას.

შედეგები და გამო განხილვა

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ცპ-ს დონე მერყეობდა ნორმის (N = 300-580 მგ/ლ) ფარგლებში, მაგრამ ნორმის მაღალ ციფრებს აღწევდა I და III ჯგუფებში (შესაბამისად, 401,7 ± 71,51 და 432,5 ± 79,2), რაც ესადაგებოდა ამავე ჯგუფებში ლზუ პროცესების გააქტივებას (მღა-ის მაჩვენებლები იყო, შესაბამისად, 12,1 ± 3,15 და 10,5 ± 2,9). კატ-ის დონე ყველა შემთხვევაში დაქვეითებული იყო (N = 10,6-22,9 მკატ/ლ) და დაავადების ხანდაზმულობის მიხედვით რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარებოდა. ტშ კი მაღალი (N = 53,7-62,6 მკმოლ/ლ) იყო ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით I და III ჯგუფებში. ცხრილი 2-დან კი ნათლად ჩანს, რომ ცპ-ის მაჩვენებელი ნორმის ზედა ზღვარს აღწევს აქტივობის II და III ხარისხის

შემთხვევაში და, შესაბამისად, შეადგენს $416,3 \pm 77,2 - 426,0 \pm 71,7$ მგ/ლ-ს. მაღალია ცპ-ის მაჩვენებლები როგორც მანკის გარეშე, ისე მანკით მიმდინარე რევემოკარდიტის დროსაც. კაბ-ის მაჩვენებლები ყველა შემთხვევაში დაქვეითებული იყო. ნორმაზე მაღალი იყო ტფ-ის მაჩვენებლები, განსაკუთრებით მანკით მიმდინარე რევემოკარდიტის შემთხვევაში ($105,5 \pm 27,0$ მკმოლ/ლ).

ცხრილი 1

აოლ სისტემის ფერმენტების მაჩვენებლების განაწილება რც-ის დროს დაავადების ხანდაზმულობის მიხედვით

ჯგუფები	n	%	მლა	აოლ ფერმენტები		
				ცპ	კაბ	ტფ
I	11	29	$12,1 \pm 3,2^*$	$401,7 \pm 71,51$	$8,8 \pm 1,0$	$94,9 \pm 19,40$
II	7	18	$6,7 \pm 1,9$	$392,9 \pm 63,9$	$8,6 \pm 1,26$	$85,47 \pm 20,31$
III	20	63	$19,5 \pm 2,9$	$432,5 \pm 79,2$	$8,71 \pm 1,43$	$94,42 \pm 25,41$
კონტრ.	11	-	$7,8 \pm 1,6$	$398,7 \pm 54,7$	$8,92 \pm 1,52$	$97,75 \pm 10,85$

* $p < 0,05$ საკონტროლო ჯგუფთან შედარებისას.

ცხრილი 2

აოლ სისტემის ფერმენტების მაჩვენებლების განაწილება რც-ის ფორმების, მიმდინარეობის და დაავადების აქტივობის მიხედვით

		ავადმყ. რაოდ. აბს. / %	აოლ ფერმენტები		
			ცპ	კაბ	ტფ
აქტივობის ხარისხი	I	11 / 28,9	$387,5 \pm 61,0$	$9,15 \pm 1,37$	$91,8 \pm 20,4$
	II	18 / 47,8	$416,3 \pm 77,2$	$8,63 \pm 1,16$	$91,9 \pm 21,8$
	III	9 / 23,0	$426,0 \pm 71,7$	$8,16 \pm 0,85$	$89,8 \pm 28,4$
მიმდინარეობა	მწვავე	26 / 71,0	$396,8 \pm 61,6$	$8,84 \pm 1,06$	$89,7 \pm 18,7$
	ქვემწვავე	11 / 28,9	$434,6 \pm 88,0$	$8,49 \pm 1,47$	$96,6 \pm 27,1$
	გახანგრძლივ.	1 / 2,6	$450 \pm 80,2$	$8,9 \pm 1,31$	$95,2 \pm 24,3$
რევემოკარდიტი	მანკის გარეშე	25 / 65,7	$407,9 \pm 67,7$	$8,77 \pm 1,28$	$90,5 \pm 19,9$
	მანკით	6 / 15,7	$410,0 \pm 105,5$	$8,45 \pm 0,96$	$105,5 \pm 27,0$
სახსრ.სინდრ.	პოლიართრიტი	5 / 13,1	$398,3 \pm 41,1$	$8,65 \pm 1,43$	$93,3 \pm 22,6$
	პოლიართრალგია	29 / 68,4	$397,2 \pm 62,1$	$9,21 \pm 1,12$	$92,3 \pm 21,2$
მცირე ქორეა		7 / 18,4	$393,3 \pm 39,1^*$	$9,26 \pm 1,01$	$80,4 \pm 14,1$

* $p < 0,05$, ჯგუფებს შორის.

ამრიგად, ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რც-ის დროს ბავშვებში აოლ სისტემაში აღინიშნება აოფ-ის დონის ცვლილება სისხლში, კერძოდ კაბ-ის დეფიციტი და ცპ-ისა და ტზ-ის მაჩვენებლების მატება, ლზშ პროცესების ინტენსიფიკაციის შესაბამისად. რც-ის დროს პროოქსიდანტურ-ანტიოქსიდანტური წონასწორობა ლზშ პროცესების აქტივაციის მხარეს იხრება.

ლიტერატურა

1. *Евсюкова И.И., Савельева Т.В., Арутюнян А.В., Прокопенко В.М., Шнейерсон М.Г., Байбородов Б.Д.* Педиатрия, 1996, 1, 13-16.
2. *Игнатъева Г.А.* Пат. физиол., 1997, 4, 26-37.
3. *Камышиников В.С.* Справочник по клинико-биохимической лабораторной диагностике. Москва, 2002.
4. *Королюк М.А., Иванова Л.И., Майорова И.Т.* Лаб. дело, 1988, 1, 16-19.
5. *Кузьмина Н.Н.* Российский вестник перинатологии и педиатрии, 2001, 1, 25-32.
6. *Рота И.* Ревматология, 1984, 1, 62-65.
7. *Asherson R.A., Khamashata M.A., Huges G.R.* Clin. Exp. Rheumatol., 1991, 9, 1-22.
8. *Gotia S., Popovici I., Hermeziu B.* Rev. Med. Chir. Soc. Med. Nat., 2001, 105, 499-503.
9. *Oran B., Atabek E., Karaaslan S., Resli Y., Gultekin F., Erkul Y.* Cardiol. Jong., 2001, 11, 285-288.
10. *Scheffer I.E.* Mitochondrion, 2001, 1, 3-31.
11. *Shpira A.H.V.* Biochim.Biophys. Acta, 1999, 2, 99-102.
12. *Williams R.C.* In:Kippil Y., Dieppe P., Eds. Rheumatology. Mosly, 1994.

СОСТОЯНИЕ СИСТЕМЫ АНТИОКСИДАНТНОЙ ЗАЩИТЫ ПРИ РЕВМАТИЧЕСКОЙ ЛИХОРАДКЕ У ДЕТЕЙ

Е.С. Шанидзе, М.А. Жвания

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Цель настоящей работы оценить состояние перекисного окисления липидов (ПОЛ) и ферментов антиоксидантной системы (АОС) – церулоплазмينا (ЦП), каталазы (КАТ) и трансферина (ТФ) у детей при ревматической лихорадке (РЛ) и установить возможную корреляционную связь между ними.

Обследовано 38 больных в возрасте от 3 до 15 лет, с различными вариантами РЛ. У всех больных исследовали ПОЛ по МДА (малоновый диальдегид) и состояние АОС по ЦП, КАТ и ТФ.

Результаты исследования показали, что у больных РЛ усиливается активность ферментов системы АОС, причем, их величина коррелирует с интенсивностью ПОЛ.

CONDITION OF ANTIOXIDATIVE DEFENSE SYSTEM IN CHILDREN WITH RHEUMATIC FEVER

E. Schanidze, M. Zhvania

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Aim of the study was establishing some clinical-biological correlations of lipoperoxidation products – malonedialdehyde (MDA) and antioxidative enzymes in the blood. In the neutralization process of superoxide anions ceruloplasmin (CP), catalase (CAT) and transferrin (TF) are the key enzymes in antioxidative defense system (AOD).

Total of 38 patients aged from 3 to 15, with different variants of rheumatic fever (RF), were studied. The relationship between MDA and AOD system was investigated in all patients.

The study revealed that activity of AOD enzymes in children with RF is elevated and their value correlates with intensity of lipid peroxidation.

პრეპარატ პროსტალიზერ-2-ით წინამდებარე ჯირკვლის ქიმიური დაზღვის უორიულო შედეგები

ც. შულაია, თ. შიოშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 30.06.2005

დაკვირვება ჩატარებულია 46 მამაკაცზე (ასაკი 60-დან 85 წლამდე), რომელთაც ჰქონდათ წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (Vპპ) მაღალი საოპერაციო რისკით. პერინეალური მიდგომით, ხდებოდა პრეპარატ “პროსტალიზერ-2”-ის ინექცია წინამდებარე ჯირკვალში (Vპ).

კლინიკური გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ “პროსტალიზერ-2”-ს შეყვანა 3 წლის განმავლობაში იწვევდა Vპ-ს მასის შემცირებას 60%-ით. აღნიშნული ხასიათდება დაბალი ზოგადი ტოქსიკურობით და მაქსიმალური შედეგადობით Vპ-ს ქსოვილში. კლინიკური მანევრებლები ინექციამდე და მის შემდეგ იყო შემდეგი: Vპ-ს მასა $87,8 \pm 9,5$ გრ-დან შემცირდა $34,0 \pm 1,0$ გრ-მდე, ნარჩენი შარდის მოცულობა შემცირდა $225,0 \pm 12,5$ მლ-დან $12,0 \pm 0,5$ მლ-მდე, შარდის მაქსიმალური ნაკადი გაიზარდა $10,0 \pm 1,0$ მლ/ს-დან $21,5 \pm 1,0$ მლ/ს-მდე, შარდის საშუალო ნაკადი გაიზარდა $4,5 \pm 1,6$ მლ/ს-დან $15, \pm 1,3$ მლ/ს-მდე, მოშარდვის მთლიანი ხანგრძლივობა $101,5 \pm 4,5$ ს-დან შემცირდა $21,5 \pm 0,5$ ს-მდე, შარდის გამოყოფის ხანგრძლივობა – $82,2 \pm 4,5$ ს-დან $19,0 \pm 1,0$ ს-მდე, Vპ-ს სიმპტომთა საერთაშორისო ჯამი შემცირდა $18,4 \pm 1,0$ -დან $7,0 \pm 0,5$ -მდე.

არ იყო შემჩნეული Vპ-ს ქირურგიისთვის დამახასიათებელი ისეთი გართულებები, როგორცაა შარდის ბუშტის ყელის ან შარდსადენის არხის შევიწროვება, სფინქტერის უკმარისობა, რეტროგრადული ეაკულაცია და სხვ. აღნიშნული მეთოდი ხასიათდება მაღალი ეფექტურობით, უსაფრთხოებით, დაბალი ღირებულებით და უკუჩვენებათა არარსებობით. პრეპარატი შეიძლება რეკომენდებულ იქნას პრაქტიკულ უროლოგიაში გამოსაყენებლად.

საკვანძო სიტყვები: წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერპლაზია, ქიმიური დესტრუქცია, კლინიკური შედეგები

წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (Vპპ) წარმოადგენს თანამედროვე უროლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას. იგი გარკვეულ ფარგლებში უვითარდება ასაკოვანი მამაკაცების 80%-ს და აქედან 30%-ს ესაჭიროება ქირურგიული ჩარევა [1, 2, 6]. მკურნალობის მეთოდების სიმრავლის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა “ოქროს

შუალედის” შერჩევა [3, 4, 5]. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო აკადემიის უროლოგიის კათედრაზე მოწოდებული პრეპარატ “პროსტალიზერ-2”-ის კლინიკაში შესწავლა VZ-ის დესტრუქციის მიზნით. შევეცადეთ შეგვესწავლა აღნიშნული პრეპარატის მოქმედების შორეული შედეგები [2, 4, 7].

მასალა და მეთოდები

კლინიკური დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 46 მამაკაცი VZპპ-ით, რომელთა ასაკი შეადგენდა 60-85 წელს, დაავადების ხანგრძლივობა იყო 1-დან 7 წლამდე. მათი ძირითადი დაავადების (VZპპ) კლინიკური მანკვებლები ინექციამდე იყო შემდეგი: VZ-ის მასა 87,8 ± 9,5 გრ (60-140 გრ), ნარჩენი შარდის მოცულობა 225,0 ± 12,5 მლ (200-300 მლ), შარდის მაქსიმალური ნაკადი 10,0 ± 1,0 მლ/ს (8-12 მლ/ს), შარდის საშუალო ნაკადი 4,5 ± 1,6 მლ/ს (3-9 მლ/ს), გამოდევნილი შარდის მოცულობა 230,0 ± 9,0 მლ (200-150), მოშარდვის საერთო ხანგრძლივობა 101,5 ± 4,5 წ (40-95 წ), შარდის ნაკადის მაქსიმუმამდე მიღწევის დრო 9,0 ± 1,5 წ (5-11 წ), პროსტატის სიმპტომა საერთაშორისო ჯამი (პსსჯ) 18,5 ± 1,0 (13-20).

მათი მძლავრი ოპერაციული რისკის ფაქტორებს წარმოადგენდნენ შემდეგი თანმხლები დაავადებები: თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა – 3 (6,5%), გულის უკმარისობა – 7 (15,2%), გულის რიტმის დარღვევა – 9 (19,6%), გულის ინფარქტის შემდგომი პერიოდი – 5 (10,9%), გულის იშემიური დაავადება – 18 (39,1%), მიიმე ფორმის შაქრიანი დიაბეტი – 4 (8,7%) (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ავადმყოფთა თანმხლები დაავადებები

თანმხლები დაავადებები	ავადმყოფთა რაოდენობა, აბს. / %
გულის დეკომპენსირებული უკმარისობა	7 / 15,2
თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა	3 / 6,5
გულის რიტმის დარღვევა	9 / 19,6
გულის ინფარქტის შემდგომი პერიოდი	5 / 10,9
გულის იშემიური დაავადება	18 / 39,1
შაქრიანი დიაბეტი	4 / 8,7
სულ	46 / 100

შედეგები და მათი განხილვა

ჩარევის წინ ავადმყოფებს უტარდებოდათ შესაძლო აღერგიული რეაქციის გამოსავლენი სინჯი, “პროსტალიზერ-2”-ის 0,1 მლ-ის კანში შე-

ყვანით, რაც, როგორც წესი, იწვევდა 1,0 სმ-ის დიამეტრის, მკრთალი ფერის ინფილტრაციას, რომელიც შემდგომში გაიწოვებოდა 2-4 დღის განმავლობაში. სხვა განსხვავებული, უფრო გამოხატული რეაქცია ჩვენ შემთხვევაში არ ყოფილა. “პროსტალიზურ-2”-ის ტრანსპერინეული ინექცია, რომელიც ტარდებოდა ადგილობრივი ანესთეზიით (ლიდოკაინის 1% ხსნარი), არ იწვევდა ტკივილს, ჰემოდინამიკის დარღვევებს, ჰიპერტორმულ რეაქციებს. მანიპულაციის შემდეგ, 30 ავადმყოფი 46-დან (65,2%) აღნიშნავდა სიმძიმის შეგრძნებას შორისის არეში, 26 (54,3 %) კი – სუბფერორულ ტემპერატურას მომდევნო 2-3 დღის განმავლობაში. შარდის შეკავების თავიდან აცილების მიზნით, ავადმყოფებს, როგორც წესი, უტარდებოდათ შარდის ბუშტის კათეტერიზაცია 4-5 დღით. ენიშნებოდათ “ომნიკი”, 6-8 კვირის ხანგრძლივობით.

ნარჩენი შარდის მოცულობა საწყისი დონიდან ($225,0 \pm 12,5$ მლ) 6-8 კვირის შემდეგ შემცირდა $25,5 \pm 3,6$ მლ-მდე, $p < 0,001$, 6 თვის, 1 წლის და 2 წლის შემდეგ, საშუალო მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა ($20,2 \pm 1,0$; $15,0 \pm 1,5$; $10,5 \pm 1,0$ მლ-მდე), ხოლო 10 შემთხვევაში საერთოდ გაქრა.

შარდის მაქსიმალური ნაკადი საწყისი $10,0 \pm 1,0$ მლ/წ-დან, 6-8 კვირისათვის გაიზარდა $18,3 \pm 1,6$ მლ/წ-მდე. შემდეგ ვადებში კი (6 თვის 1, 2 და წლის) გაიზარდა უფრო მეტად (შესაბამისად, $19,1 \pm 1,5$; $22,0 \pm 2,0$; $23,2 \pm 1,8$; მლ/წ $p < 0,001$).

ასეთივე დინამიკა აღინიშნებოდა შარდის საშუალო ნაკადის მხრივ. თუ ინექციამდე იგი შეადგენდა $4,5 \pm 1,6$ მლ/ს, ინექციის შემდეგ იგი გაიზარდა, 6-8 კვირის შემდეგ, $10,2 \pm 1,5$ მლ/ს-მდე, 2, 3-ჯერ $p < 0,001$, 6 თვის შემდეგ $12,5 \pm 2,1$ მლ/ს, 1 წლის შემდეგ – $14,3 \pm 1,8$ მლ/ს, 2 წლის შემდეგ $15,6 \pm 2,4$ მლ/ს-მდე.

გამოყოფილი შარდის რაოდენობა ინექციამდე და მის შემდეგ სტატი-სტიკურად არ განსხვავდებოდა ($230,0 \pm 9,0$ მლ, $p > 0,05$). აღნიშნული მაჩვენებელი გამოყენებულია იმის დასადასტურებლად, რომ უროფლუმეტრია ჩატარებული იყო ტექნიკური პირობების დაცვით.

მოშარდვის საერთო ხანგრძლივობა $101,5 \pm 4,5$ ს-დან “პროსტალიზურ-2”-ის ინექციიდან 6-8 კვირის შემდეგ შემცირდა $27,2 \pm 2,4$ ს-მდე (3,7 ჯერ, $p < 0,001$) და მომდევნო ვადებში დარჩა სტაბილურად დაბალ დონეზე ($23,4 \pm 0,8$; $21,0 \pm 1,1$; $20,5 \pm 0,7$ ს). შესაბამისად, უშუალოდ შარდის გამოყოფის ხანგრძლივობა ასევე შემცირდა საწყისი $82,2 \pm 4,5$ ს-დან, $20,5 \pm 2,5$ ს-მდე (4-ჯერ, $p < 0,001$), $18,1 \pm 1,2$ ს; $15,5 \pm 2,5$ ს; $15,3 \pm 1,3$ ს-მდე ($p < 0,001$).

აგრეთვე შემცირდა შარდის ნაკადის მაქსიმუმამდე მიღწევის დროც საწყისი $9,0 \pm 1,5$ ს-დან $4,5 \pm 1,0$ ს-მდე (2,0 ჯერ, $p < 0,001$), შემდგომში კი $3,0 \pm 0,5$ ს; $2,5 \pm 0,3$ ს; $2,2 \pm 0,5$ ს-მდე ($p < 0,001$).

ვინაიდან მოშარდვის აქტის ყველა ობიექტური მაჩვენებელი გაუმჯობესდა, იგივე დინამიკა აღინიშნებოდა მათი სუპარული მაჩვენებლის პსჰ-ის მხრივაც. საწყისი დონიდან ($18,5 \pm 1,0$), ინექციის შემდეგ, იგი სტაბილურად

შემცირდა ($11,2 \pm 1,1$ -მდე, 1,6-ჯერ, $p < 0,001$; შემდგომში კი $7,2 \pm 1,8$; $7,5 \pm 1,0$; $6,8 \pm 0,9$ -მდე).

საწყისი 46 ავადმყოფიდან 36 პაციენტი, “პროსტალიზერ-2”-ით მკურნალობით, 3 წლის შემდეგაც იმყოფებოდა დაკვირვების ქვეშ. მათი განმეორებითი გამოკვლევით დადგინდა, რომ ნარჩენი შარდის მოცულობა საწყისი დონიდან ($225,0 \pm 12,5$ მლ) შემცირდა $12,5 \pm 0,5$ მლ-მდე, 10 შემთხვევაში სრულიად გაქრა; $\nabla\%$ -ის მასა საწყისი $87,8 \pm 9,5$ გრ-დან შემცირდა $24,0 \pm 1,0$ გრ-მდე; შარდის მაქსიმალური ნაკადი $10,0 \pm 1,0$ მლ/ს-დან გაიზარდა $21,5 \pm 1,0$ მლ/ს-მდე; შარდის საშუალო ნაკადი $4,5 \pm 1,6$ მლ/ს-დან გაიზარდა $15,0 \pm 1,3$ მლ/ს-მდე; გამოყოფილი შარდის მოცულობა $230,0 \pm 9,0$ მლ-დან გაიზარდა უმნიშველოდ – $230,5 \pm 9,0$ მლ-მდე; მოშარდვის საერთო ხანგრძლივობა $101,5$ ს-დან შემცირდა $21,5 \pm 0,5$ ს-მდე; შარდის გამოდევნის ხანგრძლივობა $82,2 \pm 4,5$ ს-დან შემცირდა $19,0 \pm 1,0$ ს-მდე; შარდის ნაკადის მაქსიმუმამდე მიღწევის დრო $9,0 \pm 1,5$ ს-დან შემცირდა $2,5 \pm 0,2$ ს-მდე; $\Delta\text{სს}\%$ – $18,5 \pm 1,0$ -დან შემცირდა $7,0 \pm 0,5$ -მდე (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ავადმყოფთა კლინიკური მაჩვენებლები “პროსტალიზერ-2”-ის შეყვანის წინ და მის შემდეგ ($M \pm SD$)

კლინიკური მაჩვენებლები	ინექციაზე ციაზმდე	ინექციიდან გასული დრო				
		6-8 კვირა	6 თვე	1 წელი	2 წელი	3 წელი
ავადმყოფთა რაოდენობა (n)	46	46	41	40	38	36
$\nabla\%$ -ის მასა (გრ)	$87,8 \pm 9,5$	$36,1 \pm 2,5$ $p < 0,001$	$35,5 \pm 1,0$ $p < 0,001$	$35,0 \pm 1,0$ $p < 0,001$	$34,1 \pm 2,2$ $p < 0,001$	$34,0 \pm 1,0$ $p < 0,001$
ნარჩენი შარდის მოცულობა (მლ)	$225,0 \pm 12,5$	$25,5 \pm 3,6$ $p < 0,001$	$20,2 \pm 1,0$ n31 n10	$15,0 \pm 1,5$ n30 n10	$10,5 \pm 1,0$ n28 n10	$12,0 \pm 0,5$ n26 n10
შარდის მაქსიმალური ნაკადი (მლ/ს)	$10,0 \pm 1,0$	$18,3 \pm 1,6$ $p < 0,001$	$19,1 \pm 1,5$ $p < 0,001$	$22,0 \pm 2,0$ $p < 0,001$	$23,2 \pm 1,8$ $p < 0,001$	$21,5 \pm 1,0$ $p < 0,001$
შარდის საშუალო ნაკადი (მლ/ს)	$4,5 \pm 1,6$	$10,2 \pm 1,5$ $p < 0,001$	$12,5 \pm 2,1$ $p < 0,001$	$14,3 \pm 1,8$ $p < 0,001$	$15,6 \pm 2,4$ $p < 0,001$	$15,0 \pm 1,3$ $p < 0,001$
გამყოფილი შარდის მოცულობა (მლ)	$230,0 \pm 9,0$	$210,0 \pm 10,5$ $p > 0,05$	$225,0 \pm 22,5$ $p > 0,05$	$222,5 \pm 15,0$ $p > 0,05$	$240,0 \pm 10,0$ $p < 0,001$	$230,5 \pm 9,0$ $p < 0,001$
მოშარდვის საერთო ხანგრძლივობა (ს)	$101,5 \pm 4,5$	$27,2 \pm 2,4$ $p < 0,001$	$23,4 \pm 0,8$ $p < 0,001$	$21,0 \pm 1,1$ $p < 0,001$	$20,5 \pm 0,7$ $p > 0,05$	$21,5 \pm 0,5$ $p > 0,05$
შარდის გამოდევნის ხანგრძლივობა (ს)	$82,2 \pm 4,5$	$20,5 \pm 2,5$ $p < 0,001$	$18,1 \pm 1,2$ $p < 0,001$	$15,5 \pm 0,5$ $p < 0,001$	$15,3 \pm 1,3$ $p < 0,001$	$19,0 \pm 1,0$ $p < 0,001$
შარდის ნაკადის მაქსიმუმამდე მიღწევის დრო (ს)	$9,0 \pm 1,5$	$4,5 \pm 1,0$ $p < 0,001$	$3,0 \pm 0,5$ $p < 0,001$	$2,5 \pm 0,3$ $p < 0,001$	$2,2 \pm 0,5$ $p < 0,001$	$2,5 \pm 0,2$ $p < 0,001$
$\Delta\text{სს}\%$	$18,5 \pm 1,0$	$11,2 \pm 1,1$ $p < 0,01$	$7,2 \pm 1,8$ $p < 0,01$	$7,5 \pm 1,0$ $p < 0,01$	$6,8 \pm 0,9$ $p < 0,01$	$7,0 \pm 0,5$ $p < 0,01$

აღნიშნული კლინიკური მასალის განხილვამ დაგვანახა, რომ “პროსტალიზერ-2”-ის პერინეული შეყვანა 3 წლის განმავლობაში იწვევს წაის მასის შემცირებას 60%-ით.

აღწერილი მეთოდი თავისი მაღალი შედეგიანობით განსხვავდება არსებული ინექციური მეთოდებისგან, ვინაიდან “პროსტალიზერ-2”-ის უფრო დაბალი ზოგადი ტოქსიკურობა და მაღალი შეღწევადობა წაის ქსოვილში განაპირობებს მის უფრო სრულყოფილ ინფილტრაციას სულ 4-5 საინექციო წერტილიდან და შემდეგ ჯირკვლის უფრო დიდი ნაწილის გაწოვას.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, წაის “პროსტალიზერ-2”-ით ინფილტრაციის პროცესი და მის შემდეგ განვითარებული ასეპტიკური ნეკროზისა და ღიზისის პროცესები სავსებით მართვადაია, არ ვრცელდება მეზობელ ორგანოებზე და არ აზიანებს მათ.

ამით აიხსნება, რომ ჩვენს კლინიკურ შემთხვევაში არ გვხვდება პროსტატის ქირურგიისათვის დამახასიათებელი ისეთი გართულებები, როგორცაა: შარდის ბუშტის ყელის ან შარდსადენის მილის შევიწროვება, სფინქტერის უკმარისობა, რეტროგრადული ეაკულაცია და სხვა.

გართულებები, რომლებიც აღინიშნებოდა ერთეულ შემთხვევაში (სიმძიმის შეგრძნება შორისის არეში, სუბფებრილიტეტი, მცირე ზომის პემატომები) არ ატარებს სერიოზულ ხასიათს და მოკლე დროში სონტანურად წყდება.

აღწერილმა მეთოდმა 3-წლიანი დაკვირვების შემდეგ, გამოავლინა მაღალეფექტურობა, უსაფრთხოება, სიაფვე, უკუჩვენების არარსებობა. იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს პრაქტიკულ უროლოგიაში გამოსაყენებლად.

ლიტერატურა

1. *მანავაძე ლ., ცინცაძე ო., ჩოგოვიძე თ.* კლინიკური და ექსპერიმენტული უროლოგია. თბილისი, 1995.
2. *შოთაშვილი თ.* წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის მკურნალობის ხერხი. პატენტი გამოგონებაზე № 2173. 1998. თბილისი.
3. *Anson K., Nawroocki J., et al.* Urology, 1995, 43, 305-310.
4. *Bruskewitz R.C., Larsen E.H., Nadsen P.O., et al.* J. Urol., 1986, 136, 613-615.
5. *Chapple C.R.* Br. J. Urol., 1998, 81 (suppl), 34-47.
6. *Chute C.G., Stephenson W.P., Guess H.A., et al.* Eur. Urol., 1991, 20 (suppl.), 11-17.
7. *Hammaden M.Y., Foulis G.A., et al.* Br. J. Urol., 1998, 81, 721-725.

ОТДАЛЁННЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ХИМИЧЕСКОЙ ДЕСТРУКЦИИ ПРЕДСТАТЕЛЬНОЙ ЖЕЛЕЗЫ ПУТЕМ ВВЕДЕНИЯ ПРЕПАРАТА “ПРОСТАЛИЗЕР-2”

Ц. Шуляя, Т. Шиошвили

Государственная медицинская Академия Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Под клиническим наблюдением находились сорок шесть мужчин с доброкачественной гипертрофией предстательной железы (ДГПЖ), в возрасте от 60 до 85 лет, с высоким

операционным риском. Путем перинеального подхода, препарат “Простализер-2” был введён в предстательную железу (ПЖ).

Клинические исследования выявили, что перинеальное введение “Простализер-2” в течение 3 лет вызывало уменьшение массы простаты на 60%. Указанный метод характеризуется низкой общей токсичностью и максимальным проникновением в ткань простаты. В период до- и после инъекции клинические показатели выглядят следующим образом: масса ПЖ уменьшилась с $87,8 \pm 9,5$ гр. до $34,0 \pm 1,0$ гр., объем остаточной мочи уменьшился с $225,0 \pm 12,5$ мл до $12,0 \pm 0,5$ мл, максимальный поток мочи увеличился с $10,0 \pm 1,0$ мл/с до $21,5 \pm 1,0$ мл/с, средний поток мочи увеличился с $4,5 \pm 1,6$ мл/с до $15,0 \pm 1,3$ мл/с, общая длительность мочеиспускания с $101,5 \pm 4,5$ секунд сократилась до $21,5 \pm 0,5$ с, длительность выделения мочи с $82,2 \pm 4,5$ с – до $19,0 \pm 1,0$ с, международная сумма симптомов простаты снизилась с $18,5 \pm 1,0$ до $7,0 \pm 0,5$.

Не были зафиксированы такие характерные для хирургии простаты осложнения, как сужение шейки мочевого пузыря или мочеиспускательного канала, недостаточность сфинктера, ретроградная эякуляция и др. Указанный метод характеризуется высокой эффективностью, безопасностью, низкой стоимостью, отсутствием противопоказаний. Препарат может быть рекомендован в практическую урологию.

LONG-TERM OUTCOMES OF CHEMICAL DESTRUCTION OF PROSTATE GLAND WITH PREPARATION *PROSTALIZER-2*

Ts. Shulaia, T. Shioshvili

State Medical Academy of Georgia, Tbilisi

SUMMARY

Total of 46 men, aged 60-85, with benign prostate hyperplasia (BPH) and high surgical risk, were under clinical observations. Through the perineal approach, preparation Prostalizer-2 was injected into prostate gland (PG).

Clinical examinations showed that perineal injection of Prostalizer-2 during the period of 3 years, promoted reduction of prostate mass by 60%. Low general toxicity and maximum penetration into the prostate tissue characterize this method. In the period before and after injection the indices of the disease are as follows: PG mass reduced from 87.8 ± 9.5 gr. to 34.0 ± 1.0 gr., volume of residual urine reduced from 225.0 ± 12.5 ml to 12.0 ± 0.5 ml, urine maximum flow rate increased from 10.0 ± 1.0 ml/s to 21.5 ± 1.0 ml/s, urine average flow increased from 4.5 ± 1.6 ml/s to 15.0 ± 1.3 ml/s, volume of general duration of micturition 101.5 ± 4.5 s to 21.5 ± 0.5 s, duration of urine voiding time reduced from 82.2 ± 4.5 s to 19.0 ± 1.0 seconds, international prostate symptoms score reduced from 18.5 ± 1.0 to 7.0 ± 0.5 . The common complications typical of prostate surgery – contracture of bladder neck or urethra, sphincter deficiency, retrograde ejaculation and others – were not observed. This method is characterized with high efficiency, safety, affordability, and absence of contra-indications. It can be recommended for use in practical urology.

ღვიძლის უკმარისობის ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიური მოდელები. მიმოხილვა

თ. ცინცაძე, ა. სარიშვილი, ი. ლაზრიშვილი, ვ. ჩიქობავა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 23.06.2005

ღვიძლის უკმარისობისა და ენცეფალოპათიის დროს განვითარებული ბიოქიმიური, მორფოლოგიური და მეტაბოლური დარღვევების მექანიზმების დახასიათებისთვის, ახალი სამკურნალო საშუალებების ტესტირებისთვის, აგრეთვე ახალი თეორიული და კლინიკური ჰიპოთეზების აპრობაციისთვის ფართოდ გამოიყენება ღვიძლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის მოდელები, რომლებიც იძლევიან ექსპერიმენტში გამოყენებული ცხოველების ასაკის, გენეტიკური და ფიზიოლოგიური თავისებურებების, პათოლოგიის ხასიათის, სიღრმისა და ხანგრძლივობის უნიფიცირების საშუალებას. მოცემულ მიმოხილვაში განხილულია სხვადასხვა ჰეპატოტოქსინით – აცეტამინოფენით (პარაცეტამოლი), ნახშირბადის ტეტრაქლორიდით, თიოაცეტამიდი, D-გალაქტოზამინით, კონკანავალინ-A-თი, ლიპოსაქარიდებით გამოწვეული ღვიძლის უკმარისობის ექსპერიმენტული მოდელები. ნებისმიერს ამ მოდელთან გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ექსპერიმენტატორის მიერ ამა თუ იმ მოდელის არჩევა გარკვეულწილად დამოკიდებულია კვლევის მიზანზე და ექსპერიმენტში გამოყენებული ცხოველის სახეობაზე.

საკვანძო სიტყვები: ღვიძლის უკმარისობა, ცხოველური მოდელი, აცეტამინოფენი, ნახშირბადის ტეტრაქლორიდი, თიოაცეტამიდი, D-გალაქტოზამინი, კონკანავალინ-A, ლიპოპოლისაქარიდები

ღვიძლის უკმარისობისა და ენცეფალოპათიის დროს განვითარებული ბიოქიმიური, მორფოლოგიური და მეტაბოლური დარღვევების კვლევის მეთოდების უმეტესობა, ინვაზიურობის გამო, ხშირად პაციენტის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. ამიტომ, კლინიკურ პირობებში ეს მეთოდები გამოუსადეგარია და ღვიძლისა და ტვინის დაზიანების გამომწვევი მექანიზმების დახასიათებისთვის, ახალი სამკურნალო საშუალებების ტესტირებისთვის, აგრეთვე ახალი თეორიული და კლინიკური ჰიპოთეზების აპრობაციისთვის ფართოდ გამოიყენება ღვიძლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის მოდელები.

ასეთი მოდელები ექსპერიმენტში გამოყენებული ინდივიდების ასაკის, გენეტიკური და ფიზიოლოგიური თავისებურებების, პათოლოგიის ხასიათის, სიღრმისა და ხანგრძლივობის უნიფიცირების საშუალებას იძლევა. ამ მანქანებლების ჰომოგენურობა აადვილებს იმ მოლეკულური, სტრუქტურული და ფუნქციური დარღვევების შეფასებას, რომლებიც საფუძვლად უდევს პათოლოგიური პროცესის განვითარებას.

ღვიძლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის ინდუცირების ამჟამად ცნობილი მოდელებიდან ყველაზე გავრცელებულია ე. წ. “ქირურგიული” და “ფარმაკოლოგიური” მოდელები. “ქირურგიული” მოდელები დაფუძნებულია ნაწილობრივ ან მთლიან ჰეპატექტომიაზე და ღვიძლის ნაწილობრივ ან მთლიან დევესკულარიზაციაზე (მაგ. იხ. რაჰმანისა და ჰოდგსონის მიმოხილვა [26]). ფარმაკოლოგიურ მოდელებში გამოიყენება სხვადასხვა ჰეპატოტოქსინები: აცეტამინოფენი (პარაცეტამოლი), ნახშირბადის ტეტრაქლორიდი, თიოაცეტამიდი, D-გალაქტოზამინი, კონკანავალინი-A, ლიპოსაქარიდები.

თიოაცეტამიდი (TAA)

TAA – CH_3CSNH_2 არის ცხოველებში ღვიძლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის ინდუცირებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ჰეპატოტოქსინი. TAA, აქტიურ მეტაბოლიტად – TAA-S-ოქსიდად – ბიოტრანსფორმაციის შემდეგ (ფლავენ ადენინ დინუკლეოტიდ მონოოქსიდაზას მეშვეობით), იწვევს ჰეპატოციტების ნეკროზს [5].

ვირთაგვებსა და თავგებსში TAA-ის პერიტონეუმში შეყვანის შემდეგ განვითარებული კლინიკური სურათი მოიცავს ენცეფალოპათიას, მეტაბოლურ აციდოზს, ტრანსამინაზების მაღალ დონეს, კოაგულოპათიას. ჰისტოლოგიურად ვლინდება ცენტრილობული ნეკროზი. TAA-ის პერიტონეუმში ინექციის, აგრეთვე კუჭის ზონდით დიდი დოზით (400-600 მგ/კგ) შეყვანის შემდეგ, აღნიშნული მოვლენები ვლინდება ინექციიდან 12-24 სთ-ში [4, 6, 38]. ღვიძლის მწვავე უკმარისობის მოდელირებისთვის TAA-ის დიდი დოზები შეყავთ 2-3 დღის განმავლობაში, დღეში ერთხელ [6, 20, 33].

ციმერმანმა და თანაავტ. [38] აჩვენეს, რომ TAA-ის 300 მგ/კგ დოზით ორჯერადი შეყვანით გამოწვეული ღვიძლის უკმარისობისა და ენცეფალოპათიის დროს ვირთაგვების თავის ტვინში შეინიშნება მხოლოდ ნეირონების ბირთვებისა და ასტროციტების სუსტი გაჯირჯევა; თავის ტვინის შეშუპება და ნეირონების დეგენერაცია არ აღინიშნება. ნეოკორტექსში, ჰიპოკამპში და სტრიატუმში დაქვეითებულია ნეიროტრანსმიტერული ამინოჰაჰების – გაემ-ის, გლუტამატისა და ტაურინის კონცენტრაცია.

TAA-ის ქრონიკული შეყვანა იწვევს ღვიძლის ციროზს [7, 17]. ციროზის გამოსაწვევად ცხოველებს რამდენიმე თვის განმავლობაში სასმელად აძლევენ წყალს, რომელშიც დამატებულია TAA [7, 17, 37]. დაშტი და თანაავტ. [7] აღნიშნავენ, რომ TAA-ის (300 მგ/ლ) დამატება სასმელ წყალში 16 კვირის განმავლობაში, რვიდან ექვს ვირთაგვაში იწვევს ციროზის განვითარებას. ავტორებმა დაასკვნეს, რომ ღვიძლის ციროზის და თანამდევი ენცეფალოპათიის ინდუცირებისთვის TAA-ის per os მიცემა უფრო

მარტივი და სანდო მეთოდია, ვიდრე, ჰეპატოტოქსინის სახით, ნახშირბადის ტეტრაქლორიდის (CCl₄) გამოყენება.

ციმერმანისა და თანაავტ. [38] მონაცემებით, ოთხი-ექვსი თვის განმავლობაში სასმელ წყალში TAA-ის (300 მკ/ლ) დამატება, ვირთაგვევში ჩამოყვლილებული მიკრონოდულარული ციროზის განვითარებას იწვევს. ამასთან, იღუპება ცხოველების მხოლოდ 10%. TAA-ის დოზის 450-600 მკ/ლ-მდე და ექსპოზიციის ხანგრძლივობის გაზრდის შემდეგ, ვითარდება მაკრონოდულარული ციროზი, მატულობს ცხოველების სიკვდილიანობაც. მაკრონოდულარული ციროზის მოდელირებისთვის უფრო მიზანშეწონილია TAA-ის ექსპოზიციის ხანგრძლივობის გაზრდა. დოზის გაზრდის შემთხვევაში, ცხოველების სიკვდილიანობა მკვეთრად მატულობს.

აცეტამინოფენი (პარაცეტამოლი)

აცეტამინოფენი მეტაბოლიზდება ღვიძლში. ნორმალურ პირობებში ის განიცდის გლუკურონიდაზაციას, სულფატაციას და ორგანიზმიდან თირკმელების საშუალებით გამოიყოფა. აცეტამინოფენის სიჭარბის დროს ხდება ბიოტრანსფორმაციის ამ გზის გაჯერება და მეტაბოლიზმში ერთვება ციტოქრომ 450 ოქსიდაზური სისტემა, რაც იწვევს ტოქსიკური ნაერთის N-აცეტილ-p-ბენზოქინონიმინის ფორმირებას. ითვლება, რომ ეს რეაქტიული მეტაბოლიტი თავიდან გლუტათიონის გამოფიტვას იწვევს, შემდეგ უერთდება უჯრედულ პროტეინებს, მათ შორის მიტოქონდრიულ ცილებს, და არღვევს მიტოქონდრიულ კალციუმის არხებს. ამ პროცესების შედეგად ხდება მიტოქონდრიული სუნთქვის ინჰიბიცია, ატფ-ს მარაგის შენეება და ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების, ჰიდროქსიდ რადიკალების, ნიტრიტებისა და ნიტრატების ფორმირება. ეს პროცესი ძლიერდება კუაფერის უჯრედების აქტივაციით და ციტოკინებისა და რეაქტიული რადიკალების პროდუცირებით, რაც, საბოლოოდ, უჯრედების აპოპტოზსა და ნეკროზს იწვევს [2, 3, 11, 15].

თუ საექსპერიმენტო ცხოველებს აცეტამინოფენის ინტრავენურ, კანქვეშა ან კუნთში ინექციამდე 3-4 დღით ადრე, ციტოქრომ 450 ოქსიდაზას სისტემის ინდუცირებისთვის, შეუწყვანენ ბარბიტურატებს, მათ ღვიძლის მწვავე უკმარისობა და ენცეფალოპათია განუვითარდება. ასეთი ცხოველების ღვიძლის ჰისტოლოგიური შესწავლისას ვლინდება ჰეპატოციტების მიმე ცენტრილობულური ნეკროზი [9, 21].

აცეტამინოფენის დიდი დოზით ინდუცირებული ღვიძლის მწვავე უკმარისობის ნაკლია: ა) აცეტამინოფენის ტოქსიკურობა, რომელიც ექსპერიმენტში გამოყენებული ცხოველის სახეობის მიხედვით ვარიებს დიდ ფარგლებში; ამასთან, ადგილი აქვს ერთი და იგივე სახეობის ცხოველებში მნიშვნელოვან ინდივიდუალურ ვარიაბელობასაც [13, 14]; ბ) ცხოველები ხშირად მოულოდნელად იღუპებიან მეთჰემოგლობინემიით [26]; გ) აცეტამინოფენი ნეფრო- და კარდიოტოქსიკურია; ვარაუდობენ, რომ ის ფილტვებსაც აზიანებს [1, 8, 26].

ბოლო ხანებში რამანმა და თანაავტ. [27] აღწერეს აცეტამინოფენით ინდუცირებული ღვიძლის მწვავე უკმარისობის ახალი მოდელი. ბოცვრებს

აცეტამინოფენის 500 მგ/კგ დოზით კანქვეშ ინექციამდე 5 დღით ადრე, ციტოქრომ 450 ოქსიდაზას აქტივობის ინდუცირებისთვის, ყოველდღე პერიტონიუმში უკეთებდნენ ფენობარბიტონს (40 მგ/კგ) ან 20-მეთილქოლანტრენს (80 მგ/კგ), შემდეგ კი აცეტამინოფენის შეყვანის წინ ვენაში უკეთებდნენ გლუტათიონ სინთეტაზას ინჰიბიტორს – ბუტიონინ სულფოქსიმს (2 მმოლი/კგ). ღვიძლის დაზიანება და I-III ხარისხის ენცეფალოპათია (ზემოქმედებიდან 5-12, 12-15 და 28-50 სთ-ში, შესაბამისად), პროთრომბინის დროის ზრდა, სისხლში ასპარტატტრანსამინაზასა და კრეატინინის დონის მატება უფრო მკვეთრადაა გამოხატული იმ ცხოველებში, რომლებზეც წინასწარ იმოქმედეს 20-მეთილქოლანტრენით, ვიდრე ფენობარბიტონის ჯგუფის ცხოველებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ ცხოველების სიკვდილიანობა 75%-ს აღწევს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც 20-მეთილქოლანტრენის მაგივრად, გამოყენებული იყო ფენობარბიტონი, ცხოველების სიკვდილიანობა არ აღინიშნებოდა, რაც ღვიძლის ქრონიკული უკმარისობის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

D-გალაქტოზამინი (D-Gal)

D-Gal მეტაბოლიზდება ღვიძლში და ურიდინუკლეოტიდების გამოფიტვას და ტრანსკრიპციულ ბლოკადას იწვევს; თუმცა, ცილების სინთეზის დეპრესიით არ შეიძლება D-Gal-ით ინდუცირებული ღვიძლის უკმარისობის ასხნა. ვარაუდობენ, რომ D-Gal იწვევს ღვიძლის სენსიბილიზაციას სხვა სტიმულების (მაგალითად, ინტესტინალური ენდოტოქსინის, სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის – TNFα) მიმართ [10, 19].

სხვადასხვა სახეობის ცხოველის მგრძობელობა D-Gal-ის მიმართ ცვალებადია. ვირთაგვები უფრო მგრძობიარენი არიან და მათთვის D-Gal-ის შეყვანა იწვევს ღვიძლის უკმარისობასა და ენცეფალოპათიას. თავგები უფრო რეზისტენტულია და მათში ღვიძლის უკმარისობის გამოწვევისთვის საჭიროა D-Gal-ის მაღალი დოზები (1000 მგ/კგ-ზე მეტი) [19].

ბოცვრებში D-Gal-ის 4,5 მმოლი/კგ დოზით შეყვანისას, ვითარდება პროგრესირებადი ენცეფალოპათია, რომელსაც ახასიათებს გაღრმავებული სტუპორი, დგომის რეფლექსის გაუარესება, თავის დაჭერის უნარის შემცირება და მტკივნეულ გაღიზიანებაზე რეაქციის არარსებობა; შეიძლება განვითარდეს ტვინის შეშუპებაც [12, 16]. D-Gal-ის შეყვანიდან 21-44 სთ-ის შემდეგ ცხოველების სიკვდილიანობა 74%-ს შეადგენს.

ზოგიერთმა მკვლევარმა, უნარკოხო ძაღლებში D-Gal-ის შეყვანის შემდეგ აღმოაჩინა ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, მეტაბოლური და ბიოქიმიური გადახრები და ღვიძლის ექსტენსიური ნეკროზი [31]. თუმცა, სხვა ავტორებმა, ანალოგიური ექსპერიმენტით, აღწერილი შედეგების მიღება ვერ შეძლეს.

ანესთეზირებულ ძაღლებში, D-Gal-ის 1500 მგ/კგ დოზით ინტრავენური ინექციის შემდეგ, ვლინდება ღვიძლის პროგრესირებადი მწვავე უკმარისობა, რომელსაც ახასიათებს ღვიძლის ფერმენტების (ასპარტატტრანს-

ამინახას, ალანინტრანსამინახას), ბილირუბინის, ამიაკის დონის მომატება და კოაგულოპათია. ასეთი ძაღლების ღვიძლის ჰისტოპათოლოგიური ანალიზით გამოვლენილია ჰეპატოციტების მასობრივი ნეკროზი. ცხოველების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა D-Gal-ის შეყვანიდან $43,7 \pm 4,6$ სთ-ს შეადგენს [25].

ნეესომი და თანაავტ. [24], D-Gal-ის და აცეტამინოფენის ჰეპატოტოქსიკურობის შედარების საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ D-Gal-ის შეყვანით მიღებული ეფექტი უფრო ადვილად პროგნოზირებადი და განმეორებადი; თუმცა, ადამიანისთვის დამახასიათებელი კლინიკური სინდრომის არარსებობა ზღუდავს ამ ჰეპატოტოქსინის ექსპერიმენტებში ფართოდ გამოყენებას.

ნახშირბადის ტეტრაქლორიდი (CCl₄)

CCl₄ 80-იან წლებში ინტენსიურად გამოიყენებოდა ცხოველებში ღვიძლის მწვავე უკმარისობის მოდელირებისთვის [26].

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ CCl₄-ის ტოქსიკური ეფექტი მატულობს ფენობარბიტონით ინდუცირებული ციტოქრომ 450 ოქსიდაზას ფერმენტული სისტემის აქტივობის დროს [23]. სინათლის და ელექტრონულ-მიკროსკოპიული კვლევებით დადგინდა, რომ CCl₄ ჰეპატოციტების დაღუპვას იწვევს როგორც აპოპტოზის, ასევე ნეკროზის გზით [29]. დაზიანებული უჯრედების უმეტესობა ცენტრილობულურ ზონაშია ლოკალიზებული.

ამჟამად CCl₄ ექსპერიმენტებში ნაკლებად გამოიყენება; ასეთ მოდელს ახასიათებს ღვიძლის მწვავე უკმარისობის სინდრომის ცუდი განმეორებადობა, სუსტად გამოხატული ენცეფალოპათია და შედეგების მნიშვნელოვანი სახეობრივი ვარიაბელობა [28]. ამასთან, CCl₄-ის per os და პერიტონეუმში შეყვანისას ზიანდება არა მარტო ღვიძლი, არამედ თირკმლებიც. ამიტომ, ღვიძლის დაზიანების მოდელირებისთვის მუკაიმ და თანაავტ. [22] შეიმუშავეს ღვიძლზე უშუალო აპლიკაციის მეთოდი. ღვიძლზე CCl₄-ის ზემოქმედების ხანგრძლივობა 1-2 სთ-ს შეადგენდა. ერთი დღის შემდეგ აღინიშნა სისხლის პლაზმაში ტრანსამინაზების და ღვიძლში მალონდიალდეჰიდის კონცენტრაციების მატება, ხოლო, სისხლის პლაზმაში კრეატინინისა და თირკმლებში მალონდიალდეჰიდის დონე უცვლელი იყო. CCl₄-ის პერორალურად და პერიტონეუმში შეყვანის დროს, სისხლის პლაზმაში მომატებულია ტრანსამინაზებისა და კრეატინინის, ასევე ღვიძლსა და თირკმლებში კი – მალონდიალდეჰიდის დონე.

კონკანავალინი-A (Con-A)

In vivo და in vitro ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ Con-A მოქმედებს, როგორც T-ლიმფოციტების მიტოზური აქტივობის სტიმულატორი, რაც ციტოკინების (მაგ. IL10) ექსპრესიას იწვევს [34]. Con-A ციტოტოქსიკურია თავისი ჰეპატოციტების სუფთა კულტურის მიმართ. ვარაუდობენ, რომ ის უშუალოდ ჰეპატოციტებზე მოქმედებს [18].

თავგებში ღვიძლის დაზიანება ვლინდება Con-A-ს 20 მგ/კგ დოზით ინტრავენური ინექციიდან 7-8 სთ-ის შემდეგ. ღვიძლის დაზიანება ვითარდება Con-A-ს უფრო მცირე დოზით (12 მგ/კგ) შეყვანის შემთხვევაშიც [30].

ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს Con-A-ს ორგანოსპეციფიკურობას – იგი იწვევს მხოლოდ ღვიძლის უჯრედების აპოპტოზსა და ნეკროზს [35].

ლიპოპოლისაქარიდები

ლიპოპოლისაქარიდები გრამუარყოფითი უჯრედების კედლის კომპონენტია, რომელიც ააქტივებს კუჭურის უჯრედებს და იწვევს ღვიძლის დაზიანებას [36].

საექსპერიმენტო ცხოველების მხოლოდ ლიპოპოლისაქარიდებით ან მისი სხვა ჰეპატოტოქსინთან (Con-A, D-Gal) კომბინაციით ექსპოზიცია იწვევს ღვიძლის მწვავე უკმარისობისთვის დამახასიათებელი გადახრების მსგავს ბიოქიმიურ და მეტაბოლურ ცვლილებებს. ჰისტოლოგიური ანალიზით დადგენილია პერიპორტული აპოპტოზი და ნეკროზი. პათოლოგიური გადახრები ვითარდება ელვისებურად (2-6 სთ-ში) და, თუ ცხოველი გადარჩა, ტრანსამინაზების დონე 12 სთ-ში უბრუნდება ნორმას. ახლო წარსულამდე ითვლებოდა, რომ ცხოველური მოდელები ლიპოპოლისაქარიდების გამოყენებით არ ასახავდა ადამიანის ღვიძლის მწვავე უკმარისობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ის გამოიყენებოდა მხოლოდ ღვიძლის მწვავე უკმარისობის ცალკეული სპეციფიკური ასპექტების შესასწავლად.

ახლახანს შემუშავდა ღვიძლის მწვავე უკმარისობის ახალი ექსპერიმენტული მოდელი. ღორებში ინტრაპორტალურად შეყავთ 0,1 მგ/კგ ალფა ამანიტინი და 1,0 მკგ/კგ ლიპოპოლისაქარიდები. 5 დღეში ადგილი აქვს ცხოველების 100%-ან სიკვდილიანობას. ამ აგენტების ინექციის შემდეგ, პირველ დღეებში ვლინდება ჰიპოგლიკემია, კოაგულოპათია, ასპარტატ ტრანსამინაზას დონის მკვეთრი მატება, შრატში მატულობს ლაქტატის კონცენტრაცია, სისხლის პლაზმაში ამინოჰეაგების დისბალანსი და ჰიპერამონიემია. აგრეთვე, ვლინდება ენცეფალოპათიის საწყისი სტადიები. საექსპერიმენტო ცხოველებში, უშუალოდ სიკვდილის წინ, მატულობს ქლასშიდა წნევა [32].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ღვიძლის უკმარისობის არც ერთი არსებული ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიური მოდელი სრულად არ ასახავს ადამიანის ღვიძლის უკმარისობისათვის დამახასიათებელ კლინიკურ სინდრომს. ექსპერიმენტატორის მიერ ამა თუ იმ მოდელის არჩევა, გარკვეულწილად დამოკიდებულია კვლევის მიზანზე და ექსპერიმენტში გამოყენებული ცხოველის სახეობაზე.

ლიტერატურა

1. Boudoudin S.V., Howdle P., O'Grady J.G., Webster N.R. Thorax, 1995, 50, 399-402.
2. Black M. Gastroenterology. 1980, 78, 382-392.
3. Boyd E.M., Hogan S.E. Can. J. Physiol. Pharmacol., 1968, 46, 239-245.
4. Bruck R., Oren R., Shirin H. et al. Hepatology, 1998, 27, 1013-1020.
5. Chieli E., Malvaldi G. Toxicology, 1984, 31, 41-52.
6. Chu C.J., Lee F.Y., Wang S.S. et al. Zhonghua Yi Xue Za Zhi (Taipei), 2000, 63, 263-269.
7. Dashti H., Jeppsson B., Hagerstrand I. et al. Eur. Surg. Res., 1989, 21, 83-91.

8. Eguia L., Materson B. J. *Pharmacotherapy*, 1997, 17, 363-370.
9. Francavilla A., Makowka L., Polimeno L. et al. *Gastroenterology*, 1989, 96, 470-478.
10. Gantner F., Kusters S., Wendel A. et al. *J. Pharmacol. Exp. Ther.*, 1997, 280, 53-60.
11. Gardner C.R., Heck D.E., Yang C.S. et al. *Hepatology*, 1998, 27, 748-754.
12. Gove C.D., Hughes R.D., Ede R.J., Williams R. *Hepatology*, 1997, 25, 295-301.
13. Green M.D., Dabbs J.E., Tyson C.A. *Toxicol. Appl. Pharmacol.*, 1984, 76, 139-149.
14. Gregus Z., Madhu C., Klaassen C.D. *J. Pharmacol. Exp. Ther.*, 1988, 244, 91-99.
15. Jaeschke H., Knight T.R., Bajt M.L. *Toxicol. Lett.*, 2003, 144, 279-288.
16. Jones E.A., Ferenci P., Pappas S.C., Schafer D.F. *Leber. Magen. Darm.*, 1984, 14, 282-287.
17. Kreft B., Block W., Dombrowski F. et al. *Am. J. Roentgenol.*, 1998, 170, 661-668.
18. Leist M., Wendel A.J. *Hepatol.*, 1996, 25, 948-959.
19. Leist M., Gantner F., Kunstle G. et al. *Mol. Med.*, 1996, 2, 109-124.
20. Margeli A.P., Papadimitriou L., Ninos S. et al. *Liver Int.*, 2003, 23, 171-178.
21. Miller D.J., Hickman R., Fratter R. et al. *Gastroenterology*, 1976, 71, 109-113.
22. Mukai T., Mera K., Nishida K. et al. *Biol. Pharm. Bull.*, 2002, 25, 1494-1497.
23. Nayak N.C., Chopra P., Dhar A., Das P.K. *Br. J. Exp. Pathol.*, 1975, 56, 103-112.
24. Newsome P.N., Plevris J.N., Nelson L.J., Hayes P.C. *Liver Transpl.*, 2000, 6, 21-31.
25. Patzer I.J.F., Block G.D., Khanna A. et al. *Hepatobil. Pancreat. Dis. Int.*, 2002, 1, 354-365.
26. Rahman T.M., Hodgson H.J. *Int. J. Exp. Pathol.*, 2000, 81, 145-160.
27. Rahman T.M., Selden A.C., Hodgson H.J. *J. Surg. Res.*, 2002, 106, 264-272.
28. Shi J., Wakil A.E., Rockey D.C. *Proc. Nat. Acad. Sci. USA*, 1997, 94, 10663-10668.
29. Shi J., Aisaki K., Ikawa Y., Wake K. *Am. J. Pathol.*, 1998, 153, 515-525.
30. Shirin H., Bruck R., Aeed H. et al. *J. Hepatol.*, 1998, 29, 60-67.
31. Sielaff T.D., Hu M.Y., Rollins M.D. et al. *Hepatology*, 1995, 21, 796-804.
32. Takada Y., Ishiguro S., Fukunaga K. *J. Artif. Organs*, 2003, 6, 9-13.
33. Theocharis S.E.L., Ratsou Z.P., Margeli A.P. et al. *Dig. Dis. Sci.*, 2003, 48: 1797-1803.
34. Tiegs G. *Acta Gastroenterol. Belg.*, 1997, 60, 176-179.
35. Tiegs G., Gantner F. *Exp. Toxicol. Pathol.*, 1996, 48, 471-476.
36. Van Bossuyt H., Wisse E. *Cell Tissue Res.*, 1988, 251, 205-214.
37. Zimmermann T., Franke H., Dargel R. *Exp. Pathol.*, 1986, 30, 109-117.
38. Zimmermann C., Ferenci P., Pifl C. et al. *Hepatology*, 1989, 9, 594-601.

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНЫЕ ФАРМАКОЛОГИЧЕСКИЕ МОДЕЛИ ПЕЧЕНОЧНОЙ НЕДОСТАТОЧНОСТИ. ОБЗОР

Т. Циццадзе, А. Саришвили, И. Лазришвили, Г. Чикобава

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Для характеристики механизмов, лежащих в основе биохимических, морфологических и метаболических нарушений, наблюдаемых при развитии печеночной недостаточности и энцефалопатии, тестирования терапевтического эффекта новых лекарственных препаратов, а также для апробации новых теоретических и клинических гипотез, широко применяются животные модели острой и хронической печеночной недостаточности. Животные модели позволяют унифицировать возраст, генетические особенности и физиологические пара-

метры используемых в экспериментах индивидов, характер патологии, ее глубину и продолжительность. В данном обзоре рассмотрены экспериментальные модели печеночной недостаточности, основанные на использовании различных гепатотоксинов – ацетаминофена (парацетамола), четыреххлористого углерода, тиацетамида, D-галактозамина, конканавалина-А, липополисахаридов. Любая из этих моделей имеет свои достоинства и недостатки. Выбор экспериментатором той или иной модели, в значительной степени зависит от конкретных задач исследования, а также от вида используемых в опытах животного.

EXPERIMENTAL PHARMACOLOGICAL MODELS OF HEPATIC INSUFFICIENCY: A REVIEW

T. Tsintsadze, A. Sarishvili, I. Lazrshvili, G. Chikobava

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

In order to characterize the mechanisms underlying biochemical, morphological, and metabolic disorders observed during development of hepatic insufficiency and encephalopathy, as well as for testing therapeutic effect of novel medicinal preparations and approbation of new theoretical and clinical hypotheses, animal models of acute and chronic hepatic insufficiency are widely implemented. The animal models provide for unification of age, genetic peculiarities and physiological parameters of the experimental subjects used in the studies; the same is true in regard of specificity of pathology, its severity and duration. In the present review experimental models of hepatic insufficiency, which are based on different hepatotoxic substances – acetaminophen (paracetamol), carbon tetrachloride, thyoacetamide, D-galactosamine, concanavalin-A, lipopolysaccharides – have been evaluated. Each of these models has its advantages and shortcomings. Choice of one or another model by an experimenter depends on specific goals of a study and on a species of an animal implemented.

ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ ОРГАНА ЗРЕНИЯ ПРИ АРТЕРИАЛЬНОЙ ГИПЕРТОНИИ

Э.А. Цициашвили

Национальный центр офтальмологии и неврологии, Тбилиси

Принята 8.07.2005

Артериальная гипертония (АГ) полиэтиологическое и полипатогенетическое заболевание. Глаз, с его сложной и специфической сосудистой и нервной системой, можно рассматривать как “орган-мишень” при АГ. Раннее выявление пораженных органов-мишеней, в частности, органа зрения, позволяет предупредить или замедлить развитие осложнений АГ. Целью нашего исследования являлось выявление специфических симптомов функциональных нарушений зрительной системы при АГ для выявления степени ишемизации сетчатки и прогнозирования возможных осложнений.

Клинические исследования проведены на 60 больных (120 глаз), с разными стадиями гипертонической ретинопатии, в возрасте от 50 до 70 лет, с острой зрения 0.1-1.0. Помимо стандартных офтальмологических методов исследования, проводились исследования топографии пространственной контрастной чувствительности (ПКЧ) (“ZEBRA”), цветовой чувствительности и активности on-off каналов колбочковой системы сетчатки (“OFF-ON”).

У больных с гипертонической ретинопатией 1-ой стадии (II группа) пороги хроматической и ахроматической ПКЧ на высокие частоты, on-off контрастной и спектральной (на ненасыщенные красные и зеленые стимулы) чувствительности статистически достоверно были снижены в 10° от центра. У больных с гипертонической ретинопатией 2-ой стадии (III группа), при наличии очагов ишемии сетчатки, отмечалось достоверное снижение порогов хроматической и ахроматической ПКЧ на все пространственные частоты, on-off контрастной и спектральной (на насыщенные и ненасыщенные цветные стимулы) чувствительности как в 1° - 5° от центра, так и в 10° .

Психофизический симптомокомплекс отражает функциональные или органические изменения в сетчатке и позволяет оценивать степень ишемизации у больных АГ. Таким образом, степень выраженности изменений топографии пространственной контрастной, цветовой и on-off контрастной чувствительности сетчатки у больных АГ, можно рассматривать как диагностический и прогностический критерий при гипертонической ретинопатии.

Ключевые слова: артериальная гипертония, гипертоническая ретинопатия, психофизиология, цветовое зрение, on-off колбочковая система.

Артериальная гипертония (АГ) полиэтиологическое и полипатогенетическое заболевание, при котором происходит многообразное нарушение различных уров-

ней регуляции артериального давления [3, 7]. Нарушение эндотелий-зависимой вазодилатации при АГ является первичным феноменом и, в то же время, повышение артериального давления, в свою очередь, приводит к дисфункции эндотелия [8, 11]. Глаз, с его сложной и специфической сосудистой и нервной системой, можно рассматривать как “орган-мишень” при АГ [1]. Сетчатка и зрительный нерв развиваются непосредственно из мозговой ткани, поэтому, оценивая состояние глаза, являющегося “мозгом, вынесенным на периферию”, в частности, степень ишемизации сетчатки, можно косвенно судить о состоянии головного мозга при АГ. Тестирование функциональных расстройств органов-мишеней в клинической практике является весьма актуальной, так как раннее выявление поражений органов-мишеней, в частности, органа зрения, позволяет предупредить или замедлить развитие осложнений АГ [2, 9, 10]. Для оценки прогноза течения АГ и эффективности лечебных воздействий, необходима количественная оценка функционального состояния органов-мишеней.

Целью нашего исследования являлось выявление специфических симптомов функциональных нарушений зрительной системы при АГ, для выявления степени ишемизации сетчатки и прогнозирования возможных осложнений.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Клинические исследования проведены на 60 больных (120 глаз), в возрасте от 50 до 70 лет, с остротой зрения 0.1-1.0. В II клиническую группу с гипертонической ретинопатией 1-ой стадии вошло 86 глаза, В III группу с гипертонической ретинопатией 2-ой стадии – 34 глаза, I контрольную группу составили 10 здоровых – 20 глаз.

Помимо стандартных офтальмологических методов исследования, проводились также исследования топографии пространственной контрастной чувствительности (ПКЧ) (ZEBRA), цветовой чувствительности и активности on-off каналов колбочковой системы сетчатки (OFF-ON).

Исследование ПКЧ проводилось с использованием компьютерной программы ZEBRA (Шамшинова А.М., Белозеров А.Е.). На монитор компьютера выводятся вертикальные или горизонтальные белые и цветные (красные, зеленые и синие) синусоидальные решетки различной пространственной частоты (0,5-22,0 цикл/градус), обозреваемые с расстояния 2 метра (исследуемое поле 6°). По результату исследования ПКЧ представлялся график зависимости ПКЧ от частоты предъявляемых паттернов на экране, а также отклонение ПКЧ обследуемого от нормы в dB для всего диапазона пространственных частот [4].

Методом статической кампиметрии (компьютерная программа OFF-ON, авторы Шамшинова А.М., Петров А.С.), проведено исследование топографии контрастной (на ахроматические стимулы светлее и темнее серого фона) и цветовой чувствительности (на насыщенные и ненасыщенные цветовые стимулы на сером фоне), в центральной и парацентральной зонах сетчатки. Изменения цветовой и контрастной чувствительности (КЧ) определялись по изменению времени сенсомоторной реакции (СМР) в каждой исследуемой точке в поле зрения [5, 6].

Обработка результатов проводилась статистическими методами ANOVA, гипотезы которых проверялись с помощью параметрического критерия t-

распределения Стьюдента. Различие сравниваемых показателей считалось достоверным при $p < 0,05$.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

В норме (I группа) показатели ахроматической и хроматической (красный, зеленый, синий) ПКЧ максимальны на средние частоты и минимальны на высокие. Распределение зависимости времени СМР от яркости и спектрального состава стимула, в каждой заданной точке поле зрения, симметрично (пороги ПКЧ, цветовой и on-off КЧ для всех обследуемых приведены в Таблице 1).

Таблица 1

Пороги ПКЧ на ахроматические и хроматические паттерны различной частоты (0,5-22,0 цикл/градус) и показатели СМР (мс) на ахроматические и ненасыщенные хроматические стимулы в 1°, 5°, 10° от центра

		Пороги ПКЧ (M ± m)				
		0,5-2,0	4,0-8,0	10,0-16,0		
I n=20	A	41,5 ± 2,1	40,7 ± 2,0	15,2 ± 2,1		
	R	39,4 ± 2,0	39,6 ± 2,4	16,4 ± 1,8		
	G	38,8 ± 2,4	39,5 ± 2,0	17,4 ± 2,3		
	B	36,9 ± 2,3	34,6 ± 2,1	16,0 ± 2,0		
II n=86	A	40,3 ± 2,3	41,3 ± 2,2	7,5 ± 1,9		
	R	39,6 ± 1,9	40,5 ± 2,1	7,9 ± 2,3		
	G	38,1 ± 2,6	39,0 ± 2,0	8,2 ± 2,1		
	B	35,7 ± 2,5	36,7 ± 1,9	6,1 ± 1,9		
III n=34	A	21,0 ± 2,2	20,0 ± 2,0	6,1 ± 1,5		
	R	22,2 ± 2,0	18,3 ± 2,1	7,2 ± 1,7		
	G	20,0 ± 1,7	16,4 ± 2,0	5,0 ± 2,0		
	B	23,8 ± 2,1	20,2 ± 1,9	5,1 ± 1,9		
		Показатели СМР (M ± m)				
		A-on	A-off	R	G	B
I n = 20	1°	0,27 ± 0,06	0,28 ± 0,09	0,30 ± 0,09	0,31 ± 0,09	0,31 ± 0,05
	5°	0,28 ± 0,05	0,28 ± 0,05	0,29 ± 0,06	0,29 ± 0,08	0,30 ± 0,08
	10°	0,28 ± 0,08	0,29 ± 0,08	0,29 ± 0,08	0,28 ± 0,09	0,32 ± 0,06
II n = 286	1°	0,27 ± 0,09	0,29 ± 0,09	0,31 ± 0,08	0,33 ± 0,08	0,30 ± 0,07
	5°	0,29 ± 0,08	0,27 ± 0,09	0,31 ± 0,06	0,32 ± 0,05	0,34 ± 0,06
	10°	0,69 ± 0,09	0,73 ± 0,08	0,75 ± 0,09	0,82 ± 0,07	0,33 ± 0,09
III n = 34	1°	1,32 ± 0,09	1,28 ± 0,09	1,7 ± 0,9	1,8 ± 0,5	1,0 ± 0,8
	5°	1,28 ± 0,07	1,36 ± 0,08	1,1 ± 0,9	1,9 ± 0,9	1,3 ± 0,9
	10°	1,30 ± 0,09	1,41 ± 0,07	1,8 ± 0,6	1,5 ± 0,8	1,6 ± 0,5

Паттерны: А – ахроматический, R – красный, G – зеленый, B – синий. Ахроматические стимулы: А-on – светлее фона, А-off – темнее фона; ненасыщенные хроматические стимулы: R – красный, G – зеленый, B – синий. I – норма, II – гипертоническая ретинопатия 1-ой стадии, III – гипертоническая ретинопатия 2-ой стадии.

У больных с гипертонической ретинопатией 1-ой стадии (II группа) пороги хроматической и ахроматической ПКЧ на высокие частоты, on-off контрастной и спектральной (на ненасыщенные красные и зеленые стимулы) чувствительности статистически достоверно были снижены в 10° от центра. Пороги хроматической и ахроматической ПКЧ на низкие и средние частоты, время СМР на насыщенные цветовые и ненасыщенные синие стимулы как в центре, так и в парацентре оказались в пределах нормы.

Редукция пространственной локализации, снижение контрастной, цветовой и световой чувствительности у больных с гипертонической ретинопатией 1-ой стадии возможно, свидетельствует о раздражении фоторецепторов, обусловленном нарушением метаболизма и началом ишемического процесса в сетчатке. Полученные данные могут свидетельствовать о начальной ишемизации сетчатки в парамакулярной зоне, питание которой осуществляется из бассейна центральной артерии сетчатки, тогда как функциональная сохранность макулярной области может быть объяснена хороидальным кровоснабжением макулы. Таким образом, психофизические исследования позволяют выявить тонкие нарушения пространственной контрастной, цветовой и световой чувствительности не определяемые стандартными методами исследования, в том числе периметрией.

У больных с гипертонической ретинопатией 2-ой стадии (III группа) при наличии очагов ишемии сетчатки отмечалось достоверное снижение порогов хроматической и ахроматической ПКЧ на все пространственные частоты, on-off контрастной и спектральной (на насыщенные и ненасыщенные цветовые стимулы) чувствительности как в 1° - 5° от центра, так и в 10° .

Полученные данные отражают степень функциональных нарушений как в центральной, так и парацентральной зонах сетчатки и свидетельствуют о метаболических нарушениях всей сетчатки, обусловленных не только измененным кровотоком в бассейне центральной артерии сетчатки, но и нарушением хороидального кровоснабжения макулы.

Психофизический симптомокомплекс отражает функциональные или органические изменения в сетчатке и позволяет оценивать степень ишемизации у больных АГ.

Оценивать функциональное состояние сетчатки у больных АГ особенно важно с точки зрения современного подхода к терапии АГ, предусматривающего не только снижение артериального давления, но и воздействие на структурные и функциональные изменения органов-мишеней.

Таким образом, степень выраженности изменений топографии пространственной контрастной, цветовой и on-off контрастной чувствительности сетчатки у больных АГ можно рассматривать как диагностический и прогностический критерий при гипертонической ретинопатии.

ЛИТЕРАТУРА

1. Белоусов Ю.Б. Тер. Архив, 1997, 69, 12-15.
2. Кацнельсон Л.А., Лысенко В.С., Балшанская Т.И. Клинический атлас патологии глазного дна. Москва, ГЕОТАР-Медицина, 1997.
3. Маколкин В.И., Подзолков В.И. Гипертоническая болезнь. Москва, Русский врач, 2000.

4. *Шамишинова А.М., Шатири В.М., Белозеров А.Е. и др.* Контрастная чувствительность в диагностике заболеваний зрительного анализатора. Методическое пособие для врачей. Москва, 1996
5. *Шамишинова А.М., Белозеров А.Е., Петров А.С. и др.* В кн.: Сборник научных тр. московского НИИ глазных болезней им. Гельмгольца, Москва, 1999, 33-44.
6. *Шамишинова А.М., Барсегян Г.Л., Дворянчикова А.П. и др.* В кн.: Мат.научно-практич. конф. Актуальные вопросы детской офтальмологии. Москва, 1997, 111-114.
7. *Шулутко Б.И.* Артериальная гипертензия 2000. С.-Пб., РЕНКОР, 2001.
8. *Boulanger C., Vanhoutte P.M.* Arch. Mal. Coeur. Vaiss., 1991, 1, 35-44.
9. *Fraunfelder F.T., Roy F.H.* Current ocular therapy. Philadelphia, London, Sydney, Toronto, Tokyo: W.B.Saunders Company, 2000.
10. *Hayreh S.S.* Ophthalmol.An., 1989, 38 p.
11. *Lin P.J., Chang C.H.* Chang. Keng. I.Hsueh., 1994, 17, 198-210.

ახედველობის ორგანოს ფუნქციური მდგომარეობა არტერიული ჰიპერტონიის დროს

ე. ციციაშვილი

ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი, თბილისი

რეზიუმე

არტერიული ჰიპერტონია (აჰ) პოლიეტიოლოგიური და პოლიპათოგენეზური დაავადებაა. თვალი, თავისი სპეციფიკური სისხლძარღვოვანი და ნერვული სისტემით, შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც “ორგანო-სამიზნე” აჰ-ს დროს. “ორგანო-სამიზნეების”, კერძოდ, მხედველობის ორგანოს დაზიანების ადრეული გამოვლენა არსებითია აჰ-ს გართულებების პრევენციის თვალსაზრისით. ამდენად, ჩვენი კვლევის მიზანი იყო აჰ-ს დროს მხედველობის სისტემის დისფუნქციის სპეციფიკური სიმპტომების გამოვლენა.

კლინიკური კვლევები ორივე სქესის, ჰიპერტონიული რეტინოპათიის სხვადასხვა სტადიით დაავადებული, 50-დან 70 წლამდე ასაკის, 60 პაციენტის (120 თვალი) მონაცემთა ანალიზს ეფუძნებოდა. რეტინული ოფთალმოლოგიური მეთოდების გარდა, გამოყენებულ იქნა ფსიქოფიზიკური მეთოდები, რომელთა საშუალებით შეისწავლებოდა სივრცითი კონტრასტული მგრძობელობის (ZEBRA) და სინათლესა და ფერებზე კონტრასტული მგრძობელობის ტოპოგრაფია (OFF-ON).

ფსიქოფიზიკურ სიმპტომთა კომპლექსი, აჰ-ს დროს, ბადურის ფუნქციურ ან ორგანულ ცვლილებებს ასახავს და მისი იშემიის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა. ამდენად, სივრცითი კონტრასტული, ფერებსა და on-off კონტრასტული მგრძობელობის ტოპოგრაფიული ცვლილებების ხარისხი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დიაგნოსტიკური და პროგნოზის შეფასების კრიტერიუმი ჰიპერტონიული რეტინოპათიის დროს.

FUNCTIONAL STATE OF VISUAL SYSTEM IN ARTERIAL HYPERTENSION

E. Tsitsiashvili

National Center of Ophthalmology and Neurology, Tbilisi

SUMMARY

